

ISSN 2233-3606

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

მოამბე
XLI
MOAMBE

**INTERNATIONAL PRECISED AND REVIEWED
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE**

თბილისი 2021 TBILISI

„მოამბე“ გამომცემის 1995 წლიდან
„MOAMBE“ IS PUBLISHED SINCE 1995

სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNusx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა).
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვანოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს: ჟურნალის ერთი გვერდი 8 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება 5 ლარი. უცხოელი ავტორებისთვის სტატიის სრული გადასახადი 50 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

სტატიების გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

temur.babunashvili@mail.ru; mariizoria@mail.ru;

ტელეფონები: 593 23 99 58; 593 95 92 47

ვებ-გვერდი: www.sbma.ge

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail).
3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and English languages too.
The price of article's publication is one page of Journal 8 Gel (lari). And author will pay tjis price after getting positive respond. Also, the price of Journal is 5 GEL (lari). For foreign authors the full tax of the article is 50 USD equivalent in GEL.

E-mail: temur.babunashvili@mail.ru; mariizoria@mail.ru;

Tel: 593 239 958; 593 959 247

www.sbma.ge

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციის გარეშე 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTIFICATE #1982)

„მოამბე“
საერთაშორისო რეზერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო ჟურნალი, №41, 2021 წელი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი- *მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ქ. თბილისის საპატრიო მოქალაქე.*

სარედაქციო კოლეგია
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

აბდუშელიშვილი გივი, აბესაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, ბაბუნაშვილი გიორგი (აშშ), ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი, ბერიძე თეიმურაზი, გვალია ნარგიზი, გომოხია რევაზი, გველესიანი მირაზი, გეგუაძე პაპი, ელიაშვილი ლია, თურნაშვილი ნათია, იზორია მარინა, კურტიანიძე დავითი (აშშ), კვალაშვილი ვაჟა, ლაბარტყავა გულთაზი, ლემონჯავა პარმენი, ლომჯინია გივი, ლეკაშვილი ეკა, მალაშვილი გიორგი, მელაძე სერგო, მიქვანიშვილი ელგუჯა, ნარმანია დავითი, პაიჭაძე ნუგზარი, როკიტნიშვილი მიხეილ (აშშ), სილაგაძე ავთანდილი (საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), შერეშელიძე მიხეილ, ქარაძე ლეონი, ქველავაშვილი ომარი, ქუთათელაძე რუსუდანი, ყიფიანი გელა, ყორღანაშვილი ლარისა, შენგელია თეიმურაზი, შენგელია რევაზი, ჩეჩელაშვილი მანია, ჩიხლაძე ნიკო, ჭითანაშვილი ნოდარი, ჭუმბურიძე მამია, ხელაშვილი იოსებო, ჯავახიშვილი რევაზი, მამედოვი ფიზული (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერძანიანი ნაიკი (სომხეთი), ალირზაევი ალი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორზდოვა ტატიანა (ბელორუსია), ალუხანოვი ესპერანტი (ყაზახეთის რესპუბლიკა), ბალინა ლოპუშინა (უკრაინა), ზალენინი ინგა (ესტონეთი), ვლოჟენკო ნატალია (უკრაინა), მიხაილ ვარჩოლა (სლოვაკეთი), ბალინა კუზმენკო (უკრაინა), ტაღეუშვილი ტროციკოვსკი (პოლონეთი). ანატოლი შიშკოვი (რუსეთი), იანკო სტროჟნი (პოლონეთი), ალიონა ალენინკოვა (უკრაინა), ევგენი ჟუკოვი (რუსეთი).

შეიქმნა რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდას ავტორის აზრს

„MOAMBE“
QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED №41, 2021

TEIMURAZ BABUNASVILI- Editor-in-Chief and Head of Editorial Board,
Doktor of Economic Science, President of
Georgian Academy of Business Science,
Honored citizen of Tbilisi

EDEDITORIAL BOARD
Doctors of science, Professors

ABDUSHELISHVILI GIVI, ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, BABUNASHVILI GIORGI (USA), BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, ELIAVA LIA, TURNAVA NATIA, IZORIA MARINA, KURTANIDZE DAVITI (USA), KUTATELADZE RUSUDANI, KVALIASHVILI VAJA, LABARTKAVA GULTAZI, LEMONJAVA PARMENI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MALASHKHIA GIORGI, MELADZE SERGO, MEQVABISHVILI ELGUJA, NARMANIA DAVITI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI (USA), SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI, KESHELASHVILI OMARI, KIFIANI GELA, KORGANASHVILI LARISA, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGELIA REVAZI, CHECHELASHVILI MAIA, CHIKHLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, KHELASHVILI IOSEBI, JAVAKHISHVILI REVAZI, MAMEDOVI FIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINA), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUKHANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), GALINA LOPUSHNIAK (UKRAINA), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA), GALINA KUZMENKO (UKRAINA), TADEUSZ TROCIKOWSKI (POLAND), ANATOLI SHEVCHUK (RUSSIA), IACEK STROJNI (POLAND), ALIONA ALEINIKOVA (UKRAINA), EVGENI DJUKOV (RUSSIA).

შინაარსი

1. აკადემიკოსი ალექსანდრა კუჭუნიძე - 100	7
2. მაია ბენია, ლევან გაბვიშვილი	11
ციფრული კავშირის როლი საზოგადოების მედიაგანათლების დონის ამაღლებაში	
3. რამაზ მარღიშვილი	17
ბიზნეს-პორტფელის ოპტიმიზაცია, როგორც კომპანიის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის გარანტი	
4. დალი სოლოღაშვილი, ლელა ხელაძე	21
სამშენებლო ბიზნესზე ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების გავლენა	
5. ნინო გომართელი	27
საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პრობლემა - ემიგრაციის ფენომენი	
6. საბა ბურჯალიანი	33
ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სტრატეგიული ასპექტები	
7. მარინა მესხია	38
საქართველოს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის (ირანის) ქალაქების სამოხელეო წყობა (შედარებითი შესწავლა)	
8. ვაჟა ჩოჩია	42
გერმანიის ბრძოლა კოლონიებისთვის აფრიკაში გაერთიანების შემდეგ	
9. ვაჟა დანელია	47
სპორტის ინდუსტრიის ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი	
10. ნინო აქიმიშვილი	53
სასტუმროების უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციონირების თავისებურებები	
11. ნინო ზაალიშვილი	57
მოლაპარაკების ფსიქოლოგიური მექანიზმები და ტექნოლოგია	
12. ნინო გომართელი, გურანდა ჰაქსაძე	61
ეროვნული ცნობიერება - ქართველი ერის დღეგრძელების სანდოარი	
13. ეკატერინე მარუაშვილი	64
კომენტიური ლინგვისტიკა	
14. ანი ქიმაძე	67
პიროვნული ფასეულობები, როგორც დასაქმებულთა ქცევის საფუძველი	
15. გურამ სამხარაძე	72
ხვედრითი დანახარჯების ცვლილების ტენდენცია საქართველოს ბიზნესში	
16. ГУРАМ МАРХУЛИЯ, МАРИНА ИЗОРИЯ	77
ГЕОИСТОРИЯ И СТРАТЕГИЧЕСКИЕ ЦЕЛИ АРМЯНСКИХ ГЕОПОЛИТИКОВ В ГРУЗИИ	
მილოცვაბი - აკადემიის წევრების იუბილეებთან დაკავშირებით	77

CONTENTS

1. ACADEMICIAN ALEKSANDRE KUCHUKHIDZE - 100	7
2. MAIA BENIA, LEVAN GAGVISHVILI	11
The role of digital capital in raising the level of media education of the society	
3. RAMAZ MARGISHVILI	17
Business Portfolio optimization as a guarantee of the company's competitiveness	
4. DALI SOLOGHASHVILI, LELA KHELADZE	21
Endogenous and Exogenous Influence of Factors on the Construction Business	
5. NINO GOMARTELI	27
The problem of Georgia's European identity - the phenomenon of emigration	
6. SABA BURJALIANI	33
Strategic Aspects of human resource managements	
7. MARINE MESKHIA	38
The official order of towns in Eastern Georgia, Transcaucasia and Middle East (comparative analysis)	
8. VAJA CHOCHIA	42
Germany's fight for colonies in Africa after unification	
9. VAJA DANELIA	47
Some economic aspects of the sports industry	
10. NINO AKIMISHVILI	53
Peculiarities of the Functioning of Hotel Security Services	
11. NINO ZAALISHVILI	57
Psychological Mechanism and technology of Negotiation	
12. NINO GOMARTELI, GURANDA PAKSADZE	61
National identity success of the Georgian nation	
13. EKATERINE MARUASHVILI	64
Cognitive linguistics	
14. ANI QIMADZE	67
Personal values as a basis for Employee behavior	
15. GURAM SAMKHARADZE	72
Trend of changes in share costs in Georgian business	
16. GURAM MARKHULIA, MARINA IZORIA	77
Geohistory and strategic goals of Armenian geopoliticians in Georgia	
Congratulations on the anniversaries of the members of the Academy	92

აკადემიკოსი ალექსანდრე კუჭუხიძე- 100

100 წელი შესრულდა გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებლისა და პირველი პრეზიდენტის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, დიდი მამულიშვილისა და ღირსეული პიროვნების, მრავალი თაობის აღმზრდელისა და დიდი ერისკაცის აკადემიკოს **ალექსანდრე კუჭუხიძის** დაბადებიდან.



ალექსანდრე კუჭუხიძე იყო ყველა დროში სიახლის მაძიებელი და მის დაულალავ ნაფიქრალს მაღალ ლიტერატურულ დონეზე სთავაზობდა საზოგადოებას როგორც ჟურნალისტი და პუბლიცისტი. მისი კალამი ყოველთვის მომართული იყო ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ და ამიტომაც იყო, რომ მის შემოქმედებას ყველა ასაკის წარმომადგენლები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ. ქართული ტრადიციების ერთგული და მასპინძლობაში გამორჩეული, მეგობრებთან სიყვარულში ჩაფერფლილი და ოჯახის უდიდესი მოყვარული, აი ასეთად დაგვამახსოვრა თავი ჩვენმა ბუმბერაზმა პიროვნებამ.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სახელით ალექსანდრე კუჭუხიძის ხსოვნასთან დაკავშირებით მინდა შემოგთავაზოთ ჩემი პატარა მოგონება რომელიც ჩვენს „ალექსანდროვიჩს“ ყველა რაკურსით წარმოგვიჩენს მისი ცხოვრების ყველა ეტაპზე.

სამწუხაროდ ამჟამად ქვეყანაში არსებული მძიმე ეპიდემიოლოგიური შეზღუდვებიდან გამომდინარე არ მოგვეცა აკადემიის ხელმძღვანელობას ფართო მასშტაბით განგვეხორციელებინა ჩვენი ჩანაფიქრი.

დრო გადის: მატულოვს წლები, ცოდნა, გამოცდილება, ოდაგადედან წაუსვლელობის სურვილი...

ეს სათაური შეგნებულად შევარჩიე ამ მოკრძალებული წერილისათვის, რადგან ის ბატონ ალექსანდრეს მიერ 2007 წელს გამოცემულ წიგნს გასდევს ლაიტმოტივად. ამ რამოდენიმე სიტყვაში სრულად არის წარმოდგენილი ბატონი ალექსანდრეს მიერ მისი განვლილი ცხოვრების ყველა ეტაპი, მისი მშფოთვარე ცხოვრება, ბევრი სიხარული და ბევრი გულისტკენა, აღიარება და წარმატებების მიღწევა, დაუმსახურებელი ტკივილის მიყენება და ეს ყველაფერი, უკვე სამწუხაროდ წარსულია, ბატონი ალექსანდრე სიცოცხლის ბოლო დღემდე ჩვეული შემართებით იღწვოდა და ოცნებობდა უამრავი ჩანაფიქრის განხორციელებაზე და ეს ბუმბერაზი, ბობოქარი პიროვნება ჩუმად, უსიტყვოდ განერიდა ამ წუთისოფელს, მიუხედავად იმისა რომ მას ბოლო წუთამდე ჰქონდა ოდაგადედან წაუსვლელობის სურვილი.

ამ წერილის დაწერა ჩემთვის, როგორც მისი მოწაფისა და მისი საქმის გამგრძელებლისათვის, რომელსაც ერთად ვემსახურებოდით დღიდან გაცნობისა მისი სიცოცხლის ბოლომდე და ეს იყო 1985 წლის გაზაფხულიდან 2013 წლის 15 ოქტომბრის საღამომდე, ძალზედ ძნელი და მტკივნეულია, ეს იყო ის პერიოდი, როდესაც ბატონ ალექსანდრემ შექმნა მთელი ეპოქა უმაღლესი განათლების კერძო სექტორში და დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიების ჩამოყალიბებაში. იგი იყო ერთ-ერთი პირველი თავკაცი თუ არა პირველი ამ დიდი საქმეების დაწყებისა, რომლებიც დღეს ასე წარმატებით აგრძელებენ თავიანთ ფუნქციონირებას. ბატონ ალექსანდრემ 1995 წელს თავის რამოდენიმე თანამოაზრესთან ერთად დააფუძნა საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლო დღემდე ხელმძღვანელობდა და ამ აკადემიამ მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა, როგორც სამეცნიერო წრეებში ასევე საზოგადოების ფართო ფენებში. ბატონ ალექსანდრეს, როგორც პროფესორის, ხელმძღვანელის, მეცნიერის, მეგობრისა და ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებლის, ყველას გზაზე დამყენებლისა და ქართული სუფრის დიდი მოტრფიალის ფენომენი რამოდენიმე უცნობ ტოლოზიან განტოლებასავით ძნელად ამოსახსნელია.

ბატონი ალექსანდრე კუჭუხიძე დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოში, რომელსაც იგი აღმერთებდა და ხუმრობით იმასაც ამბობდა, რომ წმინდა ნინო მის ეზოში იყო დაკრძალული და რომ არა მეგობრების დაჟინებული თხოვნა, რომ ეს საუბარი შეენწყვიტა შეიძლება მისი ეზო-კარი გამხდარიყო ისტორიკოსებისა და არქეოლოგებისათვის საძიებო ობიექტი, ეს რა თქმა უნდა ხუმრობით მაგრამ ამაში ისევ და ისევ მისი ოდაბადეს უდიდესი სიყვარული გამოსჭვიოდა.

ალექსანდრე კუჭუხიძე ბავშვობიდან იყო როგორც წარმატებული მოსწავლე და ყველასაგან გამორჩეული თავისი მიზანსწრაფვით, ასევე შემდგომ იყო წარჩინებული სტუდენტი და იმ დროისათვის ი. სტალინის სახელობის სტიპენდიანტი, ასევე აქტიური საზოგადოებრივ საქმიანობაში და როგორც იმ უმაღლესი სასწავლებლის ახალგაზრდობის ლიდერი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის. ბატონი ალექსანდრე იმითაც ამაყობდა რომ მისი ჯგუფი „მსოფლიოში იყო ერთადერთი“, რომლებიც ყოველი წლის ივნისის ბოლო შაბათს მეტრო „სადგურის მოედნის“ შესასვლელთან, საათის ქვეშ ირკიბებოდნენ 52 წლის განმავლობაში, ამ უნიკალური შეხვედრების სულისჩამდგმელი და განმახორციელებელი ბატონი ალექსანდრე ბრძანდებოდა, რომელიც თითქმის ყოველ წელს იშვიათი გამონაკლისის გარდა თვითონ იხდიდა დიდ პურმარილს თავის აგარაკზე ან რომელიმე რესტორანში და მე თქვენი მონა მორჩილი ბოლო 28 წლის განმავლობაში ყველა ამ შეკრების მონაწილე გახლდით.

ალექსანდრე კუჭუხიძემ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სპეციალობით დაიწყო მუშაობა, განაწილებით ჯერ რუსეთში, შემდგომ კი საქართველოში, ვინაიდან ბატონი ალექსანდრე ბავშვობიდან წერდა ნარკვევებს, მოთხრობებს და აგზავნიდა რესპუბლიკურ პრესაში გამოსაქვეყნებლად, შემდგომში იგი გახდა უკვე აქტიური ლიტერატორი და გარკვეული პერიოდი თავისი საქმიანობისა დაუკავშირა გაზეთში მუშაობას, სადაც იგი რიგითი კორესპონდენტიდან დაწინაურდა ჯერ მთავარი რედაქტორის მოადგილედ შემდგომ გაზეთ „რკინიგზელი“-ს მთავარ რედაქტორად, როგორც იგი იხსენებდა ეს იყო მისი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო წლები, რომელთანაც ბევრი სასიამოვნო მოგონებები აკავშირებდა, იმ წლებში გახდა იგი საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, მაგრამ გაზეთთან ურთიერთობა ალექსანდრე კუჭუხიძეს სიცოცხლის ბოლო წამამდე არ შეუწყვიტია. ჯერ დააფუძნა გაზეთი „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი“ ხოლო შემდეგ მის ბაზაზე გაზეთი „საქართველოს დედაქალაქი“ რომლის მთავარი რედაქტორიც თვითონ ბრძანდებოდა და რაოდენ სამწუხაროა, რომ მის საწერ მაგიდაზე დარჩა მისი ბოლო

გაზეთის ბოლო ნომრის მაკეტი, რომლის შედგენაც მას უნდა დაეწყო.

სპეციალობით ტრანსპორტის ინჟინერ-ეკონომისტმა ასპირანტურის ნარმატებით დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რის შემდეგ იგი ჯერ 1963-1965 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე საფინანსო სამსახურის უფროსად, ხოლო შემდგომ იგი ჯერ 1965-1967 წლებში საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამგზავრო-საავტომობილო ტრესტის მმართველის პირველ მოადგილედ. 1967-1973 წლებში ალექსანდრე კუჭუხიძე აგრძელებს საქმიანობას საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო შემდგომ მომსახურების სფეროს განყოფილების უფროსად, აქვე ასრულებს იგი სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას და ხდება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. 1973-1974 წლებში მას ირჩვენ თსუ-ს პროფესორად, 1974-1990 წლებში იგი არჩეული პროფესორად და არასამრეწველო სანარმოთა ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგედ. 1991 წელს ალექსანდრე კუჭუხიძე თავის ვაჟთან რომანთან და ჩემთან ერთად აფუძნებს საქართველოში ერთ-ერთ პირველ კერძო უმაღლეს სასწავლებელს და სიცოცხლის ბოლომდე იყო მისი რექტორი.

როგორც ზევით მოგახსენეთ ალექსანდრე კუჭუხიძის თაოსნობით დაფუძნდა და ფუნქციონირებს და რამოდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია კერძოდ: საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია, სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი“. გაზეთი „საქართველოს დედაქალაქი“, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „მოამბე“, და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელი ალექსანდრე კუჭუხიძე დღეს ჩვენს გვერდით აღარ არის.

ალექსანდრე კუჭუხიძე არჩეული იყო ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ მეცნიერებისა და განათლების მიმართულებით მსოფლიოში მოღვაწე მეცნიერთა შორის რჩეული პიროვნება. ალექსანდრე კუჭუხიძე დაჯილდოებული იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლით, ღირსების ორდენით, ქ. თბილისის ერთგულების მედლით. არჩეული იყო ქ. სენაკისა და აბაშის რაიონის საპატიო მოქალაქედ. სამასზე მეტია მისი მეცნიერული შრომები ეკონომიკის თეორიისა და დარგობრივი ეკონომიკის დარგში. იგი ამდენივე სტატიისა და მხატვრული ნაწარმოებების ავტორი იყო. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და ჩანაფიქრით განხორციელდა 600 გვერდიანი „აბაშის ქართული ენციკლოპედია“ და 800 გვერდიანი „სამტრედიის ქართული ენციკლოპედიის“ გამოცემა, სამწუხაროდ ვერ მოასწრო დაესრულებინა „სენაკის ქართულ ენციკლოპედიაზე“ მუშაობა. მისი მოთხრობები, ჩანახატები, ნარკვევები, იუმორნარევი მოგონებები ყოველთვის დიდი მოწონებით სარგებლობდა მკითხველთა შორის, ამოუნურავი იყო ა. კუჭუხიძის ინტელექტუალური პოტენციალი, ორგანიზატორობა, უმრეტი ენერჯია, ჭეშმარიტი ტალანტი, მოჭარბებული მეგობრობა, სამშობლოს პატრიოტულობა, წინამორბედთა ღვანლის დაფასება, ჭეშმარიტების მსახურება, ღირსებით სავსე ქართველობა, მტრობისა და ბოროტების სიყვარულით დამარცხება. აი ამ სულისკვეთებით აღზარდეს ბატონმა ალექსანდრემ და ქალბატონმა ვენერამ თავისი შვილები და შვილიშვილები, რომლებიც დღეს სახელოვანი პროფესორები, ექიმები, დიპლომატები, იურისტები და ღირსეული მამულიშვილები არიან.

ალექსანდრე კუჭუხიძე გამოირჩეოდა უდიდესი ქველმოქმედებით, ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში მან მის მშობლიურ სოფელში ააშენა ორი კუთხის დამაკავშირებელი ხიდი, მოაწესრიგა საშუალო სკოლა, განაახლა რაიონული ცენტრთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა, დანიშნა სოფლისთვის

ავტობუსი, თავისი ჰონორარით უზრუნველყოფდა მისი სოფლიდან თბილისში ჩამოსული სტუდენტების სწავლისა და ცხოვრების პირობებს. იგი დიდი პატივისცემის ნიშნად მართავდა საიუბილეო საღამოებს ცნობილი მეცნიერების უკვდავსაყოფად კერძოდ მან ჩაატარა სენაკის თეატრში აკადემიკოს თეოფანე დავითაიას ხსოვნის საღამო, მარტვილის ეროვნული მუზეუმის დირექტორის პროფესორ გივი ელიაშვილის საიუბილეო საღამო, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის 100 წლის საიუბილეო საღამო, დიდი აბაშელების კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჩიქოვანისა და ალექსანდრე აბაშელის ხსოვნის საღამოები, აკადემიკოს ილია ტაბაღაშვილს 80 წლის იუბილე, საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის იონა გუნიას მოწვევა და მასპინძლობა საქართველოში მის ქალიშვილთან ნოელთან ერთად და მრავალი სხვა.

ალექსანდრე კუჭუხიძის ხელმძღვანელობით დისერტაცია დაიცვა 50-ზე მეტმა ახალგაზრდამ რომლებიც დღეს წარმატებით საქმიანობენ სხვადასხვა სფეროში და არიან ღირსეული მასწავლებლის, ახალგაზრდობასთან მეგობრული ურთიერთობების სწორუპოვარი მენეჯერის დიდი საქმის გამგრძელებლები, იგი ბოლო წუთამდე მეგობრობდა როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ და მოღვაწე თავის აღზრდილებთან რომლებიც ყოველთვის დიდი სიყვარულით მოვიხსენიებთ დიდ მასწავლებელს.

და ბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ გავიხსენო ბატონი ალექსანდრესადმი მიძღვნილი მასალები მისი მეგობრების მხრიდან რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა, მათ შორის არის ჩემი წერილიც სათაურით: „რა დრო გასულა“, რომ გადავხედავ ხოლმე განსაკუთრებით მისი გარდაცვალების შემდეგ ამ წერილს ცრემლი მადგება და თვალწინ მიდგება როდესაც პირველად შევხვდი ბატონ ალექსანდრეს და დღესაც არ მავინწყდება მისი ღიმილიანი მოსაღმება. ამ წერილის ეპილოგით მინდა დავასრულო ეს წერილიც „ბატონ ალექსანდრეზე ძალიან ბევრი შეიძლება დანერო და ისაუბრო. მე კი ვიტყვი: „ბატონო ალექსანდრე – თქვენ საქართველოს თავკაცობა დაგშვენებოდათ, დაგშვენებოდათ, ო რარიგად დაგშვენებოდათ“. მაგრამ სამწუხაროდ დღეს ჩვენ უკვე წარსულში გვინევს მოგონებებზე საუბარი, ასე ინება უფალმა და მას არ შეუძლავს ოდაბადედან წაუსვლელობის გახანგრძლივების სურვილი.

ღმერთმა ნათელში გამყოფოთ და დანატოვარი და მომგონებელნი გიცოცხლოთ, რამეთუ თქვენი დაწყებული დიდი საქმეები გრძელდება და ასე იქნება მარადჟამს.

P.S. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გამოხატავს უდიდეს პატივისცემას და დიდ გულისტკივილს აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით და მისი ხსოვნა სამარადჟამოდ დარჩება მისი ოჯახის, მეგობრებისა და აღზრდილების გულელებში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

უდიდესი გულისტკივილით —

ალექსანდრეს პატივისცემელი და მოსიყვარულე,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, ორი ღირსების ორდენის კავალერი,
ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე
თეიმურაზ ბაბუნაშვილი

ციფრული კაპიტალის როლი საზოგადოების მედიანანათლების დონის ამაღლებაში

მაია პენია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ლევან გაბვიშვილი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფრანგი სოციოლოგი პ. ბურდიე (1993, 1994) ციფრული კაპიტალის კონცეფციას განიხილავდა ისეთ სტრუქტურად, რომლის მეშვეობითაც ინდივიდს საშუალება ეძლევა მიაღწიოს დასახულ მიზნებს თანამედროვე ციფრულ ერაში. რაც უფრო დიდი და მრავალფეროვანია კაპიტალი, მით უფრო ადვილია დაკისრებული ამოცანების შესრულება. თავის ნამუშევრებში პ. ბურდიე განსაზღვრავს კაპიტალის ოთხ ძირითად სახეს: ეკონომიკური კაპიტალი; კულტურული კაპიტალი; სოციალური კაპიტალი (თანხები, რომლებიც დაკავშირებულია პირის კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთან, სოციალურ კავშირებთან) და სიმბოლური კაპიტალი (საზოგადოების აღიარება, ავტორიტეტი, პრესტიჟი, რეპუტაცია). მოგვიანებით დაემატა პოლიტიკური (Syed, Whiteley, 1997), პირადი (Becker, 1996), ინფორმაციული (Hamelink, 2000) და სხვა სახის კაპიტალი. პოლიტიკური კაპიტალის სტრუქტურაში გამოიყო პირადი პოლიტიკური კაპიტალი (პირადი პოტენციალის კაპიტალი, ხიბლი, შესაძლებლობები, პოპულარობა, პოპულარობა როგორც ამომრჩევლებში, ასევე ელიტაში და ა.შ.); ფინანსური პოლიტიკური კაპიტალი (თანხა, რომელიც შეიძლება გარკვეულ პირობებში იყოს მიმართული, პოლიტიკოსის საარჩევნო შესაძლებლობების გასაზრდელად); მასმედიის პოლიტიკური კაპიტალი (მასმედიის გამოყენების შესაძლებლობა საკუთარი მიზნების მისაღწევად); ადმინისტრაციული პოლიტიკური კაპიტალი (ყველა ის ადმინისტრაციული საშუალება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური კარიერის შესაქმნელად); საერთაშორისო მხარდაჭერის პოლიტიკური კაპიტალი, მაგალითად პოლიტიკოსის პირადი კავშირები უცხოელ ლიდერებთან და ელიტებთან, რომელთა გამოყენება ეფექტურია წინასაარჩევნო და საარჩევნო სიტუაციებში.

აღსანიშნავია ადამიანურ კაპიტალი, როგორც კომპლექსური მრავალ-ფაქტორული მოვლენა, მისი და მედიის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება საზოგადოებაში ციფრული უთანასწორობის, გაღრმავების ფონზე. ადამიანური კაპიტალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ციფრულ ეკონომიკის განვითარებაში. რიგი მკვლევარების აზრით, ეკონომიკაში ჩნდება ახალი ტიპის სოციალური კაპიტალი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს სოციალური ქსელის კაპიტალი, რომელიც წარმოიქმნება გლობალურ მონაწილეთა ინტეგრალურად განაწილებული ქსელის ურთიერთქმედების პროცესში - ეროვნული, კორპორატიული თუ მრავალფეროვანი სოციალური ქსელები. ეკონომიკური კაპიტალის მსგავსად არამატერიალური კაპიტალის ფორმებს შეიძლება ჰქონდეს სამი ტიპის სახელმწიფო - ინკორპორაციული (embodied state), ობიექტივირებული (objectified state) და ინსტიტუციონალიზებული (institutionalized state) სახელმწიფო, როგორც პ. ბურდიე განსაზღვრავს. ზოგადად სახელმწიფო სტაბილური სისტემური მახასიათებლების ერთობლიობაა. ობიექტივირებული სახელმწიფო ნიშნავს კაპიტალის მატერიალიზებულ ხილულ ფორმას, ინსტიტუციონალიზებული სახელმწიფო კი ამ ტიპის ობიექტივიზირებული კაპიტალის რესურსად მიღებას

გულისხმობს.

ძირითადი იდეა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ტიპის კაპიტალის ერთმანეთთან ურთიერთქმედების და ერთმანეთზე ზემოქმედების შესაძლებლობა დაინახოს. პოლიტიკური და სოციალურ კაპიტალის შერწყმა ან ადამიანური და სოციალურ კაპიტალის გაერთიანებას, აქსაუბარია ყველა ამ კაპიტალის მიმოქცევაზე და მათ ე.წ. კონვერტაციაზე. თითოეულ მათგანს აქვს მეორედ გარდაქმნის შესაძლებლობა. დაგროვილი კულტურული კაპიტალი საშუალებას აძლევს ადამიანს, მოახდინოს მისი კონვერტაცია ავტორიტეტში; პოლიტიკურ კაპიტალს ემყარება არაოფიციალური პირადი კავშირები და ბეგრანდი, პრაქტიკული ცოდნა. ეკონომიკური კაპიტალი, რომელსაც გულისხმობს შემოსავლის დონესა და პროფესიას, კულტურული კაპიტალი განისაზღვრება განათლების დონის, სოციალური და პირადი კაპიტალის მიხედვით. სოციალური და პირადი კავშირების საფუძველზე, პირადი კაპიტალი (მოტივაცია), სოციალური და პოლიტიკური კაპიტალი (მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, პოლიტიკური საქმიანობა) ურთიერთდაკავშირებულია ციფრულ კაპიტალთან. მიუხედავად იმისა, რომ პ. ბურდიემ თავის ნამუშევრებში არ გამოყო ისინი ერთმანეთისგან შემოგვთავაზა ციფრული კაპიტალის კონცეფცია. ამაზე დაყრდნობით ამოსავალი მეცნიერმა პარკმა 2017 წ. ციფრული კაპიტალს ცალკე კლასიფიკაცია მიანიჭა. მონოგრაფიაში Digital Capital: A Bourdieusian Perspective on the Digital Divide (Ragnedda, Ruiu, 2020) საუბარია ციფრული კაპიტალის ემპირიული მეთოდებით გაზომვაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური კაპიტალის ფორმირება ხდება კომუნიკაციის საშუალებით, მისი რეალური ფორმების ჩათვლით, მედიის - მასობრივი, არამასობრივი, ინდივიდუალური ინტერნეტარხებით და ა.შ., ციფრული მედიის კომპეტენციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს არამატერიალური კაპიტალის ფორმირებისთვის. ისინი პირდაპირ კავშირშია აუდიტორიის ციფრულ კაპიტალთან და მეტწილად განსაზღვრავს სოციალური კაპიტალის სპეციფიკას (სოციალური კავშირების ინტენსივობა, გარკვეულ სოციალურ ქსელებში ჩართულობის დინამიკა). რიგ ნაშრომებში განხორციელდა სოციალური კაპიტალის საკომუნიკაციო ხასიათის შესწავლა და იდენტიფიცირება, ინტერაქტიულობისა და მულტიმედიის საშუალებით მედია როგორ უწყობს ხელს სოციალური კაპიტალის შექმნას. სოციალური კაპიტალის ფორმირება ხდება რეალური კომუნიკაციითა და მედიის საშუალებითაც, რასაც უკვე ემატება სოციალური ქსელები.

ციფრულ კაპიტალს და ციფრულ დაყოფას რაც შეეხება, შეიძლება ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის კონცეფცია თავისთავად არ არის ახალი, ბოლო ხანს აქცენტი კეთდება - ციფრული უთანასწორობაზე, საზოგადოებაში გაჩენილ ციფრულ უფსკრულზე, სპეციფიკაზე, სტრუქტურაზე, სხვა ტიპის კაპიტალთან კორელაციის მახასიათებლებზე.

არამატერიალური კაპიტალის ცნებებზე ფოკუსირება ციფრული უთანასწორობის ფონზე ლოგიკურიცაა. ოც წელზე მეტია განიხილება და მიდგომებშიც მნიშვნელოვანი ცვლილებებია. ოკინავას ხელშეკრულებაშიც ჩაიდო ეს პუნქტები, 1997 წლის გაეროს ადამიანის განვითარების ინდექსებში ჩაიწერა, მაგრამ ჯერ ვერ მოხერხდა ამ უთანასწორობის მნიშვნელოვანი შემცირება. ამრიგად, გლობალური ციფრული უთანასწორობის (Global Digital Divide) ანალიზის ტრადიციული მიდგომა, რომელიც სათავეს იღებს 2000-იანი წლებიდან (Norris, 2001; Attewell, 2001) და გამომდინარეობს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებსა და რეგიონებში, ხალხში არსებული უთანასწორობიდან, სადაც საზოგადოების სხვადასხვა ფენებს არა აქვთ თანაბარი წვდომა ინფორმაციასა და განათლებაზე. მათ შორის სოციალური უთანასწორობა ისედაც არსებობდა ყველა დონეზე და ახლა ეს ციფრულ ფორმატში

უფრო შესამჩნევია. ციფრული უთანასწორობა აღიქმებოდა, როგორც უპირატესად გეოგრაფიული ხასიათის პრობლემა, ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების არათანაბარი წვდომის გამო. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში ციფრული უთანასწორობა გლობალური ჩრდილოეთისა და გლობალური სამხრეთის ქვეყნები, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებს შორის, სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური ხასიათის ფაქტორების გათვალისწინებით.

ციფრული დაყოფის მეორე და მესამე დონის გადახედვისას, მკვლევარებმა ციფრული კაპიტალისთვის განსაკუთრებული როლის მინიჭება დაიწყეს. დღეს მკვლევარებს ციფრული კაპიტალი ესმით, როგორც ციფრული ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე მომხმარებლის წვდომის მთლიანობა და მათი პროფესიული და პირადი მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობა. ციფრული კაპიტალის ოდენობა პირდაპირ კავშირშია სოციალურ სარგებელთან, რომელსაც ზოგიერთი ავტორი განსაზღვრავს, როგორც ტექნოლოგიის გამოყენების „თვალსაჩინო შედეგებს“. ამაზე დამოკიდებული ადამიანის პროფესიულ წარმატება, საზოგადოებაში უფრო მაღალ სტატუსი, თვითრეალიზაციის ახალ შესაძლებლობები, საზოგადოების ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობა, სამოქალაქო პოზიციის გამოხატვა.

ციფრული კაპიტალის ოდენობა კორელაციაშია მომხმარებელთა „სასიცოცხლი შანსების“ ზრდასთან. როგორია ურთიერთკავშირი სხვა არამატერიალური კაპიტალთან, როგორცაა ეკონომიკური, კულტურული, სოციალური, პირადი და პოლიტიკური? ამრიგად, M. Ragnedda (2018) გვთავაზობს კაპიტალის ორმხრივი გავლენის ოთხ ძირითად სცენარს - იდეალური ანუ როცა მომხმარებელს აქვს ციფრული კაპიტალის მაღალი დონე და სხვა ტიპის კაპიტალის დონეც მაღალია; ნაკლებად ხელსაყრელი - როცა ციფრული კაპიტალის დაბალი დონე განპირობებულია სხვა ტიპის კაპიტალის დაბალი დონით. ციფრული დაყოფის მეორე და მესამე დონის ფონზე, ციფრული კაპიტალის ოდენობის სხვაობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მაგალითად, ციფრული კაპიტალის მაღალი დონისა და პოლიტიკური კაპიტალის მაღალი ან საშუალო დონის (პოზიტიური სცენარი) მომხმარებლებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ პოლიტიკური დღის წესრიგი ონლაინ გარემოში, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში და პოლიტიკურ მოვლენებში, ასევე საზოგადოებაში საკუთარი პოლიტიკური ავტორიტეტის განმტკიცება შეუძლიათ (ესაა მეორე დონე) ოფლაინაც. ციფრული და პოლიტიკური კაპიტალის დაბალი დონის შემთხვევაში (უარყოფითი სცენარი), ეს შესაძლებლობები იზღუდება. რამდენად ეფექტურად იყენებენ მომხმარებლები ტექნოლოგიას ცხოვრებაში (იმ პირობით, თუ მასზე წვდომა აქვთ) და შესაბამისად, რა სოციალურ სარგებელს მიიღებენ ამ შემთხვევაში, დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, როგორცაა ტრადიციული ფაქტორები, დემოგრაფიული მახასიათებლები, ასაკი, განათლების დონე და შემოსავლები, ასევე პიროვნული მახასიათებლები, მოტივაცია, მათი სწავლებადობა, ციფრული უნარები და კომპეტენციები. ასევე საგულისხმოა ინდივიდთა ინფორმაციული და ანალიტიკური უნარები ციფრული მედიისა და ზოგადად ინტერნეტის გამოყენებისთვის, კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, სიახლეებისადმი შიში, ინოვაციებისადმი სწრაფვა და სხვა.

მომხმარებლის ციფრულ კაპიტალზე იტალიელმა მკვლევარებმა 2019წ გადაწყვიტეს შეექმნათ ე.წ. ციფრული კაპიტალის ინდექსი (Digital Capital Index), რომელიც მოიცავს ორ მთავარ კომპონენტს - ციფრული წვდომის ინდექსი და ციფრული კომპეტენციის ინდექსი. ორივე ინდექსი, რომლებიც ციფრული კაპიტალის ინდექსის ნაწილია, თავის მხრივ მოიცავდა ოთხიდან ხუთ ფაქტორს (მომხმარებლის მიერ ინტერნეტში გატარებული დრო; ჰქონდა თუ არა

მომხმარებელს სპეციალური ტრენინგი ინტერნეტისა და ისტ – ის გამოყენებამდე; მოწყობილობების ტიპი და რაოდენობა, რომელთა მეშვეობითაც ინტერნეტზე წვდომა აქვს; სპეციალური უნარებისა და კომპეტენციების არსებობა და სხვა), რაც საშუალებას იძლევა პირველად გავზომოთ წვდომის დონე და ციფრული კომპეტენციების დონე და განვსაზღვროთ ფაქტორიალური და ორმხრივი ანალიზის მეთოდის გამოყენებით, კონკრეტული პიროვნების, ჯგუფის ციფრული კაპიტალის ინდექსი და ა.შ. დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე, მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ახალგაზრდა ბრიტანელი ინტერნეტ მომხმარებლები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლებისა და შემოსავლის საკმარისი დონე, ციფრული კაპიტალის უფრო მაღალი დონით ხასიათდებიან. გასათვალისწინებელია კორელაცია ციფრული კაპიტალის დონესა და საზოგადოების რაოდენობას შორის: მაგალითად, დიდ ქალაქებში მცხოვრებ მომხმარებლებს ციფრული კაპიტალის უფრო მაღალი დონე აღენიშნებათ, ვიდრე პატარა ქალაქებსა და სოფლებში. მნიშვნელობა აქვს საცხოვრებელი რეგიონის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ დონეს, საქართველოს რეგიონების არათანაბარი განვითარების გათვალისწინებით, სრულიად ნათელია რომ გვაქვს ციფრული უთანასწორობის პრობლემა. ინტერნეტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების წვდომის არსებობა რეგიონში მოსახლეობის მედიაწიგნიერების დონის ასამაღლებლად, შემდგომში მედიაგანათლების მისაღებად რაც თავის მხრივ განაპირობებს ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, ციფრული კაპიტალის კონცეფცია, მიუხედავად მისი სიახლისა და კაპიტალის სხვა ტიპებთან შედარებით უფრო ჩრდილში ყოფნისა (ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და ა.შ.) - დღეს იგი სულ უფრო მეტად ექცევა მკვლევარების ყურადღების ცენტრში.

სადღეისოდ ციფრული კაპიტალის თეორიული გააზრება და ემპირიული გაზომვა გადაუდებელი ამოცანაა მრავალი მიზეზის გამო. მუდმივი ციფრული დაყოფა სამივე დონეზე (წვდომა, უნარ-ჩვევები, ისტ-ის გამოყენების სარგებელი), როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ასევე გლობალურად; საზოგადოების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ციფრული მედიის საკომუნიკაციო სივრცის გაფართოების გამო მომხმარებელთა მზარდი საჭიროება ახალი ციფრული კომპეტენციების მიმართ; ამოცანების რეალიზება მედია განათლების სფეროში, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე ტიპის „ციფრული მოქალაქის“ ფორმირებას, წიგნიერების ახალი ტიპის ჩამოყალიბებას - ეს და მრავალი სხვა ფაქტორი განსაზღვრავს ციფრული კაპიტალის მნიშვნელობას თანამედროვე სოციალურ რეალობაში.

ციფრულ კაპიტალს მჭიდრო კავშირი აქვს კაპიტალის სხვა ტიპებთან - სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ციფრულ და სოციალურ კაპიტალს შორის ურთიერთობა. იმის გათვალისწინებით, რომ ციფრული მედიის კომუნიკაციები და ციფრული სივრცეში სოციალური ქსელების მშენებლობა დღეს შეუძლებელია შესაბამისი ციფრული კომპეტენციისა და უნარების მქონე ადამიანის გარეშე.

ციფრული კაპიტალი დღეს უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ცალკეული, დამოუკიდებელი კაპიტალი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თანამედროვე ადამიანის წარმატებას პროფესიულ, სოციალურ და პირად ურთიერთობებში, არამედ როგორც მეტაკაპიტალი, ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მომხდენი სხვა დანარჩენ არამატერიალურ კაპიტალზე. საკომუნიკაციო და ინფორმაციული კაპიტალი ახლა უკვე მჭიდრო კავშირშია ციფრულ კაპიტალთან, პოლიტიკური და სოციალური კაპიტალი, დაფუძნებული სოციალურ ქსელებზე, რომელთა ჩამოყალიბებას თავად უფრო მეტად უწყობს ხელს სოციალური მედია.

კულტურული კაპიტალი, რომლის დაგროვება ასოცირდება სოციალიზაციის უნარებთან - პროცესი, რომელიც სულ უფრო გადადის ვირტუალურ მედიასთან ურთიერთობის გარემოში, განსაკუთრებით ახალგაზრდული მედიის სოციალიზაციის გათვალისწინებით. ისინი მეტ დროს ატარებენ ვირტუალურ სივრცეში. პანდემიის დროს სწავლა მთლიანად დისტანციურ ფორმატში გადავიდა და ამანაც იქონია დიდი გავლენა.

ციფრული კაპიტალის მნიშვნელოვან მახასიათებლად ასევე მიგვაჩნია მისი ჰიბრიდული ხასიათი, კაპიტალის ერთ ფორმაში ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის ინტეგრირება - ციფრული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა (ციფრული უთანასწორობის პირველი დონე) და ამ ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა (მეორე დონე), ე.ი. რეალურად მატერიალური და არამატერიალური თვისებები. გამოვლენილი თვისებები გვაძლევს საშუალებას, ციფრული კაპიტალის კონცეფციის შექმნის მცდელობისა, რაც მოითხოვს შემდგომ თეორიულ და ემპირიულ გადამოწმებას, მაგრამ ურთიერთმიმართება, და ურთიერთგავლენა შესამჩნევია. სწორედ ამიტომ, ციფრული კაპიტალის გაზომვის საკითხები, მისი სტრუქტურის ანალიზი (ციფრული კაპიტალის ინდექსები) და ციფრული კაპიტალის დონის ამაღლება, მათ შორის მედიაგანათლებით და მოსახლეობის ინფორმაციული და ციფრული წიგნიერების განვითარებით შესაძლებელია ციფრული უთანასწორობის შემცირება საზოგადოებაში.

ბიბლიოგრაფია:

1. Syed P., Whiteley P. (1997) Political Capital Formation Among British Party Members. In: van Deth J. (ed.) Private Groups and Public Life: Social Participation, Voluntary Associations and Political Involvement in Representative Democracies. European Political Science Series. Routledge.
2. van Deursen A., Helsper E. (2015) The Third-level Digital Divide: Who Benefits Most from Being Online? In: Robinson L., Cotton S.R., Schulz J., Hale T.M. et al. (eds.) Communication and Information Technologies Annual (Studies in Media and Communications, Volume 10). Emerald Group Publishing Limited, pp. 29–52.
3. Attewell P. (2001) The First and Second Digital Divides. *Sociology of Education* 74 (3): 252–259.
4. Becker G.S. (1996) Accounting for Tastes. Harvard University Press.
5. Bourdieu P. (2001) Forms of Capital. In: M. Granovetter M., Swedberg R. (eds.) *The Sociology of Economic Life*. 2nd ed. Boulder: Westview Press, pp. 98–102.
6. van Deursen A., van Dijk J. (2018) The First-level Digital Divide Shifts from Inequalities in Physical Access to Inequalities in Material Access. *New Media and Society*: 1022. DOI: 1177/1461444818797082
7. Fuchs C., Horak, E. (2008). Africa and the Digital Divide. *Telematics and Informatics* 25: 99–116. DOI: 10.1016/j.tele.2006.06.004
8. Deviatko I. (2013) Digitizing Russia. The Uneven Pace of Progress Towards ICT Equality. In: Ragnedda M., Muschert G.W. (eds.) *The Digital Divide. The Internet and Social Inequality in International Perspective*. NY: Routledge, pp. 118–133.
9. Hamelink C.J. (2000) *The Ethics of Cyberspace*. London: SAGE.
10. Norris P. (2001) *The Digital Divide: Civic Engagement, Information Poverty, and the Internet Worldwide*. Cambridge, UK: Cambridge University Press. DOI: <https://doi.org/10.1017/CBO9781139164887>
11. Park S. (2017) *Digital Capital*. London, United Kingdom: Palgrave Macmillan. DOI: 10.1057/978-1-137-59332-0

12. Ragnedda M., Ruiu M.L., Addeo F. (2019) Measuring Digital Capital: An empirical investigation. *New Media and Society* 1: 1-24.
13. Ragnedda M., Ruiu M.L. (2020) Digital Capital: A Bourdieusian Perspective on the Digital Divide. Emerald Publishing Ltd.

რეზიუმე

სტატიაში საუბარია ციფრული კაპიტალის კონცეფციაზე, რომელშიც მოვიაზრებთ მომხმარებლისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების, ციფრული საკომუნიკაციო არეალით სარგებლობის შესაძლებლობას შემეცნებითი, ბიზნეს თუ სხვადასხვა საქმიანობისათვის. ვაანალიზებთ არამატერიალური კაპიტალის, კერძოდ კი ციფრული კაპიტალის ფორმების შესწავლის სადღეისოდ არსებულ მიდგომებსა და კონცეფციებს, რომლებიც წარმოდგენილია უცხოურ აკადემიურ ნაშრომებში. გაკეთებულია დასკვნები ციფრული კაპიტალის თეორიული გააზრებისა და ემპირიული გაზომვის მნიშვნელობის შესახებ თანამედროვე ციფრულ გარემოში. კვლევის მთავარ თეორიულ ჩარჩოდ აღებულია ციფრული დაყოფის კონცეფცია, რომელიც ციფრულ კაპიტალს განმარტავს ციფრული უთანასწორობის მესამე დონის დაძლევის მთავარ კომპონენტად.

საკვანძო სიტყვები: ციფრული კაპიტალი, არამატერიალური კაპიტალი, ციფრული უთანასწორობა, ინტერნეტი, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ციფრული მოქალაქეობა.

THE ROLE OF DIGITAL CAPITAL IN RAISING THE LEVEL OF MEDIA EDUCATION OF THE SOCIETY

Maia Benia

Georgian Technical University; Associate Professor

Levan Gagvishvili

Georgian Agrarian University; Associate Professor

RESUME

The article discusses the concept of digital capital. We consider the possibility of users and information technologies, use of digital communication area for cognitive, business or various activities. We analyze the current approaches and concepts of the study of intangible capital, in particular digital capital forms, which are presented in foreign academic papers. Conclusions have been made about the importance of theoretical understanding and empirical measurement of digital capital in the modern digital environment. The main theoretical framework of the research is the concept of digital division, which defines digital capital as the main component of overcoming the third level of digital inequality.

Key words: Digital capital, Intangible capital, Digital inequality, Internet, Informational technologies, Digital citizenship

ბიზნეს-პორტფელის ოპტიმიზაცია, როგორც კომპანიის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის გარანტი

რამაზ მარლიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს-პორტფელი; „მწირი“ ბიზნეს-პორტფელი; „მდიდარი“ ბიზნეს-პორტფელი; ერთპროფილიანი კომპანია; მრავალპროფილიანი კომპანია.

მსოფლიოს არცერთი ქვეყანა, მათ შორის არც განვითარებული ქვეყანა, არ ცდილობს და არც ისახავს მიზნად კონკურენტული უპირატესობის მიღწევას ყველა იმ საქონლისა და მომსახურების მიხედვით, რომელთა წარმოებაც მის მიერ არის შესაძლებელი. მან პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს მათ შორის იმათ, რომლებითაც გარკვეულ სამიზნე ბაზრებზე ფარდობითი უპირატესობა ექნება [1, გვ. 30-31].

ბიზნეს-პორტფელი პირობითი დასახელებაა იმ საქმიანობების ნაკრებისა, რომლებსაც კომპანია ახორციელებს. კომპანია თავად ირჩევს რომელი და რამდენი საქმე შეასრულოს. არა თუ სხვადასხვა დარგში ერთობლივად ფუნქციონირებად კომპანიას, არამედ, ერთ დარგში ფუნქციონირებადსაც კი შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სხვადასხვაპროფილი. პროფილების ჩამონათვალი კომპანიის დაფუძნებისას მის წესდებაში ფიქსირდება. ასე იქმნება მისი ბიზნეს-პორტფელი, რომელიც შემდეგ შეიძლება შეიცვალოს პორტფელის შემცირების, ანდა პირიქით, შევსების მიმართულებით. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ბაზარზე კონკურენციის მასშტაბი და ხარისხი.

ბაზარი ცვალებადია. ერთ მომენტში რომ ბაზარზე ერთ საქონელზე ან მომსახურებაზე მომეტებული მოთხოვნა, მეორე მომენტში იგი შეიძლება შემცირდეს, ანდა სრულიად გაქრეს. ამის მიხედვით, კომპანიამ ბიზნეს-პორტფელიც უნდა შეცვალოს - წარმოებიდან მოხსნას ის ოპერაციები და ქმედებები, რომელთა მეშვეობით წარმოებული საქონელი ან მომსახურება აღარ იყიდება და ჩართოს ისინი, რომლებზეც მოთხოვნა გაჩნდა.

დღევანდელ გლობალურ სამყაროში ბაზარიც და ბაზარზე კონკურენციაც გლობალურია. საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით ან მომსახურებით გასვლა ყველა ქვეყნის მუდმივი ზრუნვის საგანია. მსოფლო ბაზარზე ქვეყანა მისი კომპანიების პროდუქციით ან მომსახურებით გადის. საქართველო განვითარების გზაზე მდგარი განვითარებადი ქვეყანაა. მისი პროდუქცია ვერ იქნება მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ვიდრე მისი კომპანიები არ ისწავლიან ბიზნეს-პორტფელების განახლებას, ახალი და უახლესი ტექნოლოგიების ბაზარზე მის ოპტიმიზებას, კონკურენტუნარიანობის მიღწევის სტრატეგიის შერჩევას და ა. შ.

ტერმინი „კონკურენტუნარიანობა“ ფართოდ გამოიყენება ეკონომიკაში, მ. შ. ბიზნესში, როგორც ცალკეულ საქონელთან, ან კომპანიასთან, ისე დარგთან და ქვეყანასთან მიმართებაში. ამასთან, არა თუ არ არსებობს მისი ერთიანი, უნივერსალური განმარტება [2, გვ. 17], არამედ მის მიზანმიმართულების შესახებაც გამოითქმება ეჭვი [3]. ამის მიუხედავად, კონკურენტუნარიანობას საწარმოსთვის ასე განსაზღვრავენ [2, გვ. 17]: „კონკურენტობის ქვეშ მიზანშეწონილია ვიგულისხმობთ კონკურირების შესაძლებლობა საქონლის და მომსახურების ბაზარზე“.

საქართველოში არსებული მდგომარეობა და ევროპის მცირე ქვეყნების პრაქტიკა გვკარნახობს, რომ მსოფლიო ბაზარზე ადგილის მოსაპოვებლად და შიდა ბაზარზე გარედან შემოსული კონკურენტების დასამარცხებლად, ყველა კომპანიამ მთელი ძალისხმევა უნდა მიმართოს თავისი პროდუქციის (თუ მომსახურების) გაუმჯობესებაზე. მასში იგულისხმება [4]:

- გამოშვებული პროდუქციის (მომსახურების) ხარისხის ამაღლება;
- საქმიანობის სახეების გამრავალფეროვნება;
- პროდუქციაზე (მომსახურებაზე) გაწეული დანახარჯების შემცირება.

კონკურენტუნარიანობის ამაღლების სამივე გზა არის საინტერესო, თუმცა, მოცემული სტატიის კონტექსტში, უპირველესად მიგვაჩნია საქმიანობის გამრავალფეროვნება. იგი პირდაპირ არის დაკავშირებული ბიზნეს-პორტფელთან.

საქმიანობის გამრავალფეროვნებას მეცნიერები დივერსიფიკაციას უწოდებენ [5, გვ. 399]. თუ კომპანია ერთ დარგში (სფეროში) ფუნქციონირებს, მას ერთპროფილიანი კომპანია ეწოდება, ხოლო თუ ერთდროულად სხვადასხვა სფეროში, მაშინ - დივერსიფიცირებული. იგივე ტერმინები გამოიყენება, თუ კომპანია ერთი დარგის შიგნით ერთ, ანდა სხვადასხვა ოპერაციებზე არის დასპეციალიზებული. მაგალითად, სამედიცინო კლინიკა „ახალი მზერა“ ერთპროფილიანია, რადგან იგი მხოლოდ ადამიანის თვალზე მუშაობს, სამედიცინო კლინიკა „ავერსი“ კი - დივერსიფიცირებულია, რადგან, ის ადამიანის სხვადასხვა დაავადებების მკურნალობას ახორციელებს. აქედან გამომდინარე, კლინიკა „ახალი მზერის“ ბიზნეს-პორტფელი „მწირია“, რადგან ამ პორტფელში მხოლოდ ერთი სახის სამედიცინო მომსახურება შედის, კლინიკა „ავერსი“-ს ბიზნეს-პორტფელი კი - „მდიდარი“. თუმცა, ბიზნეს-პორტფელის რაოდენობრივი „სიმწირე“ ან „სიმდიდრე“ კომპანიას არც კონკურენციაში ლიდერობას პირდება და არც მოგების დიდძალს მიღებას. ანუ მთავარი ამბიზენს-პროცესების რაოდენობა კი არ არის, არამედ, თითოეული პროცესის ხაზით ბაზარზე განვითარებული კონკურენციის სიმწვავე (კონკურენტების რაოდენობა, მათი ძლიერი მხარეები) და ამ კონკურენციისთვის და მასში ჩართული კონკურენტებისთვის ღირსეული წინააღმდეგობის გასაწევად მოცემული კომპანიის მზაობა. ჩვენი ეს მიდგომა ყველა სფეროს ეხება. ეხება ის ჯანდაცვასაც. კლინიკა „ახალი მზერა“ სწორედ თავისი ძლიერი მხარეებით, მწირი ბიზნეს-პორტფელის მიუხედავად, საკუთარი პროფილის ხაზი კონკურენტუნარიანი საქართველოს ბაზარზე და თვალის კლინიკებს შორის ლიდერსაც წარმოადგენს. ამის საპირისპიროდ შეიძლება დასახელდეს ისეთი მრავალპროფილიანი ანუ „მდიდარი“ ბიზნეს-პორტფელის მქონე კლინიკაც, რომელიც მართალია რამდენიმე ბიზნეს-პროცესს ასრულებს, მაგრამ ყველა ხაზით კონკურენციაში უკანა რიგებშია. ნათქვამიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ წარმატებული ბაზარზე შეიძლება იყოს ერთპროფილიანი, ანუ „მწირი“ ბიზნეს-პორტფელის მქონე კომპანიაც და მრავალპროფილიანი (დივერსიფიცირებული) კომპანიაც. თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ იმის შესახებ, რომ როგორი ძლიერი პოტენციალის მქონეც არ უნდა იყოს კომპანია, მას გაუჭირდება მრავალ სხვადასხვა პროფილით კონკურენციაში ერთნაირი წარმატება. დიდ კომპანიაში იფანტება რესურსები, სუსტდება, ხანდახან საერთოდ ქრება ერთი მიზნისკენ სწრაფვა, ადგილი აქვს დასაქმებულთა ორმაგ, ხშირად სამმაგ დაქვემდებარებას, რაც ართულებს მართვას, იწყება ე. წ. „სტრატეგიული მოუწესრიგებლობა“ და მრავალი სხვა. ამიტომ კომპანია არ უნდა შეეცადოს, რომ მაინც და მაინც ფართოდ დივერსიფიცირებული იყოს. საჭიროა კომპანია და მისი ბიზნეს-პორტფელი იმ საქმიანობებს ნუ იმ ბიზნეს-პროცესებს დაეფუძნოს, რასაც ის ყველაზე კარგად აკეთებს და რომლის პროდუქციაზე (თუ მომსახურებაზე) ბაზარზე მოთხოვნაც არის. თუ კომპანია ისეთი საქმეების გაკეთებასაც აპირებს, რომლის ორგანიზაციული სიძლიერე და შესაძლებლობები მას არა აქვს, ეს დიდ საფრთხეს წარმოადგენს მისთვის. განსაკუთრებით საშიშია მისთვის ძირითადი საქმის გარდა არამონათესავე საქმეებით პორტფელის დაკომპლექტება (მაგალითად, კლინიკა „ავერსი“ რომ დაიწყოს ფიჭრი აგროფირმის გახსნაზე, კერძო სკოლის დაფუძნებაზე და სხვა). თუ მაინც და მაინც კომპანიას არ აწყობს ერთპროფილიანი კომპანია, სასურველია ეს მონათესავე დარგში (დარგებში) შევიდეს. ჯანმრთელობის სფეროს კომპანიისთვის ასეთი მონათესავე სფერო იქნება საკურორტო მეურნეობა, კვების მრეწველობის კომპანიისთვის - სოფლის

მეურნეობა, სატრანსპორტო კომპანიისთვის - ლოგისტიკის სფერო და ა. შ. მაშასადამე, ბიზნეს-პორტფელის დაკომპლექტებამდე კომპანიაში უმთავრეს ამოცანად რჩება იმის გარკვევა, თუ პრაქტიკულად მას რომელი საქმის განხორციელება შეუძლია კარგად.

თუ მოხდა ისე, რომ კომპანიის დაუძნებლის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ რომელიღაც ერთი საქმის განხორციელება მის ძალებს აღემატება (ეს ხდება მაშინ, როდესაც კომპანიამ კარგად ვერ გათვალა თავის შესაძლებლობები), მაშინ მან ის მომენტალურად უნდა მოიშოროს თავიდან, ხოლო თუ იგი ეხება არა მთლიანად ამ საქმეს, არამედ, მის რომელიმე ერთ ოპერაციას, მაშინ ის ოპერაცია ასევე დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს აუტოსორსინგზე, ანუ დაკვეთით გააკეთებინოს ამ ოპერაციაზე დასპეციალიზებულ გარეშე კომპანიას.

ასე რომ, კომპანიის ბიზნეს-პორტფელის დაკომპლექტებაზე პირდაპირ ზემოქმედებენ კომპანიის შესაძლებლობები და გარე საფრთხეები. ბიზნეს-პორტფელის დაკომპლექტებისას აუცილებელია ამ ორივე ფაქტორის გათვალისწინება. პორტფელი ისე უნდა დავაკომპლექტოთ, რომ მისი მეშვეობით კომპანიის რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობის რეალიზება მოხდეს, განსაკუთრებით ისეთის, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის სტაბილურ კონკურენტულ უპირატესობასთან. თუ კომპანიის ბიზნეს-პორტფელი ამ პრინციპით დაკომპლექტდა, მაშინ, ის ნადვილად იქნება მისი კონკურენტ-უნარიანობის უზრუნველყოფის გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერს-პექტივები. თბ., 2010.
2. ბარათაშვილი ე., გეგზაია ბ., ღლონტი ვ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები. თბ., 2012.
3. Пилипетко И. В. Конкуренентоспособность страны и регионов в мировом хозяйстве. Москва-Смоленск. 2015.
4. გოგიაშვილი შ. კონკურენტული კანონმდებლობა და ბიზნესგარემო საქართველოში. ჟ. „ახალი ეკონომისტი“. #1. 2006.
5. ტოპმპსონი ა., სტრიკლენდი ა. სტრატეგიული მენეჯმენტი. თბ., 2009.

რეზიუმე

სტატიაში - „ბიზნეს-პორტფელის ოპტიმიზაცია, როგორც კომპანიის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის გარანტი“ - კომპანიის ბიზნეს-პორტფელი განმარტებულია, როგორც ბიზნეს-საქმეების ის ნაკრები, რომელთა განხორციელება გადაწყვიტა კომპანიამ, და, რომელთა ჩამონათვალი შეიტანა კიდევ თავის სადამფუძნებლო წესდებაში.

კომპანიის ბიზნეს-პორტფელი შეიძლება იყოს ერთპროფილიანი და მრავალპროფილიანი. ერთპროფილიანი კომპანია მხოლოდ ერთ ბიზნეს-საქმეს ახორციელებს, მრავალპროფილიანი, ანუ დივერსიფიცირებული კი - მრავალ ბიზნეს-საქმეს. კომპანიის დივერსიფიცირება შეიძლება როგორც იმავე დარგში, ასევე სხვა დარგებში. ჯანდაცვის სფეროში ერთპროფილიან კომპანიათა მაგალითად დასახელებულია კლინიკა „ახალი მზერა“, მრავალპროფილიანის მაგალითად კი, კლინიკა - ავერსი“.

ბიზნეს-საქმეთა რაოდენობის მიხედვით ერთპროფილიან ბიზნეს-პორტფელს „მწირ“ პორტფელს უწოდებენ, მრავალპროფილიანს კი „მდიდარ“ ბიზნეს-პორტფელს. სტატიის ავტორი აფრთხილებს კომპანიებს, რომ მაინცდამაინც ნუ დახარბდებიან პორტფელის გამდიდრებას. აუცილებლობის შემთხვევაში დივერსიფიცია

მოახდინონ მხოლოდ მონათესავე დარგებში და ისიც, საკუთარი შესაძლებლობების გულმოდგინეთ და ობიექტურად შესწავლის შემდეგ.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს-პორტფელი; „მწირი“ ბიზნეს-პორტფელი; „მდიდარი“ ბიზნეს-პორტფელი; ერთპროფილიანი კომპანია; მრავალპროფილიანი კომპანია.

BUSINESS PORTFOLIO OPTIMIZATION AS A GUARANTEE OF THE COMPANY'S COMPETITIVENESS

RAMAZ MARGISHVILI, Doctoral of Georgian Technical University

S U M M A R Y

In the article - “Business Portfolio Optimization as a Guarantee of the Company’s Competitiveness” – it is defined the company’s business portfolio as a set of business cases that the company has decided to implement, and the list of which is even included in its articles of association.

The company’s business portfolio can be single-profile or multi-profile. A single-profile company carries out only one business, while a multi-profile, ie diversified, multi-business case. The company can be diversified in the same field as well as in other fields. An example of a single-profile company in the field of healthcare is the clinic “Akhali Mzera”, and an example of a multi-profile company is the clinic – “Aversi.”

According to the number of business cases, a single-profile business portfolio is called a “scarce” portfolio, while a multi-profile business portfolio is called a “rich” business portfolio. The author of the article warns companies not to waste their portfolio enrichment. If necessary, diversify only in related fields, and that too, after diligent and objective study of their capabilities.

Key words: Business portfolio; “Scarce” business portfolio; “Rich” business portfolio; Single-profile company; Multi-profile company.

სამშენებლო ბიზნესზე ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების გავლენა

დალი სოლოდაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესორი
ლელა ხელაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: სამშენებლო ბიზნესი, ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები, ინვესტიციები, დასაქმება, შრომის ანაზღაურება.

სამშენებლო ბიზნესი საქართველოში ეკონომიკის ერთ-ერთი დინამიურად მზარდ სექტორს წარმოადგენს. გამომდინარე აქედან, დიდია სამშენებლო სექტორის როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. სამშენებლო ინდუსტრია არის ბიზნესის ერთ ერთი სწრაფად განვითარებადი მიმართულება, რომლის ფუნქციონირებასა და შედეგებზე გავლენის მოხდენა მრავალ ფაქტორს შეუძლია. სამშენებლო საქმიანობაზე მოქმედ ფაქტორთა ანალიზი საშუალებას იძლევა მინიმუმამდე იქნას შემცირებული ფაქტორთა უარყოფითი გავლენა და კომპანიის სასარგებლოდ იქნას გამოყენებული დარგის განვითარებაზე დადებითად მოქმედი ფაქტორები. სწორედ ამიტომ, აღნიშნული საკითხი აქტუალურია თანამედროვე პირობებში და სამშენებლო კომპანიების ფუნქციონირებაზე მოქმედ ფაქტორთა ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ისევე, როგორც ნებისმიერი ბიზნესის, სამშენებლო სფეროს განვითარებაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ეგზოგენური (გარე), ასევე, ენდოგენური (შიდა -) ფაქტორები და პირობები.


სამშენებლო სექტორის განვითარებაზე მოქმედ ეგზოგენურ და ენდოგენურ ფაქტორებს მიეკუთვნება: ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და ზოგადი პოლიტიკურ-ეკონომიკური კლიმატი, მოსახლეობის ფინანსური სტაბილურობა და მსყიდველობით უნარიანობა, კვალიფიციური მუშა ხელის რაოდენობა, დარგის თავისებურებები, სამშენებლო სექტორის სამართლებრივი რეგულირების საკითხები და ა.შ.

ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნებისმიერი სფეროს, მათ შორის სამშენებლო ბიზნესის განვითარების ხარისხი და ტემპები. ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მიზანი სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევაა. საქართველოში ეკონომიკური ზრდა დიდწილად უკავშირდება პირდაპირ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და მათი რეალური სექტორისკენ მიმართვას. ინვესტირება ისეთ სფეროებში, როგორცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სამშენებლო ბიზნესი და სხვა, პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას და ადამიანების დასაქმებას.

სამშენებლო სექტორში განხორციელებულ ინვესტიციებს შეუძლია წაახალისოს ადგილობრივი წარმოებაც. როდესაც ქვეყანაში ეს სექტორი სწრაფი ტემპებით ვითარდება, ეს მოთხოვნას ქმნის როგორც სამშენებლო მასალების, ისე ადგილობრივ მუშახელზე, ეს ყველაფერი კი ამცირებს ქვეყნის იმპორტდამოკიდებულებას, ამიტომ,

ამ სფეროში შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკური ზრდის მიღწევას უფრო მეტად აადვილებს.

თუ ბოლო წლების სტატისტიკურ მონაცემებს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ქვეყანაში (COVID პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილ კრიზისამდე) წლიდან წლამდე სამშენებლო სექტორში ინვესტიციების რაოდენობა მატულობდა და ეს სფერო სხვა სფეროებთან შედარებით უფრო სწრაფად ვითარდებოდა. პანდემიამ კი ისევე როგორც, ეკონომიკი სხვა დარგები, სამშენებლო სფეროც გარკვეული პრობლემების წინაშე დააყენა. სწორედ ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების შემცირებისა (იხ. დიაგრამა 1).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საბაზრო ეკონომიკის პირობების შესაბამისად, სამშენებლო ინდუსტრიაც მოთხოვნა-მიწოდების პრინციპით რეგულირდება. შესაბამისად სამშენებლო პროდუქტზე არსებული მზარდი მოთხოვნა განაპირობებს მშენებლობების ზრდას ქვეყანაში. ფასწარმოქმნა უძრავი ქონების ბაზარზე, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში „გამრუდებულია“. მიიჩნევა, რომ უძრავი ქონება ზედმეტადაა შეფასებული მთელ მსოფლიოში და გამონაკლისს, არც საქართველო წარმოადგენს.

სამშენებლო სფეროში არანაკლებ საყურადღებოა სამშენებლო კომპანიათა პროფესიული კეთილსინდისიერების საკითხი. კერძოდ, სამშენებლო სამუშაოთა ტექნოლოგიის დაცვის საკითხი. სამშენებლო კომპანიების მისწრაფებაა სამშენებლო ხარჯების შემცირება სამშენებლო მასალების ხარისხისა და დაბალი კვალიფიკაციის კადრების ხარჯზე. ტექნიკური რეგლამენტების დაუცველობა იწვევს დასრულებული ობიექტების დაბალ ხარისხს, ობიექტის ექსპლუატაციის დროს მრავალი დეფექტის აღმოჩენას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ავარიები და თანმდევი ფინანსური ზარალი. ამას ემატება მშენებლების მიერ ჩატარებული სამუშაოების და გამოყენებული მასალების მოცულობისა და ფასების ხელოვნურად გაზრდის საყოველთაო ტენდენცია.

სამშენებლო პროდუქტზე მოთხოვნა წარმოიშვება რასაკვირველია ერთის მხრივ სახელმწიფოს მხრიდანაც, ვინაიდან სახელმწიფოს განვითარების პროგრამის ფარგლებში მუდმივად ხორციელდება ახალი ობიექტების მშენებლობები, რესტავრაცია, გზების მშენებლობა და ა.შ. მეორე მხრივ კი შენობებზე მოთხოვნა მოდის თავად მოქალაქეთა მხრიდან. აქედან გამომდინარე, მოქალაქეთა ფინანსურ სტაბილურობასა და მსყიდველობით უნარიანობას მშენებლობაზე მოთხოვნის შეცვლა

შეუძლია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით მშენებლობის სექტორში გამოშვებული პროდუქცია 2020 წელს 8,2 მილიარდ ლარს შეადგენდა, მშენებლობის დარგის ბრუნვა კი 7,7 მილიარდი ლარი იყო, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს 8 %-ით ჩამორჩება. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსახლების მსყიდველობითუნარიანობის შემცირება მყისიერად უარყოფითად აისახა სამშენებლო სექტორის განვითარებაზე.

ინოვაციური ეკონომიკა წარმოუდგენელია მაღაკლვალის ფიციური და ყოველმხრივ განვითარებული სამუშაო ძალის გარეშე. საქართველოს სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პირობებიდან გამომდინარე აუცილებელია მოხდეს ადამიანური კაპიტალის სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გაზიარება. უნდა დაინერგოს კადრების კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვა და ვიწრო სპეციალიზაცია ამა თუ იმ დარგში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც განაპირობებს ქვეყნის უნარს, მუდამ ვითარდებოდეს და ზრდიდეს პროდუქტიულობას, არის კონკურენტული და ეფექტური სამუშაო ძალა.

დღეს საქართველოში განსაკუთრებით პრობლემურია სამუშაო ძალის კვალიფიკაციის შესაბამისობა ბაზრის მოთხოვნებთან, რაც ნეგატიურად აისახება დასაქმებაზე. მნიშვნელოვან დახვეწას საჭიროებს პროფესიული გადამზადების სისტემები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული მიმართულებით უმაღლეს სასწავლებლებლებში მკვეთრად შემცირდა სტუდენტთა რაოდენობა, წლების განმავლობაში ვერ კომპლექტდება უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი ფაკულტეტები თუ სპეციალობები. არასახარებილო მდგომარეობაა პროფესიულ სასწავლებლებშიც. შეუსაბამობაშია საგანმანათლებლო პროგრამებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნები. „მშენებლობის სექტორი მუდმივად განიცდის საკადრო დეფიციტს, ვინაიდან აღნიშნულ სფეროში სპეციალიზირებული კადრების რაოდენობა ვერ ფარავს სამშენებლო სექტორში არსებულ საკადრო მოთხოვნას. სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის დარგების მიხედვით განსაზღვრისას არ არის სათანადოდ გათვალისწინებული ბაზარზე არსებული მოთხოვნები, რაც ქმნის შრომის ბაზართან თავსებადობის პრობლემას“.

დღეის მდგომარეობით საქართველოში ფუნქციონირებს 18 ავტორიზებული სახელმწიფო საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯი, 7 - სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯი და 41-ავტორიზებული კერძო პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ 66 კოლეჯიდან მხოლოდ რამოდენიმე კოლეჯში ხორციელდება სამშენებლო მიმართულებით 1-4 მოდულით სპეციალისტების მომზადება. გამონაკლისს წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“ და სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“.

სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“ საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დეველოპერულ კომპანია m²-თან ერთად დააფუძნა, რომლის მიზანსაც სამშენებლო სფეროს პროფესიონალი კადრებით შევსება წარმოადგენს. კოლეჯი ფუნქციონირებს 2019 წლიდან, ამზადებს სერთიფიცირებულ და დიპლომირებულ სპეციალისტებს საგანმანათლებლო პროგრამებით: „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ და უშუალოდ სამშენებლო მიმართულებით 11 პროფესიული მომზადების პროგრამით.

ქვეყნებს შორის სულ უფრო იზრდება კონკურენცია მაღალკვალიფიციური შრომითი კადრების მოსაზიდად, რადგან მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას აქვს

მაღალი დამატებული ღირებულება, სამეცნიერო ფასეულობა და ინოვაციური პოტენციალი. მაღალკვალიფიციური შრომითი მიგრანტები რამდენჯერმე ნაკლებია დაბალკვალიფიციურზე, მაგრამ მათი ეკონომიკური უკუგება რამდენჯერმე მეტია. მაღალკვალიფიციური შრომის მიგრაციის სახე, მათ მიერ წარმოებული პროდუქტების ეფექტური ეკონომიკური ადაპტირებისას, ხარისხობრივად ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. დღესდღეობით საქართველოში გადაუჭრელ პრობლემად რჩება შრომისუნარიანი და მაღალკვალიფიციური მუშა ხელის მიგრაცია, რაც ჩვენი ქვეყნისათვის ზარალის მომტანია. აქედან გამომდინარე აუცილებელია, რომ შრომის ბაზარზე განხორციელდეს ძირეული ცვლილებები თანამშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების, მათი და ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის, ანაზღაურების მზარდი სისტემის შექმნითა თუ სხვა ეფექტური ღონისძიებების განხორციელების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგნით (განსაკუთრებით რეგიონებში) მაღალკვალიფიციური მუშა ხელის შენარჩუნებას.

სამშენებლო სექტორი ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელია. იგი დაქირავებულ მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით ეკონომიკის სექტორებში დღეის მდგომარეობით მეოთხე ადგილზეა. ბოლო წლების მონაცემებით ამ სფეროში დასაქმებულთა რიცხვი პანდემიამდე მუდმივად იზრდებოდა (იხ. დიაგრამა 2)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამშენებლო სექტორში დაქირავებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2020 წლამდე ყოველწლიურად მატულობდა, ხოლო 2020 წელს მკვეთრად შემცირდა (იხ. დიაგრამა 3).

2020 წლის მაჩვენებელთა საგრძნობი შემცირება უშუალოდ COVID-19-ით გამოწვეულ კრიზისს უკავშირდება, პანდემიასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა და მოთხოვნის შემცირებამ მშენებლობის სექტორსაც ისევე მიაყენა ზიანი, როგორც ბიზნესის სხვა მრავალ დარგს.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლება ნებისმიერი პროგრესული სახელმწიფოს მთავარი დანიშნულება და საზრუნავია. ის პირველ რიგში ძლიერი ბიზნეს სექტორის არსებობაზეა დამოკიდებული. ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის ბუნებრივია სახელმწიფო მოწოდებულია უზრუნველყოს ოპტიმალური პირობები, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ ბიზნესის მხარდაჭერით, სტიმულირებით და მარეგულირებელი ღონისძიებების შემუშავებით.

ბიბლიოგრაფია

1. დავოსის დეკლარაცია. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის ევროპული ხედვა. 2018.
2. დევიდ ნ. უილი. ეკონომიკური ზრდა. მესამე გამოცემა. თარგმანი ინგლისურიდან. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016 წ.
3. მიმინოშვილი თ. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის მექანიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები. დისერტაცია. თბილისი. 2014 წ.
4. საქართველოს კანონი სამშენებლო საქმიანობის შესახებ. კონსოლიდირებული ვერსია. 15.07.2020წ.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
იხ. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba>
6. შამუგია ე. ახალი რეგულაციები - მშენებლობის სექტორში შემცირებული მაჩვენებლები. იხ. <https://bm.ge/ka/article/axali-regulaciebi---msheneblobis-seqtorshi-shemcirebuli-machveneblebi/49128>
7. ჩოგოვაძე,ჯ. პატარაია რ. მშენებლობის ეკონომიკა. 2016.
8. პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური. 2021წ.

რეზიუმე

ბიზნესი მუდმივად განიცდის სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებას და რიგ შემთხვევებში სწორედ ეს ფაქტორები წარმოადგენს ბიზნესის კურსის ცვლილების საფუძველს პოზიტიური ან ნეგატიური მიმართულებით. სამშენებლო სექტორის განვითარებაზე მოქმედებს მრავალი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორი, რის გამოც დარგი მუდმივად განიცდის ცვლილებებს. მშენებლობა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა, აქედან გამომდინარე აუცილებელია დარგის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორთა დეტალური ანალიზი და პროგნოზირება, შესაბამისად დადებითად მოქმედი ფაქტორების სტიმულირება, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სხვა ფაქტორთა უარყოფითი გავლენის ეფექტი და დარგის განვითარებამ ხელი შეუწყოს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას.

SUMMARY

ENDOGENOUS AND EXOGENOUS INFLUENCE OF FACTORS ON THE CONSTRUCTION BUSINESS

Dali Sologhashvili

Akaki Tsereteli State University. Professor

Lela Kheladze

Caucasus International University. PhD student

Businesses are constantly exposed to various factors and in some cases these factors are the basis for changing the course of business in a positive or negative direction. The development of the construction sector is affected by many endogenous and exogenous factors, due to which the industry is constantly undergoing changes. Construction is one of the leading directions of the country's economy, therefore it is necessary to analyze and forecast in detail the factors affecting the development of the sector. Accordingly, stimulate the positive factors to minimize the negative impact of other factors and the development of the sector to contribute to the progress of the country's economy as a whole.

საქართველოს ევროპული იდენტობის პრობლემა - ეგიპტის ფენომენი

ნინო გომართელი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

შესავალი

ქართველი ხალხის სწრაფვამ ამ ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ კიდევ უფრო აქტუალური გახდა ჩვენი ქვეყნის წარსულის ახლებურად გააზრება, ჩვენი ტრადიციული ორიენტაციის ძირითადი მიზეზების ახსნა, იმის გარკვევა, თუ რა აერთიანებს საქართველოს ევროპასთან და როგორ აისახება ევროპული იდეები ქართველი ხალხის აზროვნებასა და ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებ-ლობისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში უმთავრესი პოლიტიკური ორიენტაციის არჩევის პრობლემა იყო. საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების, აყვავებისა და ცივილიზირებულ სამყაროში ადგილის დამკვიდრებისათვის ერთგული მოკავშირის ძიების პრობლემა დღემდე აქტუალურია. აქედან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და შემდგომში მშენებლობის საქმეში უდიდესი როლი უნდა მივანიჭოთ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან არსებული დიპლომატიური ურთიერთობების შესწავლას. საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებასა და ხასიათს ძირითადად განსაზღვრავდა რელიგიური ფაქტორი, რაც ყველაზე ძლიერი ინდიკატორი იყო საუკუნეების მანძილზე. ჩვენი საგარეო პოლიტიკა თითქმის ყოველთვის ქრისტიანული სახელმწიფოების დახმარებაზე იყო ორიენტირებული. რელიგიურმა ფაქტორმა უდიდესი როლი შეასრულა ევროპის, როგორც ერთიანი გეოკულტურული სივრცის ფორმირებაში. ოდითგანვე ქართველთა სწრაფვა ევროპისაკენ განპირობებული იყო სულიერი საიხლოვით, მუსლიმურ სახელმწიფოთა გარემოცვაში მოქცეული ჩვენი ქვეყანა სწორედ ამ სივრცეში ეძებდა თავისი ეროვნული უსაფრთხოების ერთგვარ გარანტს.

ევროპა ჩვენთვის არის არა უბრალოდ რაციონალური არჩევანი, არამედ ეს ჩვენი ისტორიული სახლია. სიტყვაში „ევროპა“ განსახიერებულია ყველაფერი, რისკენაც საქართველო მიისწრაფვის. ეს არის თითოეული მოქალაქის თავისუფლება და კანონის უზენაესობა, კეთილდღეობა და თანასწორობა, მშვიდობა და ნათელი მომავალი, განვითარების პირობები ყველასათვის. რაც მთავარია, ესაა ჩვენი უნიკალურობის, თვითყოფადობის სრულად რეალიზების ახალი სივრცე. ესაა გზა საქართველოს ერთიანობისკენ.

ძირითადი ნაწილი

ევროინტეგრაციის გზაზე საქართველო დგამს წარმატებულ ნაბიჯს, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს მომავალს ევროპულ სახელმწიფოთა ერთიან ოჯახში. ევროკომისიისათვის ანგარიშში საქართველოს მიერ სავიზორეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით შეასრულა ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისათვის საჭირო

ყველა რეფორმა სრულყოფილად განახორციელა. სწორედ წარმატებული რეფორმების შედეგად ჩვენმა ქვეყანამ უკვე მიაღწია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. ევროკავშირის მხრიდან პოზიტიური შეფასება ვიზალიზერალიზაციის გზაზე თავისუფალი, ძლიერი, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შენების ურყევ საფუძველს კიდევ უფრო განამტკიცებს.

ევროკავშირი აღიარებს ჩვენი ქვეყნის განუხრელ ერთგულებას ევროპული ფასეულობებისადმი, საქართველოს წინსვლას ევროპული თანამეგობრობისკენ სწრაფვის გზაზე, იმ თანმიმდევრულ ძალისხმევას, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გასწია რეფორმების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებისათვის. ჩვენი ქვეყანა ცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი “აღმოსავლეთ პარტნიორობის” ლიდერი სახელმწიფოა. მთელი რიგი შიდა და გარე წინააღმდეგობათა მიუხედავად, საქართველო წარმატებით ახორციელებს ევროპელებთან ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, ურთიერთობათა გაღრმავებას, ევროპის ასოციაციებში გაწევრიანებას, ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობას.

დასავლური ორიენტაცია და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია არის ძირითადი საგარეო პოლიტიკური მიმართულება და ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების მთავარი გარანტი. დღეს, როდესაც უკვე შექმნილია და განმტკიცებულია ქართული სახელმწიფო, ქვეყნის წინაშე დგას ახალი ისტორიული ამოცანა: საქართველომ უნდა დაიმკვიდროს თავისი საკუთარი ღირსეული ადგილი მსოფლიოს ქვეყანათა თანამეგობრობაში, განვითარებულ მსოფლიოსთან კულტურული თანამშრომლობისა და ეფექტური ინტეგრაციის გზით და ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობით დაამკვიდროს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები.

თანამედროვე მსოფლიოში, გლობალიზაციისა და ტრანსნაციონალიზმის პირობებში მრავალი ქვეყანა განიცდის ეროვნული იდენტობის კრიზისს. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში აღნიშნულ გარემოებებს ემატება მძიმე მემკვიდრეობა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური ფორმაციის და ინსტიტუტების ტრანსფორმაციის სირთულეები და ა.შ.

მსოფლიოში სულ უფრო და უფრო ხელშესახებ სოციალურ ფაქტორად იქცევა ადამიანთა მობილობა, ეთნიკური ერთობების სხვადასხვა ადგილებში დამკვიდრება და ამის შედეგად წარმოქმნილი ჰიბრიდული იდენტობები, ტრანსნაციონალიზმი, სასაზღვრო კულტურები. ყველა ჩამოთვლილი ფენომენი სოციოლოგების, ისტორიკოსების კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს. ამავე კონტექსტში საჭიროა მოხდეს ეროვნული იდენტობის და ისტორიული (ეთნოისტორიული) მეხსიერების საკითხის განხილვაც.

საქართველო იყო და არის ერთიანი ევროპული ქრისტიანული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი. ქართველ ერს ევროპასთან ქრისტიანობა აკავშირებდა, სწორედ ქრისტიანობის წიაღში მოხდა ევროპული იდეების ხორცმესხმა რომელთა შორის უპირველესია დემოკრატიული ღირებულებები, რომელიც ყველაზე დიდ ქრისტიანულ იდეას, თავისუფლების მარადიულ იდეას უკავშირდება.

ეროვნული იდენტობისა და ისტორიული მეხსიერების მიმართ მზარდი ინტერესი განაპირობებს ხაზი გავუსვათ ამ საკითხთა უდიდეს მნიშვნელობას და მისი შესწავლის აუცილებლობას. იდენტობა რთული კონსტრუქტია, რომელიც ყალიბდება სოციალიზაციის პროცესში, რის დროსაც ინდივიდი იღებს იმ საზოგადოებისათვის მისაღებ ნორმებს და ღირებულებებს, რომელშიც ცხოვრობს. დროთა განმავლობაში ხდება ამ ნორმების გათავისება და იდენტობის განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბება. შესაბამისად, იდენტობის ფორმირებაზე სოციალიზაციას უდიდესი გავლენა გააჩნია. ეროვნული იდენტობა ეს პიროვნების იდენტობაა, ერისადმი მიკუთვნებულობის

გრძნობა, რასაც ის მოქალაქეობრივი სტატუსის მიუხედავად სხვა ადამიანებთან ერთად იზიარებს.

ნაციონალიზმის კვლევების ერთ-ერთი დამფუძნებელი ენტონი დუგლას სმითი ნაშრომში “ეროვნული იდენტობა” აყალიბებს ეროვნული იდენტობის კლასიკურ განსაზღვრებას: ადამიანთა ერთობა, რომელიც იზიარებს ისტორიულ ტერიტორიას, საერთო მითებს და ისტორიულ მეხსიერებას, სახალხო კულტურას, საერთო ეკონომიკასა და საერთო უფლება-მოვალეობებს მისი თითოეული წევრისთვის. სმითი ეროვნულ იდენტობას მრავალგანზომილებიანად მიიჩნევს და ხუთ ფუნდამენტურ მახასიათებელს გამოჰყოფს: ისტორიული ტერიტორია, ანუ სამშობლო, საერთო მითები ისტორიული მეხსიერება, საერთო საზოგადოებრივი მასკულტურა, საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი.

მიგრაციული პროცესები კაცობრიობის განვითარებისა და არსებობის თანმხლები მოვლენაა და სათავეს შორეულ წარსულში იღებს. ძველი “ოიკუმენი” და მასთან ერთად კავკასიაც ადრიდანვე მოექცა კულტურული და ეთნოკულტურული გავლენების ქვეშ, რამაც განაპირობა კიდევ ჩვენი რეგიონის ეთნოკულტურულ არეალად ჩამოყალიბება.

XXI საუკუნეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დიასპორა, როგორც საკუთარი (ადგილსამყოფელი ქვეყნისგან განსხვავებული) კულტურული ღირებულებების მატარებელი ფენომენი და ის სხვადასხვა კულტურათა დაახლოების, ურთიერთგამდიდრების წყარო ხდება. ქართველთა დიასპორები ჩნდებოდნენ იმიტომ, რომ მათთვის დამახასიათებელი იყო მობილობა. ისინი კომპაქტურად მკვიდრდებოდნენ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში და უცხო გარემოშიც კი ინარჩუნებდნენ საკუთარ იდენტობას და თუნდაც სიმბოლურ კავშირს სამშობლოსთან. უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობა იმ ტერიტორიას, იმ მიწას სადაც ცხოვრობენ საკუთრად არ მიიჩნევენ, თავისად მხოლოდ იმას თვლიან, რომლის მოსახლეობასთან საერთო წარმომავლობის რწმენა აკავშირებთ. ამ ერთგვარ ნაკლოვანებას ხშირად აკომპენსირებენ რელიგიური და ლინგვისტური ექსლუზიურობით.

სხვა ხალხების მსგავსად ქართველთა მობილობამ უკანასკნელ პერიოდში არნახულ მასშტაბს მიაღწია. საჭიროა კარგად იქნას გააზრებული საზღვარგარეთ მყოფი ჩვენ თანამემამულეთა ყოფიერების სპეციფიკა, რათა სახელმწიფომ შეძლოს სათანადო, შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება. ეროვნულ იდენტობას მართალია არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს და ქართველი ერი მიჩნეულია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განრგობად ერად, ანუ ერად რომლის ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული, მაგრამ ქართული კომპაქტური, შედარებით მრავალრიცხოვანი მოსახლეობა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა სრულიად ახალი მოვლენაა. ეროვნული იდენტობის არსებობის ფორმა ისტორიულად სახელმწიფოებრივია, ანუ ტერიტორიულად მკაფიოდაა განსაზღვრული.

ახალ ვითარებაში საჭიროა ეროვნული იდენტობის ერთგვარი განვითარებაც, რათა არ მოხდეს საზღვრებს მიღმა მყოფი ქართული ეთნოსის ფრაგმენტების გაბნევა, დაკარგვა, რათა უცხოეთში მცხოვრებმა ქართველმა გარკვეული ფორმით და ინტენსივობით საკუთარი კულტურის გავრცელება საქართველოს გარეთაც შეძლოს. თანამედროვე კომუნიკაციები იძლევა იმის საშუალებას, რომ საზღვარგარეთ მუდმივად დამკვიდრების დროსაც კი სამშობლოსთან ინტენსიური კავშირები არ გაწყდეს და ჩვენი თანამემამულენი აქტიურად იყვნენ ჩართულნი საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გახდნენ ერთგვარი “დესპანები” საქართველოსთან და სხვა ქვეყნებთან საერთაშორისო კავშირების დასამყარებლად.

ინტერნეტის ვირტუალურ სივრცეში თითქმის აღარ არსებობს “ახლოს” და “შორის” ცნებები. თუ ამის სურვილი იქნება გაადვილდება საკუთარი კულტურული მახასიათებლების შენარჩუნება- განვითარება. თუკი რეალური ცხოვრების საყოველთაო ვირტუალიზაცია მოხდება, ძნელი გასარჩევი გახდება სად არის დიასპორული წარმომადგენლობა და სად მისი წარმომშობი გარემო. მაშინ “დიასპორა” მოძველებულ და ზედმეტ ცნებად იქცევა და დიასპორულ წარმომადგენლობას მხოლოდ წარმომადგენლობითობა შეცვლის. იგი უკვე “დაპატარავებულ მსოფლიოში” ახალ ფუნქციებს შეიძენს, რათა კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების, ურთიერთ გამდიდრებისა და ურთიერთგანვითარების პროცესი არ მოიშალოს.

საქართველოს საარქივო ფონდებში, ემიგრაციის მუზეუმში დაცული ემიგრაციული ეპისტოლარული მემკვიდრეობის გაანალიზება საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ქართული ემიგრაციის სულიერი ღირებულებების ორიენტაციებზე. მათთვის ძირითად ორიენტირს ეროვნულ კულტურასთან, მის ტრადიციებთან კავშირი წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ისტორიული მეხსიერების შესანარჩუნებლად. ეთნიკური ტრადიციები მშობლიურ ენასთან ერთად არის ის მუხტი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ეროვნულ იდენტობას, ქართველთა თვითშეგნებას. ყოველივე ამის ნათელი დასტურია ქართული ემიგრაციის ღირსეულ მამულიშვილთა სულიერი მემკვიდრეობა. XX საუკუნის ქართული კულტურა წარმოუდგენელია ამ მემკვიდრეობის შესწავლისა და წარმოჩენის გარეშე.

მეტად მნიშვნელოვანია ემიგრანტთა დამოკიდებულება მშობლიური ერისადმი, სამშობლო მიწისადმი და ისტორიული მეხსიერება, ანუ საერთო ისტორიული ნარატივი, რომელიც მოიცავს ერის წარმომავლობას, მითს წარმომშობის შესახებ, კულტურისა და პოლიტიკური ძლიერების პერიოდის “ოქროს ხანის” ხსოვნას და საერთოდ წინაპართა ჰეროიკულ ისტორიას. ქართველ ემიგრანტთათვის მნიშვნელოვან მაკონსოლიდებელ ფაქტორს წარმოადგენს მიჯაჭვულობა სამშობლო მიწისადმი. სწორედ ტერიტორიული განზომილება უნდა მივიჩნიოთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორად.

ქართველთა ცნობიერებაში აღიბეჭდა ოდესღაც “ნიკოფსიიდან დარუბანდამდე” გადაჭიმული საქართველოს ცნება, რაც ისტორიული ტერიტორიებისათვის ბრძოლასა და მისი დაბრუნების სურვილს კიდევ უფრო ამძაფრებს. იდენტობისა და ისტორიული ტერიტორიის კავშირის მაგალითია აფხაზეთი და სამაჩაბლო. ეს ტერიტორიები ქართველთა ცნობიერებაში აღიქმება, როგორც მშობლიური ქვეყნის განუყოფელი ნაწილი, რის გამოც მათი დათმობა და სუვერენიტეტულ სახელმწიფოდ აღიარება ჭირს. ამ ტერიტორიების დაკარგვასთან შეგუება უკვე ჩამოყალიბებული იდენტობის სერიოზულ ცვლილებას იწვევს. რაც შეეხება მითებს და ისტორიულ მეხსიერებას, მითებში უამრავი ინფორმაციაა შემონახული ქართველი ერის წარმომავლობის შესახებ, ლეგენდებში ასახულია ჩვენს წინაპართა ცხოვრება, ადათ-წესები, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი და კულტურა, განვითარების დონე და სხვ. გავიხსენოთ “ოქროს საწმისის” მითი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და რომლითაც ამაყობს ქართველი ერი. მნიშვნელოვანია აგრეთვე, მითი კავკასიის მთაზე მიჯაჭვული ამირანისა, რომელიც ყოველთვის ქართველთა თავისუფლებისა და დაუმორჩილებლობის სიმბოლოდ აღიქმება. ძველი თაობის წარმომადგენელთა ცნობიერებაში ეროვნული იდენტობის მახასიათებლად დარჩენილია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: რელიგია, ეროვნება, კულტურა, ისტორია. უკანასკნელ პერიოდში ემიგრაციის ახალი თაობების სახით შეინიშნება ეთნოთვითშეგნების შესუსტება, რაც შერეული ქორწინებისა და ემიგრაციის ხანდაზმულობის გამო ისტორიული მეხსიერების დაქვეითებით შეიძლება აიხსნას.

ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება სარწმუნოებას. ქვეყნისათვის, რომელსაც გამუდმებით ესხმოდნენ თავს და რომელიც გარშემორტყმული იყო განსხვავებული რელიგიის მატარებელი ქვეყნებით, იდენტობისა და სარწმუნოების მჭიდრო კავშირი გასაკვირი როდია. დიდი ილია აღნიშნავდა: “ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდანიშნავს მთელი საქართველოს მიწა-წყალს, ქართველობას...” “აკაკი კი მტრის წინააღმდეგ ქართველთა გამარჯვებას შემდეგნაირად ხსნის”: “რას გახდება მომხდური ხალხთან, რომელთაც რწმენა და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს”.

ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობა წარმოადგენს უცხო გარემოში ასიმილირებულ მოქალაქეებს, რომელთაც ისტორიული სამშობლოს ხატი შორეული მოგონების სახითა შემორჩენიათ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ემიგრანტთა ბევრი შთამომავალი აღარ ფლობს მშობლიურ ენას. ის ფაქტი, რომ მშობლიური ენისა და ტერიტორიის მიღმა დარჩენილ, ზოგჯერ კონფესიაშეცვლილი მიგრანტის შეგნებაში ისტორიული მეხსიერების სიმტკიცე, უცხო გარემოსთან ბუნებრივი ასიმილაციის მიუხედავად, ზოგიერთ ეთნიკურად მყარ ფსიქოლოგიურ ნიშან-თვისებას ინარჩუნებს, რაც ინარჩუნებს უპირველეს ყოვლისა გამოიხატება ქართული ემიგრაციის მემკვიდრეობითი თაობების ერთ ადგილზე დაფუძნების ტენდენციაში. უნდა აღინიშნოს, რომ მიგრანტი ყოველთვის გრძნობს სხვადასხვა სახის ბარიერების არსებობას თავის თავსა და ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეს შორის, რასაც ემატება ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფალთა მიერ ემიგრაციის შემზღვეველი რეჟიმის შემოღება, რამაც შესაძლოა არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩინოს მიგრანტს, რითაც აიხსნება ისტორიული გვარების უცხოურ ქარგაზე გადაკეთების არც თუ იშვიათი შემთხვევები. ქართველ მიგრანტთათვის ყველაზე რთული დასაძლევია ჯერ ფსიქოლოგიური, შემდგომ კი მატერიალური ფაქტორი. მიგრანტთა უმრავლესობა თვლის, რომ გარკვეული დროით ეთნიკური თავისებურებების შენარჩუნება ნაწილობრივ შესაძლებელია, თუ იქნება ისტორიულ სამშობლოსთან უწყვეტი კავშირები (უცხოეთში არსებული ქართული სათვისტომოების, დიპლომატიურ-საზოგადოებრივ წარმომადგენლობათა სახით, მასმედიის მეშვეობით და სხვ.).

საქართველოს პარლამენტში არსებობს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტი, რაც ერთგვარად არის დასტური იმისა, რომ სახელმწიფოს გააჩნია დიასპორებთან ურთიერთობის მოწესრიგებისა და გაძლიერების სტრატეგია. პარალელურად, აღმასრულებელ ხელისუფლებაში შექმნილია დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება უნდა შეეცადოს უფრო მკაფიო პოლიტიკა ჩამოაყალიბოს დიასპორებთან ურთიერთობაში. მნიშვნელოვანია ყველა დიასპორულ ორგანიზაციასთან, სათვისტომოსთან, სახელოვნებო ჯგუფებთან, ქართველოლოგიურ ცენტრებთან ინტენსიური საკომუნიკაციო სისტემის აწყობა, მათი შემდგომი გაძლიერება. ასევე, სასურველია თანამშრომლობა უცხოეთში წარმოქმნილ სამრევლოებთან, სხვა ტიპის გაერთიანებებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გომართელი ნ. ევროინტეგრაცია - საქართველოს განვითარების უალტერნატივო გზა, იხ. ჟ. „საისტორიო ვერტიკალები“ N 35-38, თბ., 2017, გვ. 35-38;
2. გომართელი ნ. ევროპა და საქართველოს სამომავლო განვითარების პერსპექტივები, იხ.: ჟ. “განათლება“ N3 (16), თბ., 2016, გვ. 91-94;
3. გომართელი ნ. საქართველოს ევროპული პერსპექტივები და ევროპის

სამეზობლო და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, იხ.: ჟ. „პარალელი“, N9, თბ., 2017, გვ. 185-189;

4. გომარტელი ნ. საქართველოს როლი გეოპოლიტიკურ სივრცეში და კულტურათა შორის დიალოგის აუცილებლობა, იხ.: ჟ. „განათლება“ N3 (30) თბ., 2020, გვ. 34-38;

5. დაუშვილი რ. საქართველო-დასავლეთი, თბ., 2019;

6. დაუშვილი რ. ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2017.

რეზიუმე

საერთაშორისო თანამეგობრობის სისტემაში სრული ინტეგრაცია სახელმწიფოებრიობის არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. დღეს საქართველოსათვის შექმნილია დასავლურ სამყაროსთან დაბრუნების ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება, მასთან პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ინტეგრაციის რეალური ისტორიული შესაძლებლობა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევროპულ თანამეგობრობაში საკუთარი ადგილის განსაზღვრის ამოცანას.

მსოფლიოში სულ უფრო და უფრო ხელშესახებ სოციალურ ფაქტორად იქცევა ადამიანთა მობილობა, ეთნიკური ერთობების სხვადასხვა ადგილებში დამკვიდრება და ამის შედეგად წარმოქმნილი ჰიბრიდული იდენტობები, ტრანსნაციონალიზმი, სასაზღვრო კულტურები. ყველა ჩამოთვლილი ფენომენი სოციოლოგების, ისტორიკოსების კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს. ამავე კონტექსტში საჭიროა მოხდეს ეროვნული იდენტობის და ისტორიული (ეთნოისტორიული) მეხსიერების საკითხის განხილვა.

RESUME

THE PROBLEM OF GEORGIA'S EUROPEAN IDENTITY - THE PHENOMENON OF EMIGRATION

Nino Gomarteli

Professor of Georgian Technical University

Full integration into the system of the international community is the most important condition for the existence of statehood. Today, a favorable international situation has been created for Georgia's return to the Western world, a real historical opportunity for political, socio-economic or cultural integration with it. The task of determining one's place in the European Community occupies a special place in the process of building Georgia's statehood.

Human mobility, the establishment of ethnic unity in different places and, as a result, hybrid identity, transnationalism, border cultures are becoming more and more tangible social factors in the world. All of these phenomena should be the subject of research by sociologists and historians. In the same context, it is necessary to discuss the problem of national identity and historical (ethnohistorical) memory.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სტრატეგიული ასპექტები

საბა ბურჯალიანი

საქართველოს ტექნიკური, უნივერსიტეტის დოქტორანტი

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიოს განვითარების განმსაზღვრელ ტენდენციას გლობალიზაცია წარმოადგენს. მან მთელი მსოფლიო, მისი ყველა კუთხე და კუნძული მოიცვა. მისწვდა ყველა რესურსს - ხილულსაც და უხილავსაც და ფასეულობათა შექმნის გლობალურ ჯაჭვში ჩართო. ამ რესურსებს შორის არის ადამიანური რესურსი, რომელსაც დასაქმების კონტექსტში განხილვისას პერსონალს, სამუშაო ძალას, ან უბრალოდ კადრებს ვუწოდებთ.

გლობალიზაციის თემატიკა აქტიურად განიხილება მსოფლიოს პოლიტიკურ, საქმიან და აკადემიურ წრეებში. მას ახალი შესაძლებლობების წარმოქმნის უნარსაც მიაწერენ და ახალ გამოწვევების წარმომქმნელსაც. ერთიც სწორია და მეორეც. მან ცალკეულ ქვეყნებს და მის კომპანიებს „გაუხსნა საზღვრები“ და ფართო შესაძლებლობები მისცა სხვა ქვეყნის გამოცდილების და მიღწევების გაზიარება-გამოყენებაში და, ამავე დროს, დააწესა ეკონომიკური ქცევის მაღალი სტანდარტები, რომლებიც რეკომენდაციების სახით შესთავაზა ეროვნულ ეკონომიკებს. ეკონომიკის განვითარების ისეთ დაბალ დონეზე მყოფ ქვეყნისთვის, როგორც საქარ-თველოა, ეს სტანდარტები იმავდროულად გამოწვევებია; ისინი ეხება ეკონომიკის და ბიზნესის ყველა სფეროს, მათ მენეჯმენტს, მარკეტინგს, დაფინანსებას, დაკრედიტებას და ა. შ. ერთ-ერთი ასეთი სფერო არის ბიზნესში დასაქმებულ პერსონალის მართვა.

„ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ეს არის ყველა ორგანიზაციისთვის დამახასიათებელი მმართველობითი საქმიანობა, რომლის მიზანია ორგანიზაციის პერსონალით უზრუნველყოფის, მისი რაციონალური გამოყენებისა და სწორი მოტივაციის საფუძველზე ორგანიზაციის საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევა“ [1, გვ. 12]. ეს მიზანი აქვს, როგორც პერსონალის ოპერატიულ (მიმდინარე) მენეჯმენტს, ისე სტრატეგიულ მენეჯმენტს, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველი მოკლევადიანი მიზანია, მეორე კი, - გრძელვადიანი.

ორგანიზაციის სტრატეგიას ახორციელებენ ადამიანები. გამოცდილმა მენეჯერებმა იციან, რომ „სტრატეგიის შემუშავება ანუ განვითარების კურსის არჩევა არ არის რთული, ძნელია მისი შესრულება“ [2, გვ. 27], რადგანაც იგი მოითხოვს მრავალრიცხოვანი შემსრულებლების მონაწილეობას, რომელთაგან თითოეული თავისებურად აღიქვამს ახალ სტრატეგიას, წარმოშობს ახალ ამოცანებს და მოითხოვს მათი გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებს. ასე რომ, ერთია, რომ ორგანიზაცია ადგენს სტრატეგიულ გეგმას და მეორეა მისი შესრულება, უფრო ზუსტად, დასაქმებულთა შესაძლებლობების და მზადყოფნის არსებობა მის შესასრულებლად. მეცნიერებს ტომას ჰაუტს და ჯონ კარტერს აქვთ ასეთი გამოთქმა - „მენეჯერები არ უნდა ფიქრობდნენ იმას, რომ სტრატეგია და შესაძლებლობები თავისთავად გაერთიანდებიან“. სტრატეგიული მენეჯმენტის სპეციალისტები ა. ტომპსონი და ა. სტრიკლენდი კი, თავიანთ კაპიტალურ ნაშრომში - „სტრატეგიული მენეჯმენტი“ პირდაპირ წერენ: „სტრატეგიის აღსრულებაში წარმატების მიღწევა შეუძლებელია, თუ კომპანიას არ ჰყავს გამოცდილი მენეჯერები და თანამშრომელთა საკმარისი რაოდენობა, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი განათლება და ინტელექტუალური კაპიტალი“ [3, გვ. 484]. და, აი, მივედით იქამდის, რის გამოც, მოცემული საკითხის - „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სტრატეგიული ასპექტები“ - წერა დავიწყეთ.

ჩვენ გადავწყვიტეთ ამ საკითხის შესახებ სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებების გადმოცემით და ურთიერთშედარებით წარმოვაჩინოთ დღევანდელ პირობებში პერსონალის მართვაში არსებულ ტრადიციულ ადმინისტრირებასთან შედარებით სტრატეგიული მართვის წინა პლანზე წამოწევა და მისი უპირობოდ დიდი როლის ჩვენება კომპანიის წარმატებების უზრუნველყოფაში.

კადრების ტრადიციული ადმინისტრირება და კადრების სტრატეგიული მართვა ორი სხვადასხვა რამეა. ეს უკანასკნელი კომპანიის ადამიანურ რესურსებს კონკურენტული ბრძოლის სტრატეგიასთან აკავშირებს. კერძოდ, ერთმანეთს უკავშირდება კომპანიის საკადრო პროცედურები, პერსონალის და კულტურული პროფილის მართვის პოლიტიკა და კონკურენტული ბრძოლის სტრატეგია. ასეთი ფორმით მართვის დროს, კომპანიის მენეჯერებს უადვილდებათ კონკურენტული უპირატესობების უზრუნველყოფა. კომპანიის კონკურენციის სტრატეგიის თვალსაზრისით მისი პერსონალის მართვა ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა სისტემების და სტრუქტურების შესაბამისობას ადამიანური რესურსების პრაქტიკასთან.

პერსონალის სტრატეგიულ მართვას, განსხვავებით პერსონალის ტრადიციული ადმინისტრირებისგან, აქვს მხოლოდ და მხოლოდ ის მიზანი, რაც დაფიქსირებულია კომპანიის განვითარების ერთიან ბიზნესსტრატეგიაში. ეს მიზანი არის პერსონალში კონკურენტული უნარების წინ წამოწევა, განვითარება და ამ გზით და ამ საშუალებით კომპანიის საერთო სტრატეგიული მიზნის მიღწევისთვის ხელშეწყობა. პერსონალის ტრადიციული ადმინისტრირების დროს, ეს მიზანი არ შეიმჩნევა. კომპანიები, რომლებიც ამ მეთოდით იმართებიან პერსონალის მართვას თვლიან კომპანიის მართვის ერთ-ერთ რიგით ფუნქციონალურ ფუნქციას.

ასეთ დროს, კომპანიის პერსონალის მართვის სამსახურის მიზანი არსებითად არ ებმის კომპანიის საერთო სტრატეგიულ მიზანს და ცხადია, ასეთ შემთხვევაში, ამ სამსახურის წილი კომპანიის წარმატებებში მხოლოდ მიმდინარე ეტაპზე გამოჩნდება, და, არა გრძელვადიან პერსპექტივაში. კომპანიას კი ნებისმიერ თავის ფუნქციონალურ სამსახურში, იქნება ეს პერსონალის მართვის სამსახური, მარკეტინგის სამსახური, თუ სხვა, გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული მართვა სჭირდება.

დღევანდელ სწრაფცვალებად ბიზნესგარემოსა და გამწვავებულ გლობალურ კონკურენციაში ფუნქციონირებად კომპანიას ესაჭიროება, რომ პერსონალთან დაკავშირებული ყველა საკითხი „წარსულთან ხედვით“ კი არ იმართებოდეს, არამედ, „მომავლის ხედვით“ [4, გვ. 354]. ამ მიდგომის ავტორები ითხოვენ, რომ კომპანიის პერსონალის მართვის სამსახურმა ყოველი თავისი საქმე წარსულთან მჯობნობით კი არ შეაფასოს, არამედ, მომავლის მოთხოვნებთან შესაბამისობით. ამ თვალთახედვით უნდა შეირჩეს პერსონალი, ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს მათ მიერ შესრულებული საქმე და ეს თვალსაზრისი უნდა დაედოს საფუძვლად დასაქმებულთა განვითარების და მოტივაციის სისტემებსაც.

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებამდე პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდებოდა წინარე პერიოდში მიღწეულთან შედარებით, სტიმულირება იყო „რეტროსპექტული“ და წახალისებოდა საქმიანობის მოკლევადიანი შედეგები.

სტრატეგიული მართვის დროს დასაქმებულის შრომისუნარიანობა უნდა შეფასდეს არა იმით, რომ მან სხვაზე უკეთ იმუშავა, ანდა წინა წელთან შედარებით, უკეთესად იმუშავა, არამედ, იმით, თუ როგორია მისი შრომითი პოტენციალი. კომპანიის სამომავლო წარმატებების მისაღწევად და შეუძლია თუ არა კომპანიას ეიმედებოდეს იგი ამ როლში. ამ მოთხოვნიდან უნდა გამომდინარეობდეს დასაქმებულის დაჯილდოვებაც. უნდა დაჯილდოვდნენ ის დასაქმებულები, რომლებიც პროგრესს

აჩვენებენ კომპანიის გრძელვადიან მიზნების მიღწევაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი საქმიანობით კომპანიის მოკლევადიანი მიზნები ზარალდება. კომპანიის ნებისმიერმა მენეჯერმა იცის, რომ დასაქმებულთა ცოდნაც ძველდება და კომპეტენციებიც. მათი დევალვაციის თავიდან ასაცილებლად, კომპანიები დასაქმებულებს გადამზადების ტრენინგებს უწყობენ, მაგრამ სტრატეგიული თვალთახედვით, ეს არ არის საკმარისი. ამის გარდა, საჭიროა პერსონალის სტრატეგიული განვითარება. მასში იგულისხმება განსაკუთრებული რანგის ცოდნის შექმნა, რომელიც ამ მუშაკებისთვის არ არის ტრადიციული.

სტრატეგიული მენეჯმენტის სპეციალისტების აზრით, კომპანიაში სტრატეგიული წარმატების მიღწევა შეუძლებელია თუ მას არ ჰყავს ისეთი თანამშრომლები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი განათლება და ინტელექტუალური კაპიტალი. მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნებიდან მთელი რიგი კომპანიების დასახელება შეიძლება - „General Electric“, „Mckinsey“, „Electric Data Systems“, „Microsoft“, „PepsiCo“, „Nike“, „Cisco“ და სხვები - რომელთა გენერალური მენეჯერები აცხადებენ, შემდეგ: „ჩვენ უბრალოდ ვერ დავუშვებთ, რომ ჩვენს მინდორზე თამაშობდეს სხვა, გარდა მაღალი კლასის პროფესიონალებისა“. ეს კომპანიები ცდილობენ მოიზიდონ მხოლოდ საუკეთესო სპეციალისტები, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტრატეგიის ეფექტიანი რეალიზაციისთვის აუცილებელი პერსონალი და ცოდნის ბაზა.

საზღვარგარეთის ბიზნესის პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ნიჭიერი, კვალიფიცირებული, გამოცდილი სპეციალისტები, ეს არა მხოლოდ რესურსია, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიის ეფექტიან რეალიზებას, არამედ, კონკურენტული უპირატესობის წყაროც.

„დღეს, - წერს პიტერ დრუკერი, - მენეჯერს მოეთხოვება იმ ადამიანებს, ვისთანაც მას უწევს მუშაობა, თავის რესურსად თვლიდეს. ის მათ თავის საქმიანობაში დახმარებისთვის უნდა მიმართავდეს, უნდა ავალებდეს აიღონ თავის თავზე თავისი მენეჯერის დახმარების ვალდებულება, რომ მან უკეთესად და ეფექტიანად შეასრულოს თავისი სამუშაო“.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია, ადამიანი შედარებით მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა, რადგან, მას შრომის პროცესში ხელეწიფება იდეების, განზრახვების და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაცია [5, გვ. 35]. ეს უნარი არა აქვს წარმოების არცერთ სხვა ფაქტორს. სწორედ ამიტომ ნებისმიერ ორგანიზაციას, შემუშავებული უნდა ჰქონდეთ ადამიანური რესურსების მართვის გრძელვადიანი სტრატეგია, ღონისძიებებად და ნაბიჯებად (ამოცანებად) დაშლილი მისი სამოქმედო გეგმა, სამუშაოთა აღწერილობები, სახელფასო მატრიცები, სოციალიზაციის პროგრამები, ცოდნის და უნარების შეფასების სისტემები და მრავალი სხვ.

ასეთ დროს, ირკვევა, რომ „საქართველოს კომპანიების ორგანიზაციების უმეტესობას ადამიანური რესურსების მართვის სფეროში არც სტრატეგიები აქვთ შემუშავებული და არც ზემოთხსენებული ინსტრუმენტები შექმნილი და/ან სწორად დანერგული, რაც დასტურდება დემოტივირებული და უკმაყოფილო თანამშრომელთა სიმრავლით“ [6, გვ. 305].

პერესონალის სტრატეგიული მართვის პოზიციებიდან ორგანიზაციები უნდა დაეყრდნონ შემდეგ პრინციპებს [7, გვ. 131]:

- ადამიანური რესურსების მართვის ინტეგრაცია ორგანიზაციის (კომპანიის) ბიზნესსტრატეგიასთან.
- მომუშავეების განვითარებაში პიროვნული როლი.
- მომუშავეების და მათი ჯგუფების მოტივაციური განწყობის ცოდნა და მისი

სწორი მართვა.

ამ პრინციპებს ჩვენ დავამატებთ ისეთ საბაზრო პრინციპს, როგორც არის დასაქმებულთა მაღალი პროფესიონალიზმი და ასევე მაღალი პასუხისმგებლობა.

დასკვნა. იმის მიუხედავად, რომ XXI საუკუნე სწრაფი და „ქარიშხლიანი“ ცვლილებების საუკუნეა, რაც ეჭვს ქვეშ აყენებს სტრატეგიების, როგორც გრძელვადიანი ხედვების გამართლების ალბათობას, მეცნიერთა უმრავლესობა მაინც მათი შემუშავების მომხრეა. ამ აზრს ვიზიარებთ ჩვენც იმ შენიშვნით, რომ ეს სტრატეგიები არ უნდა იქცნენ „ციხე-სიმაგრედ“ და მათი კორექტირება საწირო შემთხვევაში აუცილებლად უნდა ხდებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (ავტორთა კოლექტივი - პაიჭაძე ნ., ცარციძე მ. და სხვები). თბ., 2009.
2. Steven W. Floyd and Bill Wooldridge. Managing Strategic consensus: The Foundation of Effective Implementation, Academy of Management Executive 6, no 4, November, 1992.
3. ტომპსონი ა., სტრიკლენდი ა. სტრატეგიული მენეჯმენტი. თბ., 2010.
4. Beron D., Dobbin F. War and Peace: The Evolution of modern Personal Administration in US. Industry, American Journal of Socialogu, vol. 92. no, 2 (1986).
5. ჯოლია გ. კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება, მონო-გრაფია, თბ., 2016, გვ. 35.
6. გონგლამეშ., დათიაშვილი თ. სამუშაო გარემოსა და ინდივიდუალური ფაქტორების კვლევა ორგანიზაციის ეფექტიანობის დონის განსაზღვრის მიზნით, ჟ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, #3-4, 2018.
7. პაიჭაძე ნ. საკადრო პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის სრულყოფისთვის. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #1. 2019. ტ. 11.

აბსტრაქტი

სტატიაში დახასიათებულია ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის არსი, საჭიროება და მნიშვნელობა. ნათქვამია იმის შესახებ, რომ ადამიანი თავის უნარით და კომპეტენციებით არის ორგანიზაციის განვითარების წყარო ეს ის რესურსია, რომელსაც ძალუმს ორგანიზაციაში წარმოების სხვა რესურსებიც - მიწა, კაპიტალი და სხვა, - ეფექტიანად ამუშავოს.

სტატიაში ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა შედარებულია მის მიმდინარე, ოპერატიულ მართვასთან და გამოტანილია დასკვნა მისი უპირატესობის შესახებ. ეს დასკვნა გამყარებულია ამ საკითხზე სხვა, მსოფლიო რანგის მეცნიერების შეხედულებებითაც.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსები; სტრატეგიული მართვა; ოპერატიული მართვა; პერსონალის მენეჯერი; პერსონალის მენეჯმენტი.

STRATEGIC ASPECTS OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT

SABA BURJALIANI

Doctoral of Georgian Technical University

ABSTRACT

In the article it is characterized the essence, necessity and importance of strategic human resource management. It is said that a person with the skills and competencies is the source of development of the organization. This is the resource that is able to use effectively other resources of production in the organization like a land, a capital, etc. -.

The article compares the strategic management of human resources with its current, operational management and draws a conclusion about its advantages. This conclusion is supported by the views of other world-class scientists on this subject.

Key words: Human Resources; Strategic management; Operational management; Personnel Manager; Personnel management.

**საქართველოს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და მახლობელი
აღმოსავლეთის (ირანის) ქალაქების სამოხელეო წყობა
(შედარებითი შესწავლა)**

მარინე მესხია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: მახლობელი აღმოსავლეთი, აღმოსავლეთ ამიერკავკასია, ტარულა (მოურავი), ქეთხუდა, ასასი

XVII საუკუნის დამდეგიდან ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მის მეზობელ ქვეყნებში (ირანი, თურქეთი), იწყება საქალაქო ცხოვრების განვითარება ეკონომიკური თვალსაზრისით. მაგრამ ქალაქების ეკონომიკურ მნიშვნელობას არ შეესაბამება მათი პოლიტიკური მდგომარეობა. ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება იმ ფაქტში, რომ საქალაქო ცხოვრების აღმავლობის ხანაშიც კი დღის წესრიგში არ დასმულა სამოქალაქო თვითმმართველობის შექმნის საკითხი. ქალაქები, იმ პერიოდში ძირითადად ფეოდალთა ბატონობის გავლენას განიცდიდა.

აღსანიშნავია, რომ XVII-XVIII საუკუნეებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქების სამოხელეო წყობა თითქმის სრულ იდენტურობას იჩენს ირანის სამოქალაქო ადმინისტრაციასთან (1, 31). ირანის დიდი ქალაქების სამმართველო აპარატი წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით: ტარულა, ქალანთარი, ქალაქის ვეზირი, მუჰთასიბი, ყადი, მუსტაფაი, მირაბი (2,105) ჩრდ. აზერბაიჯანისა და აღმ. სომხეთის ქალაქების სამოხელეო აპარატი კი წარმოდგენილი იყო შემდეგი მოხელეები: ქალანთარი, ტარულა, მუჰთასიბი, ყადი, შეიხულ ისლამი, მირაბი, ქეთხოდები და გზირები ბნმ,(1, 32). რაც შეეხება საქართველოს ქალაქების სამოხელეო წყობას, უნდა ითქვას, რომ აქ არ ჩანს სრული იდენტურობა ირანის ქალაქების სამოხელეო წყობასთან. XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქების მოხელეებს წარმოადგენდნენ: მოურავი (ტარულა, ამირა), მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი, ქეთხოდები, საპოლიციო მოხელეები (ასასები) და სხვ.(3,397). მართალია, ქართულ და ირანულ წყაროებში მოტანილი ცნობები მხოლოდ დიდი ქალაქების (მაგ., ისფაჰანის, ბაქოს, განჯის, თბილისის, გორის) მოხელეებს ეხება, მაგრამ ეს მასალა თავისუფლად შეიძლება იქნას გამოყენებული საერთოდ სეფიანთა ირანის, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის და საქართველოს სახელმწიფოების საქალაქო წყობილების შესასწავლად.

შეგვიძლია შევუდგეთ ამ სახელმწიფოთა ქალაქებში იდენტური მოხელეთა უფლება მოვალეობის მსგავსება- განსხვავების განხილვას.

XVI-XVIII საუკუნეებში, ირანული წყაროს „თაზქირათ ალ მულუქის“ (მეფეთა სახსოვარი), ცნობით, ქალაქის თავი, მმართველი ტარულად იწოდებოდა. ამავე წყაროს მიხედვით მის მთავარ მოვალეობას წესრიგის დაცვა და სიმშვიდე წარმოადგენდა, როგორც ქალაქის ფარგლებში ისე მის სანახებში (2, 103). მისივე საზრუნავი იყო ღამის განმავლობაში სიმშვიდე შეენარჩუნებინა ქალაქის ფარგლებში. ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქალაქის ეკონომიკის ცენტრების- ბაზრების უვნებლობას. მასვე უნდა დაეცვა ქალაქის ბაზრებში მდებარე სახელოსნოები და სავაჭროები (2,იქვე). ირანის ქალაქებში ღამის განმავლობაში ტარულას წესრიგის დაცვაში ეხმარებოდნენ ასასები. ისინი ტარულას ხელქვეითები იყვნენ.ღამის განმავლობაში მოხდარი ქურდობა და სხვა ბოროტმოქმედება ასასს დილით ტარულასათვის უნდა მოეხსენებინა და დამნაშავეები მისთვის გადაეცა.სისხლი სამართლის დანაშაულები დივანბეგის კომპეტენციას შეადგენდა (2, 104). წყაროთა

მონაცემებიდან ტარულა ქალაქში მოსამართლის მოვალეობასაც ასრულებდა, ოღონდ მას მხოლოდ იმ პირთა გასამართლება შეეძლო, რომელთაც სისხლის სამართლის დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი(იქვე,105).მის კომპეტენციაში შედიოდა აგრეთვე სამოქალაქო დავების გარჩევა(იქვე,106).როგორც წესი ტარულა ერთპიროვნულად არჩევდა საქმეს და განაჩენის გამოტანისას რჩევისთვის არ მიმართავდა საქალაქო ადმინისტრაციას., მაგრამ ვალდებული იყო დივანბეგი საქმის კურსში ყოლოდა (2, 107). როგორც კ.კუცია აღნიშნავს, ტარულასა და დივანბეგს უფლებები მართლმსაჯულებაში მკვეთრად ქონდათ გამიჯნული. “თაზქირათ ალ მულუქის „ მიხედვით, დივანბეგს უფლება ჰქონდა ჩარეულიყო ტარულას გასარჩევ საქმეებში, ხოლო როდესაც დივანბეგი არჩევდა საქმეს ტარულა ვეღარ შეეხებოდა მას (2, 107). ყოველივე ზემოთქმული ტარულასა და დივანბეგის შესახებ, კ.კუციას აძლევს საფუძველს დაასკვნას თუ რატომ არის მოხსენებული „თაზქირათ ალ მულუქში“ ტარულა დივანბეგის ხელქვეითად (2,106). ქალაქის მმართველი დივანბეგს ემორჩილებოდა მხოლოდ სამართლის სფეროში, ხოლო თავის მოვალეობებს ის დივანბეგისაგან სრულიად დამოუკიდებლად ასრულებდა. ტარულა ,ისევე,როგორც სეფიანთა ირანის სხვა მნიშვნელოვანი მოხელეები, ჩვეულებრივად შაჰის მიერ ინიშნებოდა და მხოლოდ მის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. ასევე გასათვალისწინებელია,რომ ტარულას გარკვეული ჯამაგირი შაჰისგან ენიშნებოდა(2., იქვე).

საინტერესოა ,რა ფუნქციას ასრულებდა ტარულა (მოურავი) საქართველოს ქალაქებსა და აღმ. ამიერკავკასიის ქალაქებში. ირანის და საქართველოს ქალაქებისაგან განსხვავებით აღმ. ამიერკავკასიის ქალაქების სათავეში „ქალაქის თავი“ ანუ „ბურგომისტრი ქალანთარი“ იდგა (1, 32). ტარულას სამოხელეო ინსტიტუტი ამ ქალაქებში დამცრობილი ჩანს. მას მხოლოდ საპოლიციო ფუნქცია და ქალაქზე გაწერილი გადასახადების აკრეფა - შეგროვებისათვის ხელის შეწყობა ევალებოდა (იქვე, 34-35)

რაც შეეხება საქართველოს ქალაქებში ტარულას (მოურავის) უფლება-მოვალეობას,ის ირანის ქალაქის ტარულასთან უფრო ახლოა. მისი ფუნქციების დადგენა შესაძლებელი ხდება XVIII ს. ძეგლებით, კერძოდ „დასტურლამალითა“ და „მოურავის სარგოს წიგნით“.ქალაქის მოურავს, ისე როგორც ისფაჰანში , ნიშნავდა მეფე და მას ,ისევე ,როგორც ირანის ქალაქების თავებს,უნდა განეგო ყოველივეის, რაც ქალაქში მეფის ბრძანების გატარებას შეეხებოდა(4,528).

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალიდან, განსხვავებით ირანის ქალაქების ტარულებისგან, თბილისის ტარულა(მოურავი) მონაწილეობას იღებდა ნასყიდობა, გაყრილობა-შეყრილობისა და გარიგების წიგნების დამოწმებაში(4,199, 5,639,6,73,). მისივე მოვალეობაში შედიოდა ქალაქის ეკონომიკური მდგომარეობისათვის თვალყურის დევნება,რაც სეფიანთა ირანის ქალაქის ტარულასათვის ხელმისაწვდომი არ იყო. თბილისის მოურავს ყურადღება უნდა მიექცია ქალაქის ბაჟისათვის, საიდანაც გარკვეული წილი ჰქონდა განკუთვნილი:“ ნავროზზედ ზარბაზნები,რომ გაცვივდება,სამი დღე ქალაქის მოურავისა არის ბაჟი,ქალაქის ექვსის კარისვე შემოსავალი.... აბანოს კარზედ და განჯის კარზედ თუ, სხვა კარზედ თუმანზედ ხუთი შაური ბაჟი,რომ ყოფილა ოთხი შაური ბატონის არის და ერთი შაური მოურავისა, მაგრამ ეხლა80 თუმანს აძლევენ“(4,523).

თბილისში მოურავის უფლებას ნიხრის დაწესებაც შეადგენდა. ნიხრი წესდებოდა ხორცზე, ღვინოზე, ყველა სახის თევზებზე, ყურძენზე, ზეთისხილზე (4, 525-526). ასევე მის მოვალეობაში ქალაქში არსებული საზომ-საწყაოთა სისწორის დაცვაზე ზრუნვა წარმოადგენდა (იქვე,527).

საქართველოში, ისევე როგორც ირანში, ქალაქში მოურავის ერთ-ერთ მოვალეობას სამართლის წარმოება შეადგენდა. „მოურავის სარგოს წიგნში“ ვკითხულობთ:“ქალაქის

მოურავი თუ უნდა მელიქ-მამასახლისს და ნაცვალს სამართალში დაისწრებს“ ან კიდევ „მოურავთან რომ მოჩივარი მოვა, თუ თვითონ არ ინებებს სამართალს, თავის იასაულს გაატანს“(იქვე,523).“დასტურლამალიდან“ კი ჩანს, რომ „თუ მდივანბეგი აქ არ იყოს (და) მოქალაქის კაცისაგან სოფლელმან კაცმან ქალაქის მოურავს შემოსჩივლოს, მოურავმან გაურიგოს“(5,636).

მოურავს, აქაც ისევე როგორც ირანის ქალაქში, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მდივანბეგთან, რომლის ხელთ იყო სისხლის სამართლის საქმეები. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი საქმეების განსჯა -გასამართლებაში ქალაქის მოურავიც იღებდა მონაწილეობას: “ბატონის ბრძანებით ქალაქის მოურავი და მდივანბეგი ,რომ სამართალში დასხდებიან, რაც სამდივანბეგო შრმოვა,როგორც რიგი არი, მოურავი და მდივანბეგი ისრე გაიყოფენ“(4.523).

საქართველოსა და ირანის ქალაქებში წესრიგის დასაცავად ტარულას ასახები ეხმარებოდნენ. ასახები, როგორც „მოურავის სარგოს წიგნშია“ ნათქვამი, იასაულებს წარმოადგენდნენ. იასაული კი ადმინისტრაციულ-პოლიციური აპარატის ყველაზე დაბალი მოხელე იყო, რომელიც ძირითადად აღმასრულებელ-საპოლიციო ხასიათის საქმიანობას ეწეოდა.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მასალები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ თბილისის მოურავი ქალაქის ნამდვილი გამგებელი იყო. მას ექვემდებარებოდა ადმინისტრაციის და ცხოვრების ყველა სფერო.

ყურადღება მინდა გავამახვილო კიდევ ერთ ქალაქის მოხელე-ქეთხუდაზე, რომელიც გვხვდება ,როგორც ქართულ, ისე აღმ. ამიერკავკასიის და ირანის ქალაქებში. აღმ. ამიერკავკასიის ქალაქებში ქედხოდა (სომხურ წყაროებში მელიქი ეწოდებოდა) ქალაქის თავის-ქალანთარის ხელქვეითად ითვლებოდა და ყველა მის განკარგულებას ასრულებდა. მას ქალაქის სამოხელეო იერარქიაში ყველაზე დაბალი ადგილი ეკავა (1,41). ირანის ქალაქებშიც ქეთხოდა ქალაქის მცხოვრებლების მიერ არჩეული უზნის უფროსი იყო. საქართველოს ქალაქებში-ქეთხუდა, როგორც შ. მესხია აღნიშნავს, ქალაქის მიერ არჩეული მამასახლისი უნდა ყოფილიყო(3,475) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქეთხუდები თბილისის მმართველობაში აქტიურ როლს თამაშობდნენ. ამის დადასტურებაა ყველა ის დოკუმენტი, სადაც მოურავის, მელიქ-მამასახლისისა და ნაცვალის გვერდით გაყრილობის, ნასყიდობის წიგნების დამამტკიცებლად ქედხუდები ჩანან. ქედხუდები თბილისში სასამართლო ფუნქციებსაც ასრულებდნენ „თბილისის მოურავის გარიგების წიგნში“ ნათქვამია:“ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა სამართლობდეს და სამი ოთხი სარწმუნო მოქალაქე თან ახლდეს სამართლის ბჭობაში, და მოურავი თუ უნდა მელიქ-მამასახლისს და ნაცვალს დაისწრებს, და თუ უნდა... ქეთხუდები ახლდებიან“(4,523) . იყო შემთხვევები ,როდესაც მდივანბეგი პირდაპირ ქედხუდებს აძლევდა საქმეს გასარჩევად(7,39). მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც ,რომ „ქედხუდები ქალაქებში დამოუკიდებელი უფლებებით როდი სარგებლობდნენ. მათი ხელისუფლება მთლიანად დაქვემდებარებული იყო ქალაქებში მეფის მიერ დანიშნული მოხელეებისადმი. ქედხუდათა მიერ დამოწმებული ნასყიდობისა თუ გაყრილობის წიგნი, სასამართლო განაჩენი და სხვა, თუ მეფის მოხელის მიერაც არ იყო დადასტურებული, ძალაში არ შედიოდა(3,482).

ზემოთ მოყვანილი მასალიდან კარგად ჩანს, რომ თბილისში მთელი რიგი სამოხელეო ტერმინებისა აღმოსავლური იყო, მაგრამ უმეტესობას (როგორც მათი შესწავლისას აღმოჩნდა), მხოლოდ სახელწოდება ჰქონდა აღმოსავლური, შინაარსით კი წმინდა ქართული იყო. მაგალითად, თბილისის ქალაქის თავს, მსგავსად ირანის ქალაქებისა , გარკვეულ პერიოდში ტარულა ეწოდებოდა. ამ შემთხვევაში მხოლოდ ტერმინის სესხებასთან უნდა გვქონდეს საქმე. თვითონ სამოხელეო ინსტიტუტი კი წმინდა ქართული იყო(3,397,398). ვ. გაბაშვილი კიდევ უფრო შორს

მიდის და აღნიშნავს, რომ ეს „შემთხვევითი არ უნდა იყოს და იქნებ იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ თვით ეს სამოხელეო ინსტიტუტი ირანში ძველი ქართული სამოხელეო ინსტიტუტის „მოურავის“ გავლენით იყო შექმნილი“ (8, 205). ან კიდევ, ირანის ქალაქების ქეთხუდებს- უხუცესის, მამასახლისის მნიშვნელობა ჰქონდათ. ამგვარივე მნიშვნელობა შერჩა ამ უცხო ტერმინს აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეფის მიერ დანიშნული მამასახლისი სულ სხვა ხელისუფალი იყო, ქეთხუდა კი სხვა, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში იმდენი მაჰმადიანი მოსახლეობა არ ყოფილა, რომ მას ცალკე მამასახლისი ყოლოდა. და ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ის ნიშან-თვისება რაც აღმოსავლური საქალაქო წყობისათვის იყო დამახასიათებელი, საქართველოს ქალაქებისათვის ხშირ შემთხვევაში უცხო იყო.

ლიტერატურა და წყაროები:

1. კ.კუცია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVII სს., 1976წ.
2. კ.კუცია, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966;
3. შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, 1983წ;
4. საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1909წ;
5. დასტურლამალი, ქსმ, ივ. სურგულაძის რედ., 1970წ.;
6. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ, წ. III, 1970
7. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIXსს.), წ. I, შეადგინეს ნ.ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა
8. ვ. გაბაშვილი, სპარსული დასტურლამალი, თსუ შრომები, XXXV, თბ., 1949

რეზიუმე

ნაშრომში, ქართული და უცხოური წყაროების შესწავლის საფუძველზე ნაჩვენებია თუ რამდენად განსხვავებული და ხშირ შემთხვევაში უცხოც კი არის აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ქალაქების სამოხელეო წყობისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები (სამოხელეო ინსტიტუტების ძირითადი ნაწილის) აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების სამოხელეო წყობისგან. ასევე ხაზგასმულია რომ, ქართული სამოხელეო ტერმინების სახელწოდება უბრალოდ აღმოსავლურია, შინაარსით კი სრულიად ქართული.

THE OFFICIAL ORDER OF TOWNS IN EASTERN GEORGIA, TRANSCAUCASIA AND MIDDLE EAST (comparative analysis)

RESUME

Marine Meskhia
GTU associated professor

The work reviews the official order in the towns in Eastern Georgia, Transcaucasia and East (Iran). The available material shows, that the official order of big towns has diverse characteristics and many cases are alien to the official order of the towns in Transcaucasia and Middle East. Therefore, the work emphasises, that the Georgian terms on the official order are of Eastern origin, while its content is absolutely Georgian.

გერმანიის ბრძოლა კოლონიებისათვის აფრიკაში ბაართიანების შემდეგ

ვაჟა ჩოჩია
გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი

XIX ს. 70-იანი წლების დასაწყისიდან, გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ეს ქვეყანა უცბად გადაიქცა ევროპის ერთ-ერთ მძლავრ სახელმწიფოდ, რაც ევროპის კონტინენტზე ახალი ფართომასშტაბიანი ომების წარმოშობის საფრთხეს შეიცავდა (2: 111). ამ პერიოდიდან გერმანული პრესა აქტიურ პროპაგანდას უწევდა კოლონიურ-ექსპანსიონისტურ პოლიტიკას (10: 101). პრესის მიხედვით, კოლონიური ექსპანსია საზოგადოების სოციალური სიძნელებისაგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალება იყო (10: 105-106). წინ იყო ბრძოლა უკვე გაყოფილი მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის (7: 282).

XIX ს. 80-იან წლებში, გერმანია შეუდგა კოლონიური იმპერიის შექმნას. 1883-1885 წლებში გერმანიამ ხელში ჩაიგდო პირველი კოლონიები აფრიკასა და ოკეანიაში, რომელთა საერთო ფართობი შეადგენდა 2 მილიონ 907 ათას კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა კი-14,4 მილიონს (6: 188). 1884 წელს გერმანიამ შეძლო დაეპყრო სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორია. ბერლინი ცდილობდა კონტაქტების დამყარებას პორტუგალიასთან სამხრეთ აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე და ბურების მიმართ კეთილგანწყობას გამოხატავდა. 1884 წელს ტრანსვაალის პრეზიდენტი პ. კრიუგერი ეწვია ბერლინს, სადაც ოფიციალური მიღების დროს, გამოთქვა აზრი თავისი ქვეყნის გერმანიასთან მტკიცე ურთიერთობის შესახებ. ყველაფერი ეს ლონდონის სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა, რადგან არ სურდა სამხრეთ აფრიკაში თავისი ბატონობის ვინმესთან გაყოფა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ინგლის-გერმანიის მეტოქეობა კოლონიურ ნიადაგზე არ იყო მძაფრი, რადგან ინგლისის მთავარი მეტოქეები კოლონიებისათვის ბრძოლაში ჯერ კიდევ იყვნენ რუსეთი და საფრანგეთი (7: 279).

XIX ს. მეორე ნახევარში სამხრეთ აფრიკას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიურ გეგმებში. პირველ რიგში, ეს ეხებოდა ინგლისსა და გერმანიას. სამხრეთ აფრიკას ინგლისი განიხილავდა როგორც პოლიტიკურ და სტრატეგიულ პოზიციას ინდოეთის, შორეული აღმოსავლეთის და ავსტრალიისკენ მიმავალ გზაზე. გარდა ამისა, ამ რეგიონს განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ინგლისის კოლონიური სამფლობელოების ერთიანი სისტემის გეგმებში ქაიროდან სამხრეთ აფრიკის კაპშტატამდე. აქედან გამომდინარე, ინგლისი მტრულად ეკიდებოდა აფრიკის სამხრეთში ორი დამოუკიდებელი ბურების რესპუბლიკის-ტრანსვაალის და ორანჟის სახელმწიფოს არსებობას.

ურთიერთობების გამწვავებას ლონდონსა და ბერლინს შორის ერთმა გარემოებამ განაპირობა. XIX ს. 70-80-იან წლებში სამხრეთ აფრიკაში გაიხსნა ალმასისა და ოქროს დიდი საბადოები, რამაც გამოიწვია ინგლისელი და გერმანელი მსხვილი მრეწველების, აგრეთვე ფინანსური წრეების დიდი ინტერესი. XIX ს. 80-იანი და 90-იანი წლების პირველ ნახევარში მათ შორის გაიშალა მწვავე ბრძოლა ტრანსვაალში გავლენის სფეროებისა და კაპიტალის დაბანდებისათვის.

1886 წელს ტრანსვაალში აღმოაჩინეს ოქროს მდიდარი საბადოები. იმ 300 ათასი კგ. ოქროდან, რომელსაც ყოველთვიურად მოიპოვებდნენ მთელ მსოფლიოში, 80 ათასი კგ. მოდიოდა ინგლისის კოლონიებზე და თითქმის ამდენივე ტრანსვაალზე. მაშა-

სადამე, ინგლისის თავისი დაპყრობითი გეგმები სისრულეში რომ მოეყვანა ამ სახელმწიფოს მიმართ, მაშინ მას ექნებოდა ოქროს მსოფლიო მოპოვების ნახევარი (16: 96). სპეციალისტები ტრანსვაალის საბადოს საერთო ღირებულებას განსაზღვრავდნენ 12-14 მილიარდი ფრანკის ოდენობით (8: 242). ბურების არმიის მთავარსარდალ ჟუბერს კარგად ესმოდა რას ნიშნავდა ეს მილიარდები ინგლისისთვის, ამიტომ ამბობდა: "ეს ოქრო იმის მიზეზი გახდება, რომ ჩვენი ქვეყანა სისხლით გაიჟღინთება" (14: 135).

ინგლისის კოლონიური წრეები და პოლიტიკური ხელმძღვანელობა ლონდონში, ტრანსვაალის დაპყრობისათვის მზადებას ენერგიულად შეუდგნენ. ამის საშუალებას მათ აძლევდა მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელიც უძლიერესი იყო მსოფლიოში (1: 12). მთავარი როლი ამ გეგმების შესრულებაში მიანდეს სესილ როდსს. მრავალი წლის მანძილზე ის იყო მძლავრი სინდიკატის "დე-ბერს"-ის ერთ-ერთი დირექტორი. ეს სინდიკატი აკონტროლებდა ალმასების მსოფლიო მოპოვების 90%-ს. 1888-1889 წლებში როდსმა დააფუძნა ბრიტანეთის სამხრეთ აფრიკული კომპანია, რომლის კონტროლსაც დაექვემდებარა უზარმაზარი ტერიტორია. მას მოგვიანებით როდსებია ეწოდა (იხ: 3). ამ კომპანიის ძირითადი კაპიტალი 3,5 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენდა. მისი საქმიანობის შედეგად, პირველი ათი წლის განმავლობაში გაიყვანეს 300 მილზე მეტი სიგრძის რკინიგზის ხაზი, დაარსდა შვიდი ქალაქი, აშენდა სატელეგრაფო ხაზების ფართო ქსელი, ხელს უწყობდნენ ოქროს ახალი საბადოების გახსნას და ბოლოს, გაიყიდა 1070 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით-დაახლოებით 6,4 მილიონი აკრი (9: 12-13).

XIX ს. 90-იანი წლების შუა ხანებში ინგლისის დაპყრობით პოლიტიკას სამხრეთ აფრიკაში დაუპირისპირდა ახალგაზრდა და ძლიერი გერმანიის იმპერია, რომელიც გვიან გამოვიდა კოლონიურ ასპარეზზე და ახლა ცდილობდა დანაკარგის ანაზღაურებას (4: 171). უნდა აღინიშნოს, რომ გერმანია ჯერ კიდევ 1876 წელს შეეცადა ტრანსვაალში შეჭრას. მმართველი ზედაფენა კარგად ხედავდა, რომ კოლონიების შექმნა ამ რეგიონში მას მილიარდობით მარკას დაუზოგავდა კოლონიურ ნედლეულზე (13: 57). გავლენიანი პანგერმანული კავშირი მთავრობისგან მოითხოვდა, რომ შეექმნათ ფართო კოლონიური იმპერია აფრიკაში და სამხრეთ ამერიკაში. პანგერმანული კავშირი მთავრობას ურჩევდა ებრძოლა ინგლისისა და საფრანგეთის, აგრეთვე პატარა კოლონიური სახელმწიფოების ბელგიისა და პორტუგალიის კოლონიური სამფლობელოების გადანაწილებისათვის (7: 288).

გერმანია გეგმავდა რკინიგზის ხაზის გაყვანას დელაგოადან პრეტორიამდე. ეს ხაზი ბურებს ოკეანის სანაპიროზე გაიყვანდა. ამ საკითხზე 1884 წელს ბერლინში შედგა მოლაპარაკებები კრიუგერს, ვილჰელმ I-სა და ბისმარკს შორის. 1884 წლის შემოდგომაზე გერმანიამ დელაგოაში ორი სამხედრო ხომალდი გააგზავნა, შეძლო ფართო ტერიტორიების შექმნა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში და ცდილობდა მიახლოებოდა ტრანსვაალს. იმავე დროს, ინგლისმა ხელში ჩაიგდო ბეჩუანალენდი და ამით ტრანსვაალსა და გერმანიის სამფლობელოებს შორის ჩადგა.

სამხრეთ აფრიკაში გერმანიის ფინანსური კაპიტალის ინტერესები მხოლოდ ვაჭრობით არ იყო განპირობებული. ტრანსვაალით დაინტერესდა "გერმანული ბანკი" სიმენსის მეთაურობით. 1893 წელს სიმენსმა შექმნა იოჰანესბურგში დიდი სააქციო საზოგადოება. იმ დროს, გერმანული საინვესტიციო კაპიტალი ტრანსვაალში 500 მილიონ მარკას შეადგენდა (12: 2613). ტრანსვაალის სიმდიდრე მრავალ გერმანულ კოლონისტს იზიდავდა. მარტო იოჰანესბურგში 15 ათასამდე გერმანელი დასახლდა (12: 2613). თუმცა, ისინი ინგლისელებზე ნაკლები იყვნენ, რომლებიც დაახლოებით 62 ათას ადამიანს შეადგენდნენ (5: 129). უნდა ითქვას, რომ გერმანული კოლონისტები აქტიურობით გამოირჩეოდნენ და საკუთარ თავს მიიჩნევდნენ ბირთვად, საიდანაც

უნდა აღმოცენებულიყო "ახალი დიდი გერმანია სამხრეთ აფრიკაში" (15: 7). ეს იდეა მჭიდროდ უკავშირდებოდა მეორე იდეას, რომლის თანახმად, 1891 წელს შექმნილი პანგერმანული კავშირის იდეოლოგები ამტკიცებდნენ, თითქოს გერმანელებსა და ბურებს შორის მჭიდრო სისხლისმიერი "ტომობრივი კავშირი" არსებობდა. აქედან გამომდინარე, პანგერმანელები აკეთებდნენ დასკვნას, რომ მომავალში ბურები გერმანელების მიერ უნდა ყოფილიყვნენ ასიმილირებული. სინამდვილეში, ეს ნიშნავდა ტრანსვაალისადმი გერმანიის პროტექტორატის დამყარების სურვილს, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო იმ საფრთხის აღმოფხვრა, რომელიც ინგლისისაგან მომდინარეობდა.

ბურების საკითხის ამგვარად გადაწყვეტას მხარს უჭერდნენ გერმანიის სამრეწველო და ფინანსური კაპიტალის გარკვეული ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სამხრეთ აფრიკაში კოლონიური ექსპანსიის გაფართოებას. მათ მხარს უჭერდა იმპერიის მმართველი ზედაფენა. სტატუს-მდივნის მარშალ ფონ ბიბერშტეინის გამოთქმით, ისინი ერთად გამოხატავდნენ იმ "საზოგადოებრივ აზრს", რომელიც "მოუწოდებდა მთავრობას მტკიცე პოზიცია დაეკავებინა ბურების რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხში" (12: 2589).

ინგლისისაგან განსხვავებით, გერმანიას არ შეეძლო ემოქმედა პირდაპირი დაპყრობის მეთოდით. ამის მიზეზი იყო ის, რომ გერმანიას არ გააჩნდა პლაცდარმი, მომზადებული კადრები და სხვა წანამძღვრები, რომლებიც აუცილებელი იყო სამხრეთ აფრიკაში ანექსიის პოლიტიკის განხორციელებისათვის. ამ თვალსაზრისით, გერმანია-სთან შედარებით ინგლისს მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნდა. ასე მაგალითად, ლონდონის მიერ ბურებისათვის თავსმოხვეული 1884 წლის კონვენციის თანახმად, უფლება ეძლეოდა განეხორციელებინა კონტროლი ტრანსვაალის საგარეო პოლიტიკაზე. ტრანსვაალი გარშემორტყმული იყო ინგლისის სამფლობელოებით და ცდილობდა მის გარესამყაროსგან მოწყვეტას. თუმცა, ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან პრეტორია დაკავშირებული იყო პირდაპირი სარკინიგზო ხაზით პორტუგალიის ნავსადგურ ლორენსუ-მარკიშთან დელაგოას ყურეში, რომელიც ძირითადად გერმანული კაპიტალის სახსრებით იყო გაყვანილი.

შექმნილ ვითარებაში, გერმანიის საგარეო უწყების სტატუს-მდივანმა მარშალ ფონ ბიბერშტეინმა ინგლისის ელჩ მელეტს განუცხადა, რომ გერმანია დელაგოაში არავითარ მიზეზს არ ისახავდა სტატუს კვოს გარდა, რომ ბერლინი მკვეთრად უარყოფდა როდისც ცდებს დაერღვია "პორტის და რკინიგზის ხაზის კომერციული დამოუკიდებლობა" (12: 2577).

ლონდონი რომ დაერწმუნებინათ გერმანიის მტკიცე პოზიციაში, რომ დაიცავდა თავის ინტერესებს, 1895 წლის იანვარში ბერლინის განკარგულებით, დელაგოაში ორი სამხედრო გემი გააგზავნეს. ამის თაობაზე, თავისი აზრი გარკვევით გამოთქვა გერმანიის კონსულმა პრეტორიაში 1895 წლის 27 იანვარს, როდესაც იმპერატორ ვილჰელმ II-ის დაბადების დღესთან დაკავშირებულ ზეიმზე მან განაცხადა, რომ გერმანია ტრანსვაალის საუკეთესო მეგობარი იყო და ამიტომ არ დაუშვებდა პოლიტიკური წონასწორობის დარღვევას სამხრეთ აფრიკაში. ამასთან დაკავშირებით, ტრანსვაალის პრეზიდენტმა კრიუგერმა თავის მხრივმტკიცედ განაცხადა: "მე ვიცი, რომ მომავალში შეიძლება გერმანიის იმედი მქონდეს, ჩვენი პატარა რესპუბლიკა მხოლოდ იკრებს ძალებს და ჩვენ ვგრძნობთ, რომ როდესაც ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს სურს ფეხი დაგვაბიჯოს, მეორე ცდილობს ამას ხელი შეუშალოს" (5: 132).

ამრიგად, ინგლისსა და გერმანიას შორის წინააღმდეგობების მკვეთრი გამწვავება სამხრეთ აფრიკაში XIX ს. 90-იანი წლების შუა პერიოდისათვის, გამოწვეული იყო ორივე მხარის მისწრაფებით, რომ უპირატესობა მიეღო ტრანსვაალში. ისიც უნდა

აღინიშნოს, რომ კოლონიურ ექსპანსიაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა მსხვილი კაპიტალი. თუმცა, ამ პერიოდში მხოლოდ დაიწყო საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შერწყმა და ჯერ კიდევ არ არსებობდა ფინანსური ოლიგარქია. საკითხი ეხებოდა მხოლოდ კაპიტალის ექსპორტის დაწყებით ეტაპს სამხრეთ აფრიკაში. მაგრამ, "შავი კონტინენტის" ტერიტორიული გაყოფა კოლონიურ სახელმწიფოებს შორის, ამ დროისათვის დასრულებული არ იყო. ეს პროცესი წინ იყო. თუმცა, არსებული ვითარება არ ასუსტებდა ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობებს აფრიკის კონტინენტის ამ ნაწილში. XIXს. 90-იანი წლების შუა პერიოდი წარმოადგენდა ამ დაპირისპირების ზრდის პერიოდს, რომელსაც მოგვიანებით უნდა გამოეწვია სერიოზული პოლიტიკური შედეგები.

ლიტერატურა

1. შარაშენიძე თ. დიპლომატიის ისტორია. 1890-1920. თბ., 2015.
2. ჩოჩია ვ. ბისმარკი და გერმანიის პრობლემა. 1862-1882. თბ., 2011.
3. როდსის შესახებ იხ: Давидсон А. Б. Создание южноафриканской компании. В книге – Империализм и борьба рабочего класса. М., 1960, с. 143-161.
4. Бриггс Э. Клэвин П. Европа нового и новейшего времени с 1789 года и до наших дней. Пер. с англ., М., 2006.
5. Дармштеттер П. История раздела Африки (1870-1919 гг.). М., 1925.
6. Всемирная история, т. VII. М., 1960.
7. История дипломатии, т. II. М., 1963.
8. Рабинович М. Б. Англо-Германский конфликт в Южной Африке в 1896 г. – Страны и народы востока. М., 1969, вып. 9.
9. Сборник консульских донесений. СПб., 1899, вып. 1.
10. Чарный И. С. Начало колониальной экспансии Германии в Африке (1879-1885). М., 1970.
11. Chamberlain M. New Imperialism. N. Y., 1970.
12. Die Grosse Politik der Europäischen Kabinette. 1871-1914. Sammlung der Diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes. Bd. 12. Berlin, 1923.
13. Hagen M. Bismarcks Kolonialpolitik. Stuttgart, 1923.
14. Krüger P. Lebenserinnerungen. München, 1902.
15. Wud J. A. Die Rolle der Buren Republiken in der auswärtigen und kolonialen Politik des Deutschen Reiches in der Jahren 1883-1900. Nürnberg, 1927.
16. Zikursch J. Politische Geschichte des neuen Deutschen Kaiserreiches. Bd. 3. Frankfurt a/M., 1930.

RESUME

GERMANY'S FIGHT FOR COLONIES IN AFRICA AFTER UNIFICATION

Vaja Chochia

After the reunification of Germany, Berlin begins to fight for colonies in Africa. The German press had an active propaganda of colonial-expansionist policy, which has contributed to the struggle for redivision of the World. Germany begins to create a colonial empire. In 1883-1885 Germany took the first colonies in Africa. In 1884 Germany managed to conquer the territory of

South-West Africa. The German activity in Africa has led to confrontation with England, that had colonial empires in Africa. Relationships between them were especially tense when in 1886 in the Transvaal discovered gold rich deposits.

The Pangerman Union demanded from the government to create a wide colonial empire in Africa. He Also advised that the colonial empires was dedicated part of its colonies to Germany. At this time alone in Johannesburg about 15 thousand German colonists settled, however, the number of Englishmen will be significantly reduced. German colonists were active and believed to be “the new Great Germany in Africa created. It should be said that Germany did not really have the opportunity to fight for the colonies with England; however, he tried to defend his interests with both political and diplomatic methods.

სპორტის ინდუსტრიის ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი

ვაჟა დანელია

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: სპორტი, ეკონომიკა, შრომის ბაზარი, კომერციალიზაცია, ოლიმპიური ფესტივალი, მოყვარული სპორტსმენი, მეგალონისძიება, ტურიზმი, ეკონომიკური სარგებელი.

შესავალი

თანამედროვე საზოგადოებისა თუ ადამიანთა ცხოვრებაში სპორტის მზარდი როლი, რაც სოციალური და სულიერი ცხოვრების თვითორგანიზების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, კაცობრიობის გახლეჩილი ბუნების სასიცოცხლო ძალების აღდგენის საშუალებას იძლევა.

საზოგადოების ერთ ნაწილს სპორტი იზიდავს, როგორც ადამიანთა შორის მუდმივი ორთაბრძოლის გამოხატულება და ცხოვრების მიზნის ძიება, სხვები კი მას განიხილავენ, როგორც ფუნდამენტური ეკონომიკური პრინციპების გამოვლინებას, ამიტომ გლობალიზაციის პირობებში აუცილებელი გახდა სპორტის, როგორც რთული სოციალური და კულტურული ფენომენის, თანამედროვე ტენდენციების, მისი სანახაობად გარდაქმნის, ასევე, პროფესიონალიზაციისა და კომერციალიზაციის პროცესების შესწავლა,

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან სპორტის ეკონომიკის ისტორია ცხოველ ინტერესს იწვევს, რადგან მან განვითარების საკმაოდ ეკლიანი გზა განვლო. ორგანიზებული სპორტი პროფესიული ეკონომიკური კომპეტენციის დიდი მოთხოვნის გარეშე განვითარდა. შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის სპორტსმენების დაფინანსება და მაღალი ფულადი ჯილდოები მხოლოდ შემთხვევითი ეპიზოდები იყო; დომინირებდა სამოყვარულო იდეალები, რომლებიც ზღუდავდა სპორტის ეკონომიკურ გამოყენებას. სასპორტო წარმატებისა და პოპულარობის ნებისმიერი კომერციალიზაციის აკრძალვა საზოგადოების გარკვეულ ფენებს ემსახურებოდა და მათს იდეოლოგიასაც ამართლებდა.

1960-იან წლებამდე სპორტი უმთავრესად ადგილობრივი მნიშვნელობისა იყო. თუმცა ათიოდე წლის შემდეგ სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით ყველაფერი შეიცვალა. ახალი დახურული სასპორტო ობიექტების ასაშენებლად მსხვილი სახელმწიფო ინვესტიციების ჩადებამ და ბაზებზე საზოგადოების წვდომის შესაძლებლობამ სპორტში მომეცადინეთა რიცხვი მკვეთრად გაზარდა, რამაც, თავის მხრივ, სასპორტო ეკონომიკის აღმავლობას შეუწყო ხელი.

ძირითადი ნაწილი

ბოლო წლებში სპორტი გახდა მრავალი ქვეყნის, მათ შორის - საქართველოს, ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი, ამიტომ სპორტის მენეჯმენტისა და დაფინანსების ახალი მოდელები მუდმივად იხვეწება და ვითარდება. არც არის გასაკვირი, რადგან კომერციალიზაციისა და პროფესიონალიზაციის მზარდი ტენდენციები, მძაფრი კონკურენცია იმაზე მიუთითებს, რომ სპორტმა მის ხელთ არსებული რესურსებიდან დამოუკიდებლად მოგების მიღება უნდა ისწავლოს. არადა, დიდი ხნის განმავლობაში, თვით - დასავლეთში, სპორტი და ეკონომიკა განიხილებოდა, როგორც ორი დამოუკიდებელი სფერო. მიიჩნეოდნენ, სპორტი არის ჰობი, უფასო გართობა და მას არანაირი კავშირი არ აქვს ეკონომიკასთან, პროფესიასთან და ვაჭრობასთან.

მოგვიანებით ჩამოყალიბებული მოყვარული სპორტსმენის სტატუსის მქონეს შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის ფულის ან პრიზის მიღება ეკრძალებოდა [1, 73].

ბოლო ოთხი ათეული წლის განმავლობაში ყველაფერი მკვეთრად შეიცვალა. სპორტში შესაძლებელი გახდა კარგი ფულის გამომუშავება, ცხადია, უაღრესად კონკურენტულ გარემოში. მაგალითად, ეკონომიკის სფეროდან სპორტის ინდუსტრია ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც 2010 წელს კრიზისიდან გამოვიდა. მაშინ მისმა შემოსავალმა 118 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამავე 2010 წელს მხოლოდ ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატიდან (სამხრეთი აფრიკა) მიღებულმა შემოსავლებმა 2.5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. მომდევნო წლებში შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა იგრძნობოდა.

ამ პროცესებიდან გამომდინარე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სპორტს სჭირდება არა მხოლოდ პროფესიონალი სპორტსმენები და მწვრთნელები, არამედ პროფესიონალი ეკონომისტები, მენეჯერები, იურისტები, სოციოლოგები, ანუ ის ადამიანები, რომლებსაც შეეძლება, მაგალითად, საცურაო აუზის მშენებლობის ან დიდი სასპორტო ღონისძიების მასპინძლობის ღირებულება წინასწარ გათვალონ, რომ მერე მოგებაზე იფიქრონ [2].

თანამედროვე ოლიმპიური თამაშები, მსოფლიოს და ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატები თუ სხვა მეგასასპორტო ღონისძიებები მილიონობით ადამიანის ყურადღებას იპყობს, ცხადია, ტელემედიუმების ჩართვით. ამ ასპარეზობათა მოსამზადებლად ჩადებული ინვესტიციები მილიარდობით დოლარს შეადგენს. სახსრები იხარჯება ახალი სასპორტო ობიექტების ასაშენებლად და უკვე არსებული სასპორტო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ. სახელმწიფო დაფინანსება, ბანკების კრედიტები, ბიზნესიდან სასპონსორო დახმარებები ხმარდება შეჯიბრებების მონაწილეთა მომზადებას, სამწვრთნელო შტაბების ორგანიზებას, სამედიცინო და ანტისადოპინგო ცენტრების მოწყობას. ჩვენთვის ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 2015 წელს საქართველოს დედაქალაქში გამართული ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც 49 ქვეყნის 3800-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ამ თამაშებისთვის მზადებისას თბილისში აიგო შვიდი ახალი არენა, კერძოდ, ოლიმპიური სპორტის სასახლე, ტანვარჯიშის, ხელბურთისა და ფრენბურთის სასახლეები, 50-მეტრიანი ღია საცურაო აუზი, მძლეოსნობის სტადიონი, „მზიურის“ ჩოგბურთის კორტები; კაპიტალურად გარემონტდა ძველი სპორტის სასახლე, მიხეილ მესხის სახელობის ფეხბურთის სტადიონი, მძლეოსნობის სასახლე, მტკვრის სანაპიროზე ტანვარჯიშის დარბაზი, შეჯიბრების მონაწილეებისთვის თბილისის ზღვასთან აშენდა პატარა ქალაქი - კომფორტული ოლიმპიური სოფელი, რომელიც ფესტივალის შემდეგ მყუდრო საცხოვრებელ უბნად იქცა. ფესტივალიდან შემოსულმა თანხებმა, შესაძლოა, ხარჯი მაშინვე ვერ გადაფარა, მაგრამ თბილისის მოსახლეობას დარჩა შესანიშნავი სასპორტო ინფრასტრუქტურა, რომელსაც დედაქალაქისთვის არაერთი არაპირდაპირი გრძელვადიანი ეკონომიკური სარგებელი მოაქვს, რომელიც, უმთავრესად, რეკლამის ეფექტს უკავშირდება [3].

მეგაღონისძიებისთვის მზადებისა და ასპარეზობათა პროცესების მასმედიის საშუალებით ფართოდ გაშუქება სარეკლამო როლს ასრულებს. მას შეუძლია, მოიზიდოს ტურისტები, რომლებიც გარკვეულ დროს გაატარებენ მასპინძელ ქალაქში, დახარჯავენ მნიშვნელოვან თანხას საცხოვრებელში, საკვებზე, სასმელსა თუ სუვენირებზე, როგორც ეს მოხდა თბილისური ოლიმპიური ფესტივალის შემდეგ. არანაკლებ ფასეულია ამგვარი შეჯიბრებებით ქალაქისა თუ ქვეყნისთვის მოტანილი მნიშვნელოვანი არამატერიალური სარგებელიც: ადგილობრივი მოსახლეობა გრძნობს სიამაყესა და ერთიანობას. მოკლე, მაგრამ დატვირთული პერიოდის

განმავლობაში მათი სამშობლო მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. მართალია, თბილისში ევროპული მეგაშეჯიბრებისთვის მზადებამ და ერთკვირიანი ბატალიების უმაღლეს დონეზე წარმართვამ დიდი დრო და ძალისხმევა მოითხოვა, მაგრამ არასდროს დამავიწყდება კმაყოფილი სახეები ლამის ქანცის გაწყვეტამდე დაღლილი ახალგაზრდებისა, რომლებიც ქვეყნის სიყვარულით უანგაროდ ემსახურებოდნენ ფესტივალის სტუმრებს.

ადამიანებმა, რომლებიც ტელევიზორში უყურებენ საფეხბურთო ჩემპიონატებსა თუ ოლიმპიურ თამაშებს, შესაძლოა, ვერც გააცნობიერონ, ს პორტი რამდენად მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ეკონომიკასთან. ეს, უდავოდ, დიდი ბიზნესია, განსაკუთრებით ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. ევროკომისიის შეფასებით, სპორტთან დაკავშირებული ყველა სფეროს სავაჭრო პოტენციალი მსოფლიოს ვაჭრობის 3%-ს შეადგენს. ზოგიერთი მეცნიერის გამოთვლით, დასავლეთის ქვეყნების სპორტის ერთობლივმა შემოსავალმა, რომელშიც შევათანხები სასპორტო ტანსაცმლის რეალიზაციიდან, ტელეტრანსლაციებიდან, სასპორტო რეკლამებიდან, აზარტული თამაშებიდან, ასევე, სასპორტო ღონისძიებებზე დასწრების საფასური, შესაძლოა, 6 პროცენტსაც გადააჭარბოს, რაც ბევრად მეტია, ვიდრე სოფლის მეურნეობის ან მანქანათმშენებლობის წილი. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ექსტრაკლასის სპორტსმენებს კოლოსალური შემოსავლები აქვთ, უმთავრესად - რეკლამებიდან. მეწარმეები უფრო ხილდებიან წარმატებულ სპორტსმენებთან ურთიერთობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეთ. მაგალითად, ახლანდელი ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი პრესკონფერენციისას ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარმა კრიშტიანუ რონალდუმ მაგიდაზე დადგმული „კოკა-კოლას“ ბოთლები გვერდზე მისწია. ფეხბურთელის ამ ჟესტმა კომპანია, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორია, 4 მილიარდი დოლარით აზარალა.

დღეს სპორტზე შეყვარებულმა ნებისმიერმა ბავშვმა იცის, თუ საუკეთესო სპორტსმენი გახდება, გზა გაეხსნება ზღაპრული სიმდიდრისა და დიდებისკენ. საამისოდ მათ აქვთ მაიკლ ჯორდანის, ლიონელ მესის, ტაიგერ ვუდსის, კრიშტიანუ რონალდუსა და სხვა ცნობილ ათლეტთა მაგალითები. შემოსავლის დონით, სპორტის გმირები ზოგჯერ ჯობნიან კიდევ კინოსა და შოუბიზნესის ვარსკვლავებს. ეს არის შრომის ბაზრები, რომლებზეც სუპერვარსკვლავების ეკონომიკის კანონები მოქმედებს. გასართობი ინდუსტრიის სფეროში ეს ეფექტი პირველად ამერიკელმა ეკონომისტმა შერვინ როსენმა აღმოაჩინა, მოგვიანებით ის სპორტზეც გავრცელდა [4].

მართალია, მაღალი ჰონორარები არცთუ იშვიათად მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს, ზოგს ეს უხამსობადაც მიაჩნია და მსგავსი მოსაზრება დიდი ხანია არსებობს. მაგალითად, ამერიკელმა პროფესიონალმა ბეისბოლისტმა ჯორჯ ჰერმანმა - „ბეიბ“ რუთ-უმცროსმა, რომელმაც ლიგაში 22 სეზონი გაატარა, 1929 წელს 70 000 დოლარი გამოიმუშავა. როდესაც ჟურნალისტმა ჰკითხა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტზე მეტი თანხა თუ როგორ მიიღო, მან მშვიდად უპასუხა: „მე უფრო წარმატებული წელი მქონდა“. თითქმის საუკუნის შემდეგ დღევანდელ მილიონებთან, რომელსაც თანამედროვე სპორტის ვარსკვლავები ღებულობენ, ჰერმანის ანაზღაურება ერთობ მოკრძალებული ჩანს.

ქვეყნის სასპორტო ტრადიციები მჭიდროდაა გადაჯაჭვული მის კულტურასა და ისტორიასთან. შესაბამისად, ინსტიტუციური მახასიათებლებიც ძალიან განსხვავებულია. ამის მიუხედავად, სპორტის ნებისმიერ სახეობას განსაკუთრებით ორი ასპექტი აქვებს საინტერესოდ:

პირველი - შრომის ბაზრის ფუნქციონირება, სადაც შეიძლება განისაზღვროს,

რამდენად ეფექტურად მოქმედებს თითოეული სპორტსმენი და რამდენს შოულობს იგი;

მეორე: ეს არის ბიზნესის დარგობრივი სტრუქტურა, რომელშიც კლუბებმა მხარი უნდა დაუჭიროონ კონკურენტების გაძლიერებას, რომ შეჯიბრება საინტერესო იყოს.

თავისი ბუნებით ბიზნესი ძალიან ჰგავს სპორტს, რადგან სამეწარმეო საქმიანობის საფუძველში საშეჯიბრო და საკონკურენტო სულისკვეთება დევს. როგორც სპორტში, ისე ბიზნესში მონაწილეთა სურვილია დაპირისპირებაში გამარჯვება, თვითგამოხატვა - საკუთარ თავსაც და სხვასაც დაუმტკიცონ, რა შეუძლიათ. ამდენად, სპორტი და ბიზნესი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული, რადგან მსგავსი მოტივაცია და მამოძრავებელი ძალა აქვთ [5, 93].

თუმცა, საკონკურენტო თვალსაზრისით, მათ შორის არსებითი განსხვავებაცაა. გუნდები სულაც არ ჰგვანან ბიზნესის სხვა სფეროების კომპანიებს. ბიზნესი გამარჯვებას, უმთავრესად, კონკურენტის „ჩაძირვით“ ცდილობს, სპორტში კი პირიქით - კლუბებისთვის მონოპოლია სულაც არ არის ხელსაყრელი: მათ კონკურენტები სჭირდებათ, რომ დაპირისპირება საინტერესო გახდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოტენციური მაყურებელი, სასპორტო გადაცემების ნაცვლად, სატელევიზიო შოუებისკენ გადაინაცვლებს. მაგალითად, საფეხბურთო ლიგა, რომელშიც წლიდან წლამდე ერთი გუნდი იმარჯვებს, საშინლად მოსაწყენია და გულშემატკივართა უმეტესობას ასეთი მატჩების ყურების სურვილი ეკარგება. ფეხბურთის მგზნებარე ქომაგმა და ეკონომისტმა სტეფან ჟიმანსკიმ თავის დროზე ყურადღება მიაქცია ინგლისის თასის გათამაშებაზე დასწრების შემცირებას ლიგის პაექრობებთან შედარებით, რომლის სტრუქტურაც დაახლოებით თანაბარი დონის გუნდების თამაშს გულისხმობს. ამ დაკვირებიდანაც ნათლად ჩანს, რომ სტადიონებზე ქომაგთა დასწრების გასაზრდელად ჩემპიონატებში თანაბარძალოვანი გუნდების მონაწილეობაა აუცილებელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპორტი მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც ადამიანთა ჯანმრთელობის განმტკიცების, კომუნიკაციისა და კულტურული დასვენების საშუალება. თუმცა ის უფრო ინტენსიურად ქვეყნის ეკონომიკურ გარემოზე მოქმედებს. ამიტომ სახელმწიფოები არაფერს იშურებენ ფართომასშტაბიანი სასპორტო ღონისძიებების მასშინძლობის უფლების მოსაპოვებლად. ამ მიმართულებით საქართველომაც არაერთი საგულისხმო ნაბიჯი გადადგა - მეგაღონისძიებებს მაღალ დონეზე უმასშინძლა და საერთაშორისო სასპორტო ფედერაციებისგან დადებითი შეფასებებიც მიიღო. ალბათ, ესეც იყო იმის წინაპირობა, რომ წლეულს - 2021 წლის ივნისის მიწურულს სამი კონტინენტის რვა ქვეყნის წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების მონაწილეობით მსოფლიოს ლიგის სუპერფინალი თბილისში გაიმართა; აგვისტოში 17-წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატია დაგეგმილი; 2022 წელს აქვე კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ერთ-ერთი ჯგუფის თამაშები ჩატარდება. ამ ტურნირისთვის 75 მილიონი ლარის ღირებულების 10.5 ათას გულშემატკივარზე გათვლილი ახალი სპორტის სასახლე შენდება; ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გადაწყვეტილებით, საქართველო 2025 წელს კონტინენტის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალს უმასშინძლებს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის დიდი პატივი და აღიარებაა, თუმცა ამავდროულად დიდი გამოწვევაცაა რამდენიმე მიმართულებით: უპირველესად, ქვეყანა ღირსეულად უნდა დახვდეს ამ უდიდესი ფორუმის მონაწილეებს, რისთვისაც ჩვენთან შესაბამისი სტანდარტების ინფრასტრუქტურა უნდა მოეწყოს, რადგან, ფესტივალის პროგრამით, ევროპის ქვეყნების ახალგაზრდა სპორტსმენები ბაკურიანში ზამთრის სპორტის 8 სახეობაში იასპარეზებენ.

კოვიდპანდემიის მიუხედავად, უკვე დასრულდა 3 ახალი საბაგროს დამონტაჟება. ახლა მიმდინარეობს სხვა მოსამზადებელი სამუშაოები. დაგეგმილია ბაკურიანის ცნობილი ტრამპლინის რეაბილიტაცია, რაც საქართველოს სავიზიტო ბარათი გახდება, ასევე, დამუშავებულია პროექტი ბიატლონის ტრასის მშენებლობისთვის. ოლიმპიური ფესტივალისთვის საქართველოს სასპორტო ინფრასტრუქტურას ყინულის ორი მოედანი შეემატება: ერთი - ბაკურიანში, მეორე - თბილისში. მნიშვნელოვანია, რომ ეს ინფრასტრუქტურა საბოლოო ჯამში ქვეყანას დარჩება და როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ისე მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის განმტკიცებას შეუწყობს ხელს [6].

ეს პროექტი შემოსავალთან ერთად უმიშვნელოვანესი ფაქტორია ჩვენს ქვეყანაში სასპორტო ტურიზმისა და, ზოგადად, ტურიზმის გასავითარებლად, რადგან ოლიმპიური ფესტივალის დღეებში მთელი ევროპის ყურადღება საქართველოსკენ იქნება მომართული.

ერთ მწვავე პრობლემაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც სპორტის ინდუსტრიასა და ეკონომიკასთან არის დაკავშირებული: ბოლო წლებში ჩვენთან ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მომეცადინეთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო. განსაკუთრებით უფროსი თაობა, შეიძლება ითქვას, საკუთარ ჯანმრთელობაზე ნაკლებად ზრუნავს. მიზეზად უსახსრობასა და დროის უკმარისობას ასახელებს. ჩვენ მიერ ჩატარებულმა სხვადასხვა ასაკის 500-მდე ადამიანის ანკეტურმა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ მათგან მეხუთედიც არ არის დაკავებული ფიზიკური აქტივობით, სამაგიეროდ, ექიმებთან ვიზიტებში, გამოკვლევებსა და აფთიაქებში 70-75 პროცენტით მეტ თანხას ხარჯავენ, ვიდრე ეს სასპორტო ობიექტებზე საკუთარი ჯანმრთელობის გასაკაჟებლად იქნებოდა საჭირო. 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადიდან დაბრუნებულმა ტიტულოვანმა ფალავანმა, ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა რომან რურუამ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ინგლისის დედაქალაქის ქუჩებში დიდხანს დადიოდა, რომ სადმე აფთიაქს გადასწყდომოდა. თბილისში (საქართველოს სხვა ქალაქებშიც) კი ერთ პატარა ქუჩაზეც, სულ მცირე, ექვს-შვიდ აფთიაქს შეხვდებით, მაგრამ მოედანსა თუ დარბაზს - იშვიათად. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მოწინავე ევროპულ ქვეყნებში აფთიაქების სასპორტო ობიექტებთან რაოდენობრივად შედარებაც კი არ შეიძლება.

დასკვნა

ბოლო წლებში სპორტი გახდა მრავალი ქვეყნის, მათ შორის - საქართველოს, ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპორტის მენეჯმენტისა და დაფინანსების ახალი მოდელები მუდმივად იხვეწება და ვითარდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სპორტმა უნდა ისწავლოს მის ხელთ არსებული რესურსებიდან დამოუკიდებლად მოგების მიღება, როგორც საგადასახადო, ისე სხვა შეღავათების რეგულირება. რაც უფრო ვითარდება ეკონომიკა, მით უფრო სწრაფად აღწევს სპორტში საბაზრო კანონები, რის შედეგადაც იზრდება სასპორტო საქონლის მიწოდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში, უპირველესად, სპორტში მარკეტინგული სტრატეგიის, გლობალური ხელმძღვანელობის, სპორტის ეკონომიკისა და კორპორატიული მენეჯმენტის პრობლემების დასამუშავებლად სერიოზული სამეცნიერო კვლევებია აუცილებელი, რისთვისაც ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკაა საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დანელია ვაჟა, სპორტის ინდუსტრიის როლი თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში, „მოამბე“, XXXII, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, თბ., 2018;
2. Галкин В. В. Экономика спорта и спортивный бизнес, 2005, - 324 с.;
3. https://ka.wikipedia.org/wiki/ევროპის_ზაფხულის_ახალგაზრდული_ოლიმპიური_ფესტივალი - 2015 (უკანასკნელად გადამოწმდა 23.05.2021);
4. Рóзен Шёрвин, Исследование рынков труда» ((англ. Sherwin Rosen, Studies in Labor Markets, 1981);
5. დანელია ვაჟა, ეკონომიკა, სასპორტო ბიზნესი და ინტერტეინმენტი, „მოამბე“, XXXVI, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, თბ., 2019;
6. <https://mes.gov.ge/content.php?id=11417&lang=geo> (უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2021)
7. Веблен Торстейн, Теория праздного класса: экономическое исследование институций (англ. The Theory of the Leisure Class: An Economic Study of Institutions, 1899; На русском языке книга была издана в 1984 г., „Прогресс“);
8. Heinemann, Klaus, Einführung in die Ökonomie des Sports : ein Handbuch. Veröffentlicht: Schorndorf: Hofmann (Verlag), 1995, 291 s.;
9. Починкин А. В. Менеджмент в сфере физической культуры и спорта. Учебное пособие, „Спорт“, 2016, - 278 с.;

რეზიუმე

ვაჟა დანელია

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

სპორტი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც ადამიანთა ჯანმრთელობის განმტკიცების, კომუნიკაციისა და კულტურული დასვენების საშუალება. ამავე დროს, სპორტი ინტენსიურად მოქმედებს საზოგადოების ეკონომიკურ გარემოზე: სამუშაო ძალის ხარისხზე, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებზე, მოთხოვნისა და მოხმარების სტრუქტურაზე. სპორტის სფეროში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსების მოზიდვა, სასპორტო ბაზრების სწრაფი განვითარება, ასევე, სპორტის, როგორც საქონლის შეთავაზება, საშუალებას იძლევა, სპორტი განისაზღვროს, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი მძლავრი ინდუსტრია.

SUMMARY

SOME ECONOMIC ASPECTS OF THE SPORTS INDUSTRY

Vaja Danelia

Doctor of Social Sciences

Sport is the most important factor as a means of enhancing human health, communication and cultural recreation. At the same time, sport intensively affects the economic environment of society: the quality of the labor force, foreign economic relations, the structure of demand and consumption. Attracting significant economic resources in the field of sports, the rapid development of sports markets, as well as the offer of sports as a commodity, allows sport to be defined as one of the strongest industries in the economy.

სასტუმროების უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციონირების თავისებურებები

ნინი აქიმიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები

სასტუმრო. ინდუსტრია. ნომერი. უსაფრთხოება. სამსახურები. კრიმინალური. ელემენტები. დაიცვა. სტუმარი. ქონება. დაზიანება. პოლიცია. ინფორმაციები. დემონსტრაციები. არეულობები. მოვლენები. ნორმალური. ფუნქციონირება. თანამშრომლები. ინფორმაცია. კანონი. ტექნიკური. საშუალებები. სატელევიზიო. კამერები. საზოგადოებრივი. საოფისე. ადგილი. ჩანაწერები. კომუნიკაცია. პატრულირება. ოთახები. კარები. კონტროლი. ქმედებები. განხორციელება. შესასვლელი. არასასურველი. პირები. პოლიცია. გამოძიება. მეთოდები. სამართალდამცავი. ორგანოები. ადმინისტრაცია.

ძირითადი ტექსტი

სასტუმრო ინდუსტრიაში უსაფრთხოების სამსახურები შექმნილია იმისთვის, რათა სხვადასხვა სახის კრიმინალური ელემენტებისგან დაიცვას სტუმრები, მათი და სასტუმროს ქონება შესაძლო დაზიანებისაგან. ტერმინი „სასტუმროს საკუთრება“ ასევე მოიცავს ისეთ ერთ-ერთ მთავარ ელემენტს, როგორცაა მისი რეპუტაცია. არის შემთხვევები როდესაც სასტუმროებში ქურდობების გარკვეული ნაწილი ხდება არა სტუმრებისაგან, არამედ სასტუმროს განყოფილებებში, რომელთაც კავშირი არა აქვთ სტუმრებთან.

არსებობს ისეთი შემთხვევებიც როდესაც სტუმრები გამგზავრებისას, იპარავენ გარკვეული მატერიალური ღირებულების სასტუმროს ქონების ნაწილს (პირსახოცი, საფერფლე და სხვ.) და ისე ტოვებენ მას. ასეთ შემთხვევაში, სასტუმროს ადმინისტრაციას „შავ სიაში“ შეყავს ის პირები რომლებმაც ჩაიდინეს ასეთი ქმედებები და ასევე ისინიც, რომლებიც ითვლებიან „პროფესიონალურ“ მომჩივნებად, რომლებიც სპეციალურად კონფლიქტს წარმოქნიან სასტუმროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

სასტუმრო ინდუსტრიაში, უსაფრთხოების სამსახურის მთავარი ამოცანაა არა ჩადენილი დანაშაულების გამოძიება, არამედ მათი პრევენცია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ უსაფრთხოების თანამშრომლები პოლიციისგან განსხვავებით, მკაცრად შეზღუდულნი არიან თავიანთი უფლებებით გამოძიების პროცესში, მათ არა აქვთ დაკითხვის, ჩხრეკისა თუ სხვა ქმედებების ჩატარების უფლება.

უსაფრთხოების სამსახურის წარმატებული მუშაობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მათი საქმიანი ურთიერთობა სასტუმროს სხვა განყოფილებებთან, პირველ რიგში ფინანსურ და პერსონალის განყოფილებებთან. უსაფრთხოების სამსახურის კონტროლი პირდაპირ საქმიან კავშირში უნდა იყოს ფინანსურ კონტროლთან, ხოლო პერსონალის განყოფილებასთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს პოტენციურ კრიმინალებს რომლებიც სასტუმროს სტუმრის სტატუსით შესაძლოა ესტუმრონ.

უსაფრთხოების სამსახურს აქტიური კავშირი უნდა ჰქონდეს პოლიციასთან სასარგებლო ინფორმაციების ურთიერთ გაცვლასთან დაკავშირებით, არასასურველი

სტუმრების შესაძლო გამოჩენის, დემონსტრაციების, არეულობებისა და სხვა მოვლენების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სასტუმროს ნორმალურ ფუნქციონირებას. ამავ დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ უსაფრთხოების თანამშრომლებმა არ უნდა გასცენ არავის სტუმართა შესახებ ინფორმაცია რომელიც მხოლოდ სასტუმროს პირად საიდუმლოებას წარმოადგენს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

უსაფრთხოების სამსახური შეიმუშავებს სასტუმროს უსაფრთხოების სისტემის პროექტს, რომელსაც ამტკიცებს სასტუმროს გენერალური მენეჯერი სხვა განყოფილებების ხელმძღვანელებთან განხილვის შემდეგ. ეს დოკუმენტი მოიცავს უსაფრთხოების ყველა ასპექტს - უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციებს, მის ურთიერთობას სხვა განყოფილებებთან, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტექნიკური საშუალებების სისტემას, კრიტიკულ სიტუაციებში სასტუმროს თანამშრომლების ქმედებებს (ხანძარი, აფეთქების საფრთხე და ა.შ.).

უსაფრთხოების თანამშრომელი უნდა იყოს მშვიდი, საკუთარ თავში დაჯერებული და მორალურად სტაბილური ადამიანი. ხშირად სამსახურში ქირაობენ ყოფილ სამართალდამცველ თანამშრომლებს მაგრამ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი იცავენ მოცემულ ინსტრუქციას, მათ გარკვეულწილად აკლიათ თავაზიანობა და ტაქტი სტუმრებთან თუ სასტუმროს პერსონალთან ურთიერთობისას.

სამსახურში მოწყობისას დაცვის პერსონალი ვალდებულია გაიაროს ტრენინგი რომლის დროსაც ისინი ეცნობიან სასტუმროს, მის განყოფილებებს, ტიპურ სიტუაციებს, უფლებებსა და მოვალეობებს, პირველადი სამედიცინო დახმარების მეთოდებს და როგორ უნდა შეადგინონ გამოძიების დასკვნა. უსაფრთხოების თანამშრომლები, ბუნებრივია, უნდა იცნობდნენ ყველა წესებს, რომელიც ეხება მათ სამუშაოსა და სასტუმროს საქმიანობას.

უსაფრთხოების სამსახურს უნდა ჰქონდეს საკუთარი ოთახი, საგარდერობო და საბუთების შენახვისა და დოკუმენტაციის შედგენის ადგილი. უსაფრთხოების სამსახურის უფროსი არ უნდა იყოს თვალშისაცემი სტუმართათვის. სამსახურის უფროსმა უნდა უზრუნველყოს დაცვის თანამშრომელთა მუშაობის განრიგის შედგენა და მკაცრად აკონტროლოს თავის თანამშრომელთა შესრულებული მუშაობის ხარისხი. სამსახურის უფროსი ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს ადგილზე სასტუმროს მუშაობის პიკურ საათებში და ექსტრემალური პირობების დროს.

უსაფრთხოების ტექნიკურ საშუალებებში შედის სატელევიზიო კამერები, რომელთა დახმარებით ათვალისწინებენ ყველა საზოგადოებრივ და საოფისე ადგილს. ჩანაწერები უნდა ინახებოდეს მინიმუმ 24 საათის განმავლობაში. უსაფრთხოების სამსახური ასევე პასუხისმგებელია სასტუმროს თანამშრომელთა ოთახების საკეტებზე, სეიფებზე და თანამშრომელთა რადიო კომუნიკაციებზე. არ არის რეკომენდირებული უსაფრთხოების პერსონალის უნიფორმებით გამოწყობა, დამცავი საშუალებების (ხელკეტები და ა.შ.) თვალსაჩინო ადგილას ქონა რაც სტუმრებს არასათანადოდ განაწყობს. საკმარისია უსაფრთხოების სამსახურის სამკერდე პირადობის მოწმობით უზრუნველყოფა.

სასტუმროს უსაფრთხოების სამსახურის ყველაზე რთული ფუნქციაა შენობაში პატრულირება. პატრულირების დროს შესამოწმებელია, არის თუ არა სამუშაო ოთახების კარები დაკეტილი. არასაჭირო ადგილებში არასასურველ პირთა თავშეყრა. ასევე, ხანძართან დაკავშირებით კონტროლი და კერების აღმოჩენისას მნიშვნელოვანი და დაუყოვნებლივი ქმედებების განხორციელება. უსაფრთხოების სამსახური უნდა აკონტროლებდეს სასტუმროში შესასვლელებს და მთავარ შესასვლელთან უნდა

დამონტაჟდეს უხილავი, მაგრამ ეფექტური ბარიერი, რათა არ მოხდეს არასასურველი პირების სასტუმროში შეღწევა.

უსაფრთხოების გამოძიების მეთოდები მრავალმხრივ განსხვავდება სამართალდამცავი ორგანოებისაგან. დაცვის პერსონალის უფლებები ძალზე შეზღუდულია სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობებთან შედარებით. დანაშაულის შემთხვევაში, უსაფრთხოების თანამშრომელმა რაც შეიძლება თავაზიანად უნდა გამოკითხოს სტუმარს მომხდარი ვითარების შესახებ. აუცილებელია თანამშრომელმა აუხსნას პირს თუ რატომ უნდა დაეხმაროს მას

ისეთ დანაშაულებებს როგორცაა მკვლელობა, შეიარაღებული მარცვა, გაუპატიურება, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის. სასტუმროს ადმინისტრაცია უნდა შეეცადოს რაც შეიძლება ნაკლებად იყოს შესამჩნევი სასტუმროს სტუმრებისათვის. სასტუმრო ინდუსტრიაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სტუმარს მის ნომერში მარცვავს მიწვეული ქალთა სქესის წარმომადგენელი, ასეთ შემთხვევაში კი, სასტუმროს სტუმარმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს სასტუმროს ადმინისტრაციამ გამოიძახოს თუ არა პოლიცია. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევებში სტუმარი უარს ამბობს სამართალდამცავ ორგანოებთან დაკავშირებაზე.

უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები ასევე მოიცავს ხელმძღვანელობისა და რიგითი თანამშრომლების დაცვას, ყველა გასაღების კონტროლს. ნომრის გასაღების დაკარგვის შემთხვევაში, საკეტი უნდა შეიცვალოს ან გადაპროგრამირდეს. უსაფრთხოების სამსახური ასევე აკონტროლებს სასტუმროს ქონების გამოყენებას, რომელიც მათპირადი სარგებლობისთვის გადაეცათ (კომპანიის მანქანები, საკრედიტო ბარათები და ა.შ.). იგი ასევე პასუხისმგებელია სტუმრების კრედიტუნარიანობის შემოწმებაზე, რომლებიც მონაწილეობენ კომპიუტერის უსაფრთხოების კონტროლში ჰაკერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად.

ბოლო დროს, ტერორისტული აქტების მზარდ საფრთხეებთან დაკავშირებით, უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია გაეცნოს ყველა თანამშრომლის ქცევის წესებს, სასტუმროში ჩადებული ასაფეთქებელი მოწყობილობის შესახებ შეტყობინებით გამოძახების შემთხვევაში. საერთოდ, ნებისმიერი მოვლენიდან გამომდინარე, ევაკუაციის დროს უსაფრთხოების სამსახურის ამოცანაა ქონების უსაფრთხოება და ევაკუაციის დროს წესრიგის დაცვა.

უსაფრთხოების სამსახურმა სასტუმროს ადმინისტრაციას პერიოდულად უნდა მიაწოდოს ანგარიში დაკავშირებული ინციდენტების ანალიზთან. რაც გულისხმობს პრევენციულ ზომებს ასეთი ინციდენტების განმეორების აღმოსაფხვრელად. სამსახური აწარმოებს ჩანაწერებს ყველა ინციდენტისა და საჩივრისა თავის უფლებამოსილების ფარგლებში გამოძიების შედეგების შესახებ.

საერთოდ, სასტუმროს უსაფრთხოების სამსახურმა უნდა შეასრულოს შემდეგი ფუნქციები: სასტუმროში ყოფნის დროს სტუმრებისა და მათი პირადი ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სასტუმროს ქონების დაცვა მავნე ქმედებებისაგან - ქურდობა, ვანდალიზმი და ა.შ.; სასტუმროს - შენობისა და ქონების დაცვა ფორსმაჟორული ვიტარებიდან გამომდინარე (ტერორისტული აქტები, დივერსიები, სამოქალაქო არეულობა და ა.შ.); საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ქცევის შესაბამისი ჩარჩოს უზრუნველყოფა სასტუმროს ყველა სფეროში; სტუმრებისთვის მშვიდი გარემოსა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა სასტუმროში ყოფნის დროს; უზრუნველყოს დაუყოვნებელი და ეფექტური რეაგირების შესაძლებლობა ინციდენტის შემთხვევაში, რომელიც მოითხოვს სასტუმროს პერსონალის, ექიმების და პოლიციის ჩარევას; სასტუმროს პერსონალის ერთიანობისა და პატიოსნების

გარანტია; სასტუმროს სპეციალური სერვისების უზრუნველყოფის შესაძლებლობა, მაღალი რანგის მაღალჩინოსნების უსაფრთხოების გაზრდის მიზნით.

დასკვნა

როგორც სტატიის ტექსტშია აღნიშნული უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს სასტუმროს ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთ მთავარ რგოლს. უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს სასტუმროში მშვიდი გარემოს ჩამოყალიბებას. იცავს ობიექტს კრიმინალური ელემენტებისაგან და პრევენციულ ღონისძიებებს ახორციელებს საერთო, მშვიდი გარემოს დასამკვიდრებლად. გარდა ამისა, იგი აკონტროლებს ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, სასტუმროს შესასვლელებს და პატრულირებას ახორციელებს სასტუმრო პერიმეტრზე. დანაშაულის მოხდენის შემთხვევაში, უსაფრთხოების სამსახური თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან და აქტიურად ერთვება სხვადასხვა ფორსმაჟორული ვითარების წარმოშობის დროს შეძლებისდაგვარად მის აღმოსაფხვრელად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. V.Disalvatore. Hospitality Security: Procedures, Policies, and Training. Publishing 2019.342p.
2. Adrian Martin. The Practical Guide to Understanding and Raising Hotel Profitability. Published 2019. 190p.
3. Alisha D Anderson. The lost Art of Hospitality: Making People Feel Welcome in Your Home. Published 2019. 82p.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სასტუმროების უსაფრთხოების სამსახურების მუშაობის სპეციფიკა. უსაფრთხოების სამსახურის მოქმედების მთავარი ამოცანა დაკავშირებულია - სასტუმროსა და სტუმართა ქონების დაცვასთან, უსაფრთხოების სისტემებთან, ტექნიკურ საშუალებებთან, არასასურველი პირების სასტუმროში შეღწევასთან, სასტუმროში სისხლის სამართლის დანაშაულის დროს გარკვეულ ქმედებებთან, ფორსმაჟორული სიტუაციების (ხანძარი, მიწიძვრა, ტერაქტები და ა.შ.) მართვასთან და სხვ.

PECULIARITIES OF THE FUNCTIONING OF HOTEL SECURITY SERVICES

ABSTRACT

NINO AKIMISHVILI

Georgian Technical University

Faculty of Business-Technology

P.H. Candidate

The article discusses the specifics of the work of hotel security services. It was noted that the main task of the Security Service is to protect the property of the hotel and guests, security systems, equipment, entry of unwanted persons into the hotel, certain actions in the hotel during criminal offenses, management of force majeure situations.

მოლაპარაკების ფსიქოლოგიური მექანიზმები და ტექნოლოგია

ნინო ზაალიშვილი

სტუ-ს საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: მოლაპარაკება, კონფლიქტი, მექანიზმი, ფსიქოლოგიური პროცესი

კონფლიქტი მრავალმხრივი სოციალური ფენომენია. იგი ადამიანის არსებობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ის ბუნებრივი მოვლენაა და სხვადასხვა სოციალური გარემოებისათვის არის დამახასიათებელი. მისი მოქმედების არეალი, ვიწრო პიროვნებათაშორისი ურთიერთობის გარდა, ისეთი სოციალური დაჯგუფების თანმხლებია, როგორებიცაა: ოჯახი, გვარი, ნათესაობა, სოციუმი, სოფელი, ქალაქი, სახელმწიფო, კულტურები და ცივილიზაციები. თვით ტერმინი „კონფლიქტი“ უარყოფითი დატვირთვის მატარებელია. ამიტომ მას, ძირითადად, ისე აღიქვამენ, როგორც დესტრუქციულ სოციალურ მოვლენას. მაგრამ, მას ზოგიერთ შემთხვევაში, პოზიტიური ფუნქციაც აკისრია. კონფლიქტი, როგორც სოციალური მოვლენა, იმდენად აქტუალურია, რომ უკანასკნელი წლების ინტენსიური მეცნიერული შესწავლა მას მეცნიერების ცალკე დარგადაც აყალიბებს [4, 29].

კონფლიქტები ყოველთვის წარმოიქმნებოდა და წარმოიქმნება. ერთი საზოგადოება მეორისაგან მასში კონფლიქტის არსებობა-არ არსებობით კი არ განსხვავდება, არამედ მის მიმართ დამოკიდებულებით. სწორედ ეს განსაზღვრავს კონფლიქტთა რეგულირების ისეთი რაციონალური მეთოდების არსებობას, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს კონფლიქტებისაგან მომდინარე საშიშროებას [2, 19]. თანამედროვე კონფლიქტოლოგები თავიანთი კვლევის საგნად იმ პირობების ძიებას მიიჩნევენ, რომელიც კონფლიქტებს მათი უკიდურესი საშიში ფორმიდან, თუნდაც ცხარე, მაგრამ მაინც კამათის სახემდე დაიყვანს [2, 20]. ისინი ცდილობენ იპოვონ ის სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, რომლებიც წაახალისებენ ადამიანთა უნარს გააკეთონ სწორი არჩევანი მიზნის მისაღწევად და გააკონტროლონ გარემო ურთიერთობები.

მკვლევართა ერთი ნაწილი ცდილობს კონფლიქტთა მართვის უნივერსალური ხერხების მიგნებას, ნაწილი კი კონფლიქტთა გადაწყვეტის საშუალებებს ეძებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე შეიარაღების ხელმისაწვდომობა ზრდის ძალადობასა და მისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობებს, ცხადი ხდება, რომ კონტროლის არსებული ხერხები, თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური ტენდენციების ფონზე, არ იძლევა დამაბულობების შეჩერების საშუალებას. აუცილებელი ხდება ახალი გზებისა და მეთოდების ძიება.

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში მიმდინარე პროცესებმა დაგვანახა, რომ კონკრეტული ინდივიდის ან იდენტური ჯგუფის წინააღმდეგობის ძალა ხშირად დიდად აღემატება ხელისუფლების ძალაუფლებას. ცენტრალური ხელისუფლება და ძალაუფლების მქონე სხვა რეჟიმი ვერ უმკლავდება სამხედრო თვალსაზრისით მათზე ბევრად უფრო სუსტ ჯგუფებს.

ეს უკანასკნელნი კი თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ყველა

საშუალებებს მიმართავენ მათ შორის ძალადობის სხვადასხვა ფორმებსაც ამის შედეგად ყალიბდება სურათი, რომ კანონიერად აღიარებული სახელმწიფო ძალადობა კონფრონტაციას უწევს არაოფიციალურ ძალადობას, რომელიც ხელისუფლების მიერ შეფასებულია როგორც ტერორიზმი.

ავტორიტარული საზოგადოების ძალოვანი სტრუქტურები ცდილობენ, კონფლიქტი ჩანასახშივე ჩაახშონ, რასაც შედეგად მოჰყვება ხოლმე კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტა [1, 34]. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოება ისე მიეჩვია ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალადობის სხვადასხვა ფორმით გამოვლენას, რომ მას კულტურის ნორმალურ ნაწილად აღიქვამს. მართალია, სამოქალაქო ომები, ეთნიკური კონფლიქტები, ტერორიზმი ადამიანთა გულისტკივილს იწვევს, მაგრამ საზოგადოებაც და ოფიციალურ შეგუებულია აზრს, რომ თანამედროვე, იდეოლოგიურად და ეთნიკურად ჭრელ, კომპლექსურ საზოგადოებაში კონფლიქტები და მასთან დაკავშირებული ძალადობა მზარდია დროსა და სივრცეში. კონფლიქტის რეგულირების დროს ხელისუფლება მიმართავს კონკრეტულ საშუალებებს - მოლაპარაკებებს.

მოლაპარაკებები ადამიანური ურთიერთობების უძველესი და უნივერსალური მეთოდია. ის იძლევა საშუალებას მიღწეული იქნეს შეთანხმება იქ, სადაც არის ინტერესთა და აზრთა სხვაობა. ისტორიულ ჭრილში მოლაპარაკებების განვითარება ხდებოდა სამი მიმართულებით: დიპლომატიით, ვაჭრობით და დავის საკითხების გადაჭრით. მოლაპარაკება განიხილება როგორც კონფლიქტის გადაჭრის პრობლემა, როდესაც ამოწურულია ძალისმიერი გადაწყვეტის შესაძლებლობანი.

მოლაპარაკების პროცესი - ეს არის თანამშრომლობის სპეციფიური სახე. მისი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მხარეების მიზანი და ინტერესები და მით უმეტეს, პოზიცია არ ემთხვევა. მოლაპარაკებას, როგორც სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიურ პროცესს, აქვს თავისი ფსიქოლოგიური მექანიზმი და წარმართვის ტექნოლოგია.

ფსიქოლოგიური მექანიზმი ერთობლიობაა ფსიქოლოგიური პროცესებისა, რომელიც უზრუნველყოფს ერთგვარი შედეგის მიღებას. ესაა ფსიქიკური მოქმედების მყარი სქემა. შეიძლება ითქვას, რომ ტექნოლოგია იძლევა პასუხს „როგორ“, ფსიქოლოგიური მექანიზმი კი პასუხობს კითხვაზე „რატომ“?

ფსიქოლოგიური მექანიზმი. არჩევენ შემდეგ მექანიზმებს: მიზნების და ინტერესების შეთანხმებას, სწრაფვას მხარეთა ურთიერთნდობისკენ, ორმხრივ კონტროლსა და ძალაუფლების დაბალანსირებას.

მიზნებისა და ინტერესების შეთანხმება. რა სქემითაც უნდა მიმდინარეობდეს მოლაპარაკებები, შედეგი მიიღწევა მხოლოდ ინტერესების და მიზნების შეთანხმებით.

მიზნებისა და ინტერესების შეთანხმება უფრო ეფექტურია, თუ სახეზეა:

- 1) მხარეების ორიენტაცია პრობლემის გადაწყვეტაზე;
- 2) ოპონენტების კარგი პირადული ურთიერთობა ან ნეიტრალური მესამე პირის ჩართვა;
- 3) ღია პოზიციები, ინდივიდუალური მიზნების გამოკვეთა;
- 4) საკუთარი მიზნების კორეგირების უნარი.

შეხების წერტილების მოძებნა და საერთო მიზნის გამონახვა დადებითად მოქმედებს ოპონენტების ურთიერთობაზე, რის შედეგადაც კონფლიქტის უფრო რაციონალური და მშვიდი გადაწყვეტა ხდება. ინტერესების და მიზნების შეჯერების მცდელობა ურთიერთობის ნორმალიზაციის ორჯერ მეტ საშუალებას იძლევა.

სწრაფვა მხარეების ნდობისკენ. როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი, ნდობა მეორე ადამიანისადმი დამოკიდებულების აღქმაა. გამოყოფენ პოტენციურ და

რეალურ ნდობას. თუ ერთი ადამიანი ენდობა მეორეს, ეს ნიშნავს, რომ მან იცის, თუ როგორ მოიქცევა ის ამა თუ იმ სიტუაციაში, საკუთარ თავთან მიმართებაში, ელოდება მისგან დადებით მოქმედებას, ამიტომ თვითონაც იდენტური დამოკიდებულება აქვს მის მიმართ. როდესაც სახეზეა კონფლიქტი, მაშინ რთულია ნდობაზე ლაპარაკი. დაპირისპირება, ნეგატიური ემოციები, მიყენებული ზარალი წარმოშობენ მხოლოდ უნდობლობას და საფრთხის შეგრძნებას. მაგრამ თუ მხარეები თანახმა არიან მოლაპარაკებების წარმოებაზე, ეს ნიშნავს, რომ ურთიერთბრძოლა წყდება. თუნდაც დროებით მცდელობას _ პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას უკვე შემოჰყავს ძალაში ნდობის მექანიზმი. რაც უფრო მყარია ნდობის ფაქტორი, მით უფრო მეტი შანსია პრობლემის კონსტრუქციული გადაწყვეტისა.

შემდეგი ფსიქოლოგიური მექანიზმი - **უფლების და ურთიერთკონტროლის ბალანსის არსებობა** იმაში გამოიხატება, რომ მხარეებს უნდათ შეინარჩუნონ უკვე არსებული უფლების ბალანსი და კონტროლი მეორე მხარის ქმედებებზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა იმ ძალას, რაც რეალურად აქვთ მონაწილეებს, არამედ იმას, თუ როგორ აღიქმება ის მეორე მხარის მიერ. მოლაპარაკებებში თითოეული მხარე ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები. მათი დიაპაზონი საკმაოდ დიდია _ დარწმუნებიდან შანტაჟამდე, მაგრამ არსებული ბალანსის შენარჩუნების სურვილის მიზეზით მოლაპარაკებები გრძელდება.

მოლაპარაკებების წარმოების ტექნოლოგია. ესაა ქმედებათა ერთობლიობა, რომელსაც მიმართავენ მხარეები მოლაპარაკების დროს და მათი რეალიზაციის პრინციპები. არსებობს საკუთარი პოზიციის წარმოდგენის 4 მეთოდი: ღია პოზიცია, დახურული პოზიცია, პოზიციაში საერთო მომენტების ხაზგასმის და პოზიციათა სხვაობის აქცენტირებისა.

თუ საკუთარი პოზიცია წარმოჩნდება პარტნიორის პოზიციასთან შედარების გარეშე, ამ ქმედებას ეწოდება „ღია“ პოზიცია. როდესაც ხდება ოპონენტის პოზიციის კრიტიკა საკუთართან შედარების გარეშე, საქმე გვაქვს „დახურულ“ პოზიციასთან. თუ მონაწილე ადარებს ორი საწინააღმდეგო პოზიციას, იმისდა მიხედვით, თუ რას უსვამს ხაზს გამოსვლაში საერთო თუ გასხვავებულ მომენტებს, გამოყოფენ საერთო ან განსხვავებულ პოზიციებს.

კონსტრუქციული მოქმედებისთვის დიალოგის დროს რეკომენდებულია შემდეგი პრინციპები:

- პირველად არ გამოიყენო მეთოდები, რომელიც კონფრონტაციას იწვევს.
- ყურადღებით მოუსმინო ოპონენტს, არ შეაწყვეტინო.
- პასიურობა მოლაპარაკებაზე მეტყველებს პოზიციის ცუდ დამუშავებაზე ან მის სისუსტეზე, მოლაპარაკების გაგრძელების სურვილის უქონლობაზე.
- პარტნიორის დათობაზე წასვლა არ განიხილება, როგორც მისი სისუსტე. ძნელია მოლაპარაკებების წარმოება ისეთ ოპონენტთან, რომლის პოზიცია ობიექტურად ძლიერია. ამ შემთხვევაში გამოსადეგია შემდეგი რეკომენდაციები:
 - პრინციპებისკენ აპელაცია (სამართლებრივი ნორმები სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპები)
 - აპელაცია ოპონენტთან სამომავლო ხელსაყრელ თანამშრომლობისკენ მომავალში.
 - სხვადასხვა კითხვების ერთ „პაკეტში მოქცევა“. შესაძლებელია ერთ-ერთ საკითხში აღმოჩნდეს „სუსტი“, მეორეში კი „ძლიერი“. ამიტომ ამ საკითხების ერთად შეკვრა - „პაკეტი“ იძლევა მხარეების ძალის ბალანსირების საშუალებას.
 - კოალიცია საკუთარი პოზიციის თანამგრძობლებთან
 - მიმართვა საზოგადოებრივი აზრისაკენ.

- მიმართვა შუამავლისაკენ.

დასკვნა. ამრიგად, შესწავლილ იქნა მოლაპარაკების პროცესი, ფსიქოლოგიური მექანიზმების თავისებურებები, როგორც თანამშრომლობის სპეციფიური სახე. მოლაპარაკების წარმართვა შეიძლება მშვიდობიანი გზით, როდესაც მხარეთა ურთიერთობა და შეთანხმება მიმდინარეობს წყნარ სტაბილურ სიტუაციაში, თანამშრომლობის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საიმონდ ფიშერი და სხვები, კონფლიქტებზე მუშაობა, უნარ-ჩვევები და სტრატეგიები. თარგმნა ასმათ ლეკვეიშვილმა, თბილისი 2000
2. Coser Lewis, The functions of Social Conflict, N.Y., 1956
3. Gellner E., Nations and Nationalism, Oxford, 1983
4. Тернер Д., Структура социологической теории, Москва, 1994
5. Deutch Morton, Subjective Features of Conflict Resolution: Psychological, Social and Cultural Influences.
6. Burton John, Conflict: Resolution and Prevention London: MacMillan Press, 1990

მოლაპარაკების ფსიქოლოგიური მექანიზმები და ტექნოლოგია

ნინო ზაალიშვილი
სტუ. ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კონფლიქტი, როგორც მრავალმხრივი სოციალური ფენომენი. მისი გადაწყვეტის უძველესი და უნივერსალური მეთოდია მოლაპარაკება. მოლაპარაკება ეს არის თანამშრომლობის სპეციფიური სახე. მისი თავისებურება კი მდგომარეობს იმაში, რომ მხარეების მიზანი და ინტერესები და მითუმეტეს პოზიცია არ ემთხვევა მოლაპარაკებას, როგორც სოციოლოგიურ- ფსიქოლოგიურ პროცესს, აქვს თავისი ფსიქოლოგიური მექანიზმი და წარმართვის ტექნოლოგია.

PSYCHOLOGICAL MECHANISM AND TECHNOLOGY OF NEGOTIATION

Nino Zaalishvili
GTU associate professor
Summery

The paper discusses conflict as a multifaceted social phenomenon, the ancient and universal method of resolving it. Negotiation is a specific form of cooperation. Its peculiarity is that the goals and interests of the parties and especially the position do not coincide. Negotiation has its own psychological mechanism and technology of guidance.

ეროვნული ცნობიერება - ქართველი ერის დღეგრძელობის

სანიღარი

ნინო გომართელი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გურანდა პაქსაძე

სტუ-ს სტუდენტი

საკვანძო სიტყვები: თავისუფლება, ეროვნული ცნობიერება, პოლიტიკური ორიენტაცია, ინტეგრაცია.

შესავალი

საქართველოს იშვიათი გეოპოლიტიკური მდებარეობა საუკუნეთა განმავლობაში ამ ქვეყნის მცხოვრებთათვის დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური დავების საგნად იყო (და დღემდე არის) ქვეული. ამიტომ, ქართული პოლიტიკის იმდროინდელი მესვეურები საოცარი სიზუსტით გათვლილ ბალანსირებულ პოლიტიკას აწარმოებდნენ აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის მძაფრ დაპირისპირებაში. დღენიადაგ ქართველ პოლიტიკოსთა მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლა. ამიტომაც იყო, რომ მათი მთავარი ორიენტირი იყო და არის ცივილიზებული დასავლური სამყარო. ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარებასა და აღმავლობას მოცემულ ვითარებაში უპირველეს ყოვლისა, მისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების წესი და იმჟამად არსებული საშინაო თუ საგარეო ვითარება განსაზღვრავს.

ძირითადი ნაწილი

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ყოველი გონიერი ხელისუფალი თავისი მმართველობის დროს, სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობისას, ცდილობდა დროის შესაფერისად განემტკიცებინა საშინაო ვითარება და თავისი სამშობლოს წარმატებისათვის საჭირო ქმედებანი საერთაშორისო ვითარებისათვის შეესაბამებინა. მატიანეში „ქართლის ცხოვრება“ ასახულია ჩვენი წინაპრების დამოკიდებულება დრო-ჟამის მიმართ. მატიანეში გვხვდება ასეთი გამოთქმა – „ჰპოვეს ჟამი მარჯვეა“, რაც ნიშნავს, რომ ჩვენს წინაპრებს ამ „მარჯვე ჟამის“ ამა თუ იმ მოქმედებისათვის შესაფერისი დროის შერჩევის მცოდნე ხელისუფალი ჰყავდათ. დიდი ილია ბრძანებდა: „ერი ბრძენი მაშინ არის, როცა ამა თუ იმ საქციელს გონებით სჯის, თუკი ეს შენ ქვეყანას გამოადგება, აითვისე, გაითავისე, დანარჩენი კი უკუაგდე“-ო. გავიხსენოთ ვაჟა: „ხანს ვგავარ ნაიალადარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ, ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც იმას ვდუღუნებ“. აი, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ქართველის განწყობა. ქვეყნის, ერის, მოყვასის სიყვარულია მთავარი. ამ გზაზე დიდმა ადამიანებმა თავიანთი თავი დადეს და სიცოცხლე გაწირეს, ხშირად სამშობლოსგან შორს, უცხო მიწაზე. ძნელბედობის ჟამს ქართველი იძულებული ხდებოდა უცხო ქვეყანაში გადახვეწილიყო. ქართველისათვის სამშობლოდან მოწყვეტა, მშობლიური ფესვებიდან მოწყვეტას ნიშნავდა, და მაინც, ისინი ცხოვრობდნენ უსამშობლოდ, მაგრამ სამშობლოსათვის. „ქართველობა (და ზოგადად, ნებისმიერი ეროვნების კუთვნილება) მხოლოდ სისხლით ერთობას კი არა, უპირველეს ყოვლისა, თვითმყოფადობას, ცხოვრების წესს, მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების აღიარებას ნიშნავს, რაც თავისუფალი ინსტინქტია და როგორც

სამშობლოს ფენომენი, გენეტიკურად გადაეცემა თაობიდან თაობას“. გავიხსენოთ მუხრან მაჭავარიანი: „ჩემი სამშობლო მაღალია! – სხვისია ვრცელი!... უფალთან ახლოს, – ამიტომაც, უფროა ჩემი!“ ჩვენ იმ სამყაროს მცირერიცხოვანი ერი ვართ, რომელმაც წინარე ევროპული ცივილიზაცია შექმნა, საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდა და თავი აქამდე მოიტანა. ჩვენი ვალია ქვეყნის კულტურის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების დაცვა, ზნეობისა და ღირსების შენარჩუნება. ეროვნული ცნობიერების გარეშე შეუძლებელია ერის დღეგრძელობა.

საქართველო უძველესი ტრადიციებისა და კულტურის ქვეყანაა, რომელმაც კაცობრიობას აჩუქა „ვეფხისტყოსანი“ – ფაქტობრივად ერთა მშობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების უნიკალური კონსტიტუცია, რომელსაც ვერ შექმნიდა ერი, თუ არ ექნებოდა მაღალი სულიერი და ინტელექტუალური კულტურა. ქართველი ყოველთვის იყო მიმტყვებელი. გავიხსენოთ ბალადა „ვეფხისა და მოყმისა“. „წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა შვილისა, იქნება ვეფხის დედაი, ჩემზედ მწარეთა სტირისა...“

ჩვენ ტოლერანტობას ისიც ამტკიცებს, რომ როცა ევროპაში რელიგიური ომები მძვინვარებდა და მიმდინარეობდა კაცთა კვლა, აქ, თბილისის შუაგულში ერთმანეთის გვერდით აღმართული იყო სინაგოგა, მეჩეთი, მართლმადიდებლური ტაძარი. ჩვენ შემწყნარებელი ერი ვიყავით ისტორიულად და ვართ დღესაც...

ქრისტიანული სარწმუნოება არის სიყვარულის, სათნოების, სასოების, ჰუმანიზმის, კაცთშორის მშობა-მეგობრობის სარწმუნოება და არა შუღლისა და მტრობის, სიძულვილის. ქრისტიანობა არის ადამიანთა მოდგმის სულიერი კულტურის უმაღლესი მონაპოვარი.

ქართველ ერს ევროპასთან ქრისტიანობა აკავშირებდა, სწორედ ქრისტიანობის წიაღში მოხდა ევროპული იდეების ხორცმესხმა, რომელთა შორის უპირველესია დემოკრატიული ღირებულებები, რომელნიც ყველაზე დიდ ქრისტიანულ იდეას, თავისუფლების იდეას უკავშირდება. თავისუფლების იდეა მარადიულია. თავისუფლება ნიჭიერების, სიკეთის, სათნოების, სიყვარულის გვირგვინია. თავისუფლებასულიერების მტკიცესაყრდენია, იგი ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა. თავისუფლება პერსონალურ თავისუფლებას როდი ნიშნავს, იგი უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს თავისუფლებას გულისხმობს. საუკუნეთა განმავლობაში ქართველთა ლტოლვა თავისუფლებისაკენ არ შეჩერებულა, რადგან ეს უკვე დიდი ხანია ქართველი ერის არსებობის ორგანულ ნაწილად იქცა. ქართველთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება იყო ის, რომ როგორც კი სახელმწიფოებრიობის მოპოვების მცირე შანსი ჩნდებოდა, მაშინვე მის მშენებლობას ვიწყებდით. 1920 წელს საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ევროპულ დელეგაციას გრიგოლ რობაქიძემ ასე მიმართა: „ორი ათასი წელი ქართველნი... თქვენ გელოდებოდით... დღეს ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და ამერიიდან ამ შეხვედრით დაიწყება ახალი უღელტეხილი ქართული ისტორიის...“

დასკვნა

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, ჩვენი ქვეყნის წინაშე თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის განსაზღვრის პრობლემა დადგა. ქვეყნისთვის ეს იყო (და არის) ერთ-ერთი ურთულესი გადასაჭრელი ამოცანა, რამეთუ მასზეა დამოკიდებული არა მხოლოდ ქვეყნის მომავალი, არამედ, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს არსებობაც.

XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა არსებითად შეცვალა გეოპოლიტიკური ვითარება, მათ შორის ამიერკავკასიაშიც. ყველა სახელმწიფო ცდილობს იპოვოს თავისი ადგილი და როლი მსოფლიო გეოპოლიტიკურ კონტექსტში.

საჭიროა კარგად გავიაზროთ, რომ ჩვენც და XXI საუკუნის ახალგაზრდობაც მხოლოდ აწმყოზე ვი არა, ქვეყნის მომავალზე ვართ პასუხისმგებელი...

გამოყენებული ლიტერატურა

1. ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვღალატებ, შემდგენელი გიორგი გაბუნია, თბ., 1997
2. ვაჟა ფშაველა თხზულებანი, თბ., 1998;
3. ილია ჭავჭავაძე და ქართული ეროვნული ცნობიერება (ავტორთა კოლექტივი) თბ., 2009;
4. იუნგი კ.გ. ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2003;
5. მამარდაშვილი მ., ცნობიერების ტიპოლოგია, თბ., 2010;
6. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგია, თბ., 2009.

რეზიუმე

სტატია ეხება საქართველოს ორიენტაციის განსაზღვრას, დასავლეთის სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის დამკვიდრების ისტორიულ აუცილებლობას. მასში დასაბუთებულია ქართველი ხალხის მიერ ტრადიციულად განსაზღვრული ევროპული ორიენტაციის საკითხი, გაანალიზებულია როგორ აისახება და რა გავლენას მოახდენს პროგრესული, ზოგადსაკაცობრიო იდეები ქართველი ხალხის ცნობიერებაზე. ხაზგასმულია თავისუფლების მარადიული იდეის, როგორც სულიერების მტკიცე საყრდენის მნიშვნელობა.

NATIONAL IDENTITY SUCCESS OF THE GEORGIAN NATION

Nino Gomarteli

PHF of history, Professor

Guranda Paksadze

GTU student

SUMMARY

The article gives a definition of the orientation of Georgia, the historical necessity of the formation of our country in the community of Western states. The question of the European orientation traditionally defined by the Georgian people is substantiated, it is analyzed how progressive, universal ideas will be reflected and will affect the consciousness of the Georgian people. The importance of the eternal idea of freedom as an unshakable support of spirituality is emphasized.

Key words: freedom, national consciousness, political orientation, integration.

კომპიუტერი ლინგვისტიკა

ეკატერინე მარუაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი

კომპიუტერი მეცნიერება ინტერდისციპლინარულ მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ინფორმაციის გადამუშავების პროცესებსა და სისტემებს და ეფუძნება ფილოსოფიის, ნეირომეცნიერების, ლინგვისტიკის, ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიისა და კომპიუტერული მეცნიერების ხელოვნური ინტელექტის მიღწევებს. მისი წარმოშობა დაკავშირებულია 1950 იანი წლების შუა პერიოდის კონცეპტუალურ ძვრებთან, როდესაც სხვადასხვა სფეროს მკვლევრებმა დაიწყეს გონების კომპლექსური შესწავლა და ჩამოაყალიბეს თეორიები, რომლებიც ეფუძნებოდა გაზომვით პროცედურებს. ხოლო ფორმალურად, მისი, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების წარმოშობა, დაკავშირებულია 1970-იან წლებში კომპიუტერი მეცნიერების საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ჟურნალ “კომპიუტერი მეცნიერების” დაარსებასთან.

კომპიუტერი მეცნიერების ძირითადი ჰიპოთეზა შემდეგში მდგომარეობს; აზროვნების ბუნების ყველაზე უკეთესად გაგება შესაძლებელია გონებაში რეპრეზენტაციული სტრუქტურებისა და აღნიშნულ სტრუქტურებში მიმდინარე გამოთვლითი ოპერაციების ტერმინებით. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ რეპრეზენტაციული სტრუქტურებისა და გამოთვლითი ოპერაციების ცნებების გაგება სხვადასხვაგვარია მეცნიერთა შორის, ეს ჰიპოთეზა ძალიან ზოგადად მიიჩნევა. გონება, ტვინი და კომპიუტერი - ეს სამი მნიშვნელოვანი კონცეპტია, რომლის გარშემოც ტრიალებს კომპიუტერი მეცნიერება. კერძოდ, ყოველი ახალი იდეა ამ კონცეპტების ახალი ანალოგიით გამოიხატება. კომპიუტერი მეცნიერებაში განხორციელებული შრომების დიდი ნაწილი ეყრდნობა იმ მოსაზრებებს, რომ გონებაში არსებული მენტალური რეპრეზენტაციები კომპიუტერში არსებული მონაცემების სტრუქტურის ანალოგია და გამოთვლითი ოპერაციები კი ამ სტრუქტურებში მიმდინარე ალგორითმების მსგავსია. რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ კომპიუტერი მეცნიერების დომინანტურ ანალოგიას „გონება-კომპიუტერი“ წარმოადგენს.

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ ვის შეიძლება ეწოდოს კომპიუტერი მეცნიერების წარმომადგენელი. დეფინიციების ძირითადი სხვაობა ისა, თუ რა მეთოდოლოგიით მუშაობს მკვლევარი და როგორ აანალიზებს თავის საკვლევ პრობლემას. არსებობს დეფინიციები, რომელთა თანახმად კომპიუტერი მეცნიერების წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი მეცნიერი ზემოთ მოცემული სფეროებიდან, რომელიც მუშაობს გონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მაგ., ამ განსაზღვრების თანახმად, კომპიუტერი მეცნიერად ჩაითვლება ფილოსოფოსი, რომელიც მუშაობს გონების ფილოსოფიის პრობლემებზე, მაშინაც კი თუ მას არ აქვს არანაირი ცოდნა სხვა მოსაზღვრე სფეროებში და საკუთარ დასკვნებს არ აანალიზებს სხვა მეცნიერებების თეორიების ჭრილში.

მეორე მხრივ არსებობს დეფინიციები, რომელთა თანახმადაც, იმისათვის, რომ მეცნიერი ჩაითვალოს კომპიუტერი მეცნიერების წარმომადგენელად, საკმარისი არაა მხოლოდ თავის სფეროში მოღვაწეობა, გონების კვლევისას ის უნდა იყენებდეს სხვა სფეროების მეთოდოლოგიასაც. მაგალითად, კომპიუტერი მეცნიერების წარმომადგენელია ლინგვისტი, რომელიც აკეთებს საკვლევ პრობლემის ტრადიციულ ლინგვისტურ ანალიზს და, იმავდროულად, ახორციელებს ექსპერიმენტს ადამიანების მონაწილეობით, არის ასევე კომპიუტერი მეცნიერების საზოგადოების წევრი და თავისი შედეგების ინტერპრეტაციას ახდენს კომპიუტერი მეცნიერების სხვა

სფეროების ჭრილშიც. შემეცნებითი ენათმეცნიერება წარმოადგენს ენის, როგორც ფსიქიკური მოვლენის, შესწავლის გადაფარებული მიდგომების კასეტს. შემეცნებითი ლინგვისტიკა 1970-იან წლებში გაჩნდა, როგორც ენობრივი აზროვნების სკოლა.

შესავალში „შემეცნებითი ლინგვისტიკა“ ენათმეცნიერი დირკ ჟერარტი განასხვავებს არა კაპიტალიზებულს შემეცნებით ენათმეცნიერებას, სადაც გულისხმობს ყველა მიდგომას, რომელშიც ბუნებრივი ენა შეისწავლება, როგორც ფსიქიკური მოვლენა და კაპიტალიზებულია შემეცნებითი ლინგვისტიკა შემეცნებითი ენათმეცნიერების ერთი ფორმა.

შემეცნებითი მოდელები და კულტურული მოდელები

შემეცნებითი მოდელები, როგორც ტერმინი გვთავაზობს, წარმოადგენს კოგნიტურ, ძირითადად ფსიქოლოგიურ ხედვას გარკვეული დარგის შესახებ შენახული ცოდნის შესახებ. ვინაიდან ფსიქოლოგიური მდგომარეობა ყოველთვის პირადი და ინდივიდუალური გამოცდილებაა, ასეთი შემეცნებითი მოდელების აღწერა აუცილებლად გულისხმობს იდეალიზაციის მნიშვნელოვან ხარისხს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემეცნებითი მოდელების აღწერა ემყარება დაშვებას, რომ ბევრ ადამიანს აქვს იგივე ცოდნა, როგორცაა ქვიშის ციხესიმაგრეები და პლაჟები.

თუმცა, ეს სიუჟეტის მხოლოდ ნაწილია. შემეცნებითი მოდელები, რა თქმა უნდა, უნივერსალური არ არის, მაგრამ დამოკიდებულია კულტურაზე, რომელშიც ადამიანი იზრდება და ცხოვრობს. კულტურა ქმნის ყველა იმ სიტუაციის ფონს, რომელიც ჩვენ უნდა განვიცადოთ. იმისათვის, რომ შეძლო შემეცნებითი მოდელის ჩამოყალიბება. რუსს ან გერმანელს შეიძლება არ შექმნან კრიკეტის შემეცნებითი მოდელი, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქვეყნის თამაში არ არის მისი ქვეყნის კულტურის ნაწილი. ასე რომ, საბოლოოდ კოგნიტური მოდელები კონკრეტული დომენებისთვის დამოკიდებულია ე.წ. კულტურული მოდელები. პირიქით, კულტურული მოდელები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც შემეცნებითი მოდელები, რომლებსაც იზიარებენ სოციალური ჯგუფის ან ქვეჯგუფის წარმომადგენლები.

არსებითად, შემეცნებითი მოდელები და კულტურული მოდელები ერთი მონეტის მხოლოდ ორი მხარეა. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „შემეცნებითი მოდელი“ ხაზს უსვამს ამ შემეცნებითი პირების ფსიქოლოგიურ ხასიათს და იძლევა ინდივიდუალურ განსხვავებებს, ტერმინი „კულტურული მოდელი“ ხაზს უსვამს გამაერთიანებელ მრავალი ადამიანი კოლექტიურად იზიარებს მას. თუმცა „კოგნიტური მოდელები“ დაკავშირებულია შემეცნებითი ენათმეცნიერება და ფსიქოლინგვისტიკა, ხოლო „კულტურული მოდელები“ მიეკუთვნება სოციოლინგვისტიკასა და ანთროპოლოგიურ ენათმეცნიერებას, ყველა ამ დარგის მკვლევარებმა უნდა იცოდნენ და, როგორც წესი, უნდა იცოდნენ მათი შესწავლის ობიექტის ორივე განზომილების შესახებ.

კვლევა კოგნიტურ ლინგვისტიკაში კოგნიტური ენათმეცნიერების კვლევის ერთ-ერთი მთავარი დაშვებაა ის, რომ ენის გამოყენება ასახავს კონცეპტუალურ სტრუქტურას და, შესაბამისად, ენის შესწავლას შეუძლია გვაცნობოს ფსიქიკური სტრუქტურების შესახებ, რომლებზეც დაფუძნებულია ენა. ამ სფეროს ერთ-ერთი მიზანია სწორად განსაზღვრეთ რა სახის გონებრივი წარმოდგენები აგებულია სხვადასხვა სახის ენობრივი გამონათქვამებით. ამ სფეროში საწყისი კვლევა თეორიული დისკუსიების საშუალებით, რომლებიც ემყარებოდა მეთოდებს. ინტროსპექციისა და რაციონალური მსჯელობისთვის. ეს მეთოდები გამოყენებული იქნა მრავალფეროვანი თემების შესასწავლად, როგორცაა წინაპირობის გონებრივი წარმოდგენა, უარყოფა, კონტრაფაქტულები და მეტაფორა.

სამწუხაროდ, ინტროსპექციის საშუალებით ადამიანის ფსიქიკურ სტრუქტურებზე დაკვირვება შეიძლება შეიზღუდოს მისი სიზუსტით მკვლევარებმა გააცნობიერეს,

რომ მნიშვნელოვანია თეორიული პრეტენზიების შემოწმება ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებით.

მეთოდები, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ, არის ის, რომლებიც ხშირად გამოიყენება ფსიქოლინგვისტური კვლევის დროს. ესენია;

ა. ლექსიკური გადაწყვეტილება და დასახელების ნიშნები.

ბ. მეხსიერების ზომები.

გ. ნივთის ცნობის ზომები.

დ. კითხვის დრო.

ე. თვითრეპორტის ზომები.

ვ. ენის გააზრების შედეგები შემდგომ დავალებაზე.

თითოეული ეს მეთოდი ემყარება ექსპერიმენტულ ღონისძიებაზე დაკვირვებას გარკვეული ენობრივი ერთეულის მიერ აგებული ფსიქიკური წარმოდგენების შესახებ დასკვნების გამოსატანად.”

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://plato.stanford.edu/entries/cognitive-science/>
2. Sternberg, R. J., 2009, Cognitive Psychology;
3. გერიგი რ. ზიმბარდო ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისი, თსუ.
4. ვივიან ევანსი და მელანი გრინი, შემეცნებითი ლინგვისტიკა; შესავალი. Routledge, 20060
5. ფრიდრიხ უნგერერი და ჰანს-იორგ შმიდი, შესავალი კოგნიტური ლინგვისტიკისა, მე-2 გამოცემა.

რეზიუმე

ენა გვთავაზობს შემეცნებით ფუნქციებს, იძლევა აზრისა და იდეის ბუნების, სტრუქტურისა და ორგანიზაციის გარკვევას. ყველაზე მნიშვნელოვანი გზა, რომელშიც კოგნიტური ლინგვისტიკა განსხვავდება ენის შესწავლის სხვა მიდგომებისგან, არის ის, რომ ენა ითვლება ადამიანის გონების გარკვეული ფუნდამენტური თვისებად და დიზაინის მახასიათებლებლად. ”კოგნიტური ლინგვისტიკა არის ენის შესწავლა მისი შემეცნებითი ფუნქციით, სადაც შემეცნებითი ეხება შუალედური ინფორმაციული სტრუქტურების გადამწყვეტ როლს. შემეცნებითი ენათმეცნიერება ვარაუდობს, რომ სამყაროსთან ჩვენი ურთიერთქმედება ხორციელდება გონებაში არსებული ინფორმაციული სტრუქტურების საშუალებით. ეს უფრო სპეციფიკურია, ვიდრე კოგნიტური ფსიქოლოგია, თუმცა აქცენტი გაკეთებულია ბუნებრივ ენაზე, როგორც ინფორმაციის ორგანიზების, დამუშავებისა და გადმოცემის საშუალებებზე.

RESUME

Language offers cognitive functions, clarifies the nature, structure and organization of thought and idea. The most important way in which cognitive linguistics differs from other approaches to language learning is that language is considered to have certain fundamental features and design features of the human mind. “Cognitive linguistics is the study of language with its cognitive function, where cognitive refers to the crucial role of intermediate information structures in our meetings around the world. Cognitive linguistics suggests that our interaction with the world is realized through the information structures in the mind. It is more specific than cognitive psychology, although the emphasis is on natural language as a means of organizing, processing and transmitting information.

პიროვნული ფასეულობები, როგორც დასაქმებულთა ქცევის საფუძველი

ანი ქიმაძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

საკვანძო სიტყვები: თაობები; თაობების ფასეულობები; დასაქმებულთა ქცევა; თაობათაშორისი დაპირისპირება.

ყველა მეცნიერი, რომელიც ორგანიზაციული ქცევის საკითხებს სწავლობს, ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ დასაქმებულთა პიროვნულ თვისებებზე, არამედ, მათ ფასეულობებზეც. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ პიროვნების ქცევას სამსახურში აყალიბებს, როგორც მისი პიროვნული თვისებები, ისე მისი ფასეულობები. ამ აზრის ვართ ჩვენც. წინამდებარე სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ პიროვნების ფასეულობებზე, რადგანაც დღევანდელ ციფრულ ეპოქაში პიროვნულ თვისებებთან შედარებით, მან მეტი მნიშვნელობა შეიძინა. ფასეულობები დაუკავშირდა ადამიანთა თაობებს და მათ დამოკიდებულებას ციფრულ ტექნოლოგიებთან.

ციფრული ტექნოლოგიების პირობებში, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომა, ხელოვნური (მანქანური) ინტელექტით იცვლება. ციფრული ტრანსფორმაცია მეურნეობის ყველა დარგს და სფეროს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად შეეხება [1, გვ. 75], რადგან იგი ხარჯებსაც ამცირებს და წარმოების მოცულობასაც ზრდის. დღეს ციფრული ეკონომიკა 23 ტრილიონი დოლარით ფასდება [2]. ავტორიტეტული პროგნოზით 2030 წლისთვის მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 14% ზრდა დიჯიტალიზაციით ანუ ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით მიიღწევა [3]. 2018 წელს იაპონიის, ჩინეთის, აშშ-ს, დასავლეთ ევროპის და ინდოეთის ელექტროტექნიკის წარმოებაში 1,5 ტრილიონი აშშ დოლარი ინვესტიცია განხორციელდა [4, გვ. 40]. ასეთი მაგალითების მოყვანა არაერთი შეიძლება. ასე რომ, ეკონომიკაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა საყოველთაო, ობიექტური, გარდაუვალი და შეუქცევადი პროცესია, ისეთი რეალობა და გამოწვევაა, რომლის შეჩერება შეუძლებელია [1, გვ. 77]. ეს თუ ასეა, მაშინ ნებისმიერმა ქვეყანამ მისი მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოაწყოს განათლების სისტემა და მოსახლეობის პროფესიული სწავლება.

ტრადიციულ მეურნეობას ხელით შრომა და მცირედმწარმოებლური ტექნოლოგიები ახასიათებდა, ციფრულ მეურნეობაში კი, ხელით შრომა პრაქტიკულად უქმდება, ანუ მუშის, როგორც ფიზიკური შრომის „გამყიდველის“ ადგილი აღარ რჩება. ამის შესახებ ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იან წლებში მეცნიერი ნ. ვინერი წერდა: „ტოტალური ავტომატიზაციის პირობებში ადამიანთა უმრავლესობას გასაყიდი არაფერი ექნება, ამიტომ „ზედმეტი“ ადამიანების საკითხი აუცილებლად დადგება“ [1, გვ. 79]. ადამიანთა, კერძოდ, კი ფიზიკური შრომის მუშაკთა, და სხვა, ზოგიერთი არამოთხოვნადი პროფესიების მქონეთა „ზედმეტობის“ საკითხი დღეს უკვე რეალობად იქცა. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დავოსის ეკონომიკური ფორუმის ექსპერტებმა ივარაუდეს, რომ 2020 წლისთვის სამუშაოს გარეშე 5 მლნ ადამიანი დარჩებოდა.

მეტიც, ვარაუდობენ, რომ ადამიანის გონებრივი შესაძლებლობის 50%-ს, არც ისე დიდი ხნის შემდეგ, ხელოვნური ინტელექტი შეცვლის. დაახლოებით საუკუნის შემდეგ კი, ყველა შესაძლო პოზიციას მოაზროვნე მანქანები დაიკავებენ [5, გვ. 200]. 2030 წლისთვის 375 მლნ დასაქმებული იძულებული იქნება შეიცვალოს პროფესია [6].

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქვეყნის მმართველი ორგანოები რადიკალურ ღონისძიებებს უნდა იღებდნენ ციფრულ ტექნოლოგიების მოთხოვნებთან საგანმანათლებლო სისტემის ადაპტაციისთვის, მაგრამ, თუ დავუჯერებთ რუს დემოგრაფ ვიშნევსკის, შესაბამისი ტრანსფორმაციული მოვლენები უნდა განხორციელდეს არა „პარლამენტსა და პოლიტიკურ პარტიებში, არამედ, თვით ადამიანთა ცნობიერებაში, მათ აზროვნებაში“ [7, გვ. 107]. ასეთ დროს, ადამიანის აზროვნება, ან საერთოდ არ იცვლება, ან ძალზე ნელა იცვლება. ამ საკითხზე თავის დროზე გამოჩენილ ფილოსოფოსს ე. კანტს კარგი პასუხი ჰქონდა. ის წერდა რომ „ამის წარსამართავად ახალი თაობა უნდა მოვიდესო“.

და, აი, მივედით იქამდე, რისთვისაც ამ სტატიის წერა დავიწყეთ. ციფრულ ტექნოლოგიებს მისი შემქმნელი თაობაც მოყვა და მისი დამწერგავი თაობაც. ესაა გამორჩეული ნიჭის, გამორჩეული თვისებების და წინა თაობებთან შედარებით სრულიად განსხვავებული ფასეულობების თაობა. ამას გვიჩვენებს მეცნიერების ს. რობინზის და ტ. ჯაჯის მიერ შედგენილი ცხრილი, რომელშიც x და y თაობები სწორედ ადამიანთა ის თაობებია, რომლებიც ინფორმაციულ ტექნოლოგიებს „მოყვნენ“, უფრო სწორად ინფორმაციული ტექნოლოგიები და ეს თაობები ერთად „დაიბადნენ“.

ცხრილიდან ჩანს, რომ x თაობა დაიბადა 1985 წლიდან 2000 წლამდე პერიოდში, ანუ როცა გამოჩნდა ციფრული ტექნოლოგიების პირველი ფაზა - ინფორმაციული ტექნოლოგიები, ხოლო y თაობა (იგივე მომავლის თაობა) - ინფორმაციული ტექნოლოგიების უფრო მაღალ ფაზაში - ციფრულ ტექნოლოგიებში - გადასვლის ფაზაში. ეს პროცესი დაიწყო 2000 წელს და დღესაც გრძელდება.

ცხრილი 1

სამუშაო ძალის დაჯგუფება და მათი ძირითადი ფასეულობები [8, გვ. 54]

სამუშაო ძალის ჯგუფი (თაობა)	დაბადების პერიოდი	სამუშაო ასაკი	ძირითადი ფასეულობები
ვეტერანები	XX საუკუნის 50-იან წლების დასაწყისში	65 წლის ზევით	შრომისმოყვარეობა, კონსერვატიულობა, შემგუებულობა და ორგანიზაციის ერთგულება
დემოგრაფიული აფეთქების თაობა	1965-1985 წლებში	40 წლიდან 65 წლამდე	წარმატებულობა, ემოციურობა, ხელისუფლების მოძულოება, კარიერის ერთგულება
x თაობა	1985-2000 წლებში	25 წლიდან 40 წლამდე	სამუშაოსა და ცხოვრებას შორის წონასწორობის დამცველობა, გუნდზე ორიენტირებულობა, წესების მოძულოება, ურთიერთობის ერთგულება
y თაობა	2000 წლიდან დღემდე	30 წლამდე	თავდაჯერებულობა, ფინანსურად წარმატებულობა, საკუთარ თავში დარწმუნებულობა, გუნდზე ორიენტირებულობა, საკუთარი თავისა და ურთიერთობის ერთგულება

ცხრილში წარმოდგენილი თაობების ფასეულობები კარდინალურად ურთიერთ-განსხვავებულია. განსაკუთრებით დიდია განსხვავება პირველ თაობასა ე. წ. „ვეტერანებსა“ და x და y თაობებს შორის. ვეტერანებისთვის ანუ 65 წლის და მეტი ასაკის თაობისთვის ძირითად ფასეულობათ ითვლება შრომისმოყვარეობა (განურჩევლად ანაზღაურებისა), სამსახურის მიმართ ერთგულება, მორჩილება და წესებისადმი შემგუებლობა. ეს თაობა დღეს პენსიონერებით არის წარმოდგენილი. ისინი საკუთარ ოჯახშიც კი, ვერ ეგუებიან x და y თაობის განსხვავებულ ღირებულებებს და ხშირია მათ შორის დაპირისპირებები.

x და y თაობას ციფრული ტექნოლოგიების გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ. ისინი ბავშვობიდანვე ეზიარნენ ინტერნეტის სიკეთეებს, დღეს კი, მთელი არსებით ჩართული არიან სმარტფონებსა და სოციალურ ქსელებში. მათთვის დამახასიათებელია [1, გვ. 289]:

- თავდაჯერებულობა;
- იძულების და ძალდატანების მიუღებლობა;
- უფროსებისადმი ღრმა პატივისცემის (პიექტიტის) უქონლობა;
- ბრმად მორჩილების დაუშვებლობა;
- მყარი არგუმენტების აუცილებლობა;
- საკუთარი უნიკალურობის ხაზგასმა;
- წარმატების საზომად არა სიმდიდრის, კარიერის, სტატუსის ან პრესტიჟული სამუშაოს, არამედ, საინტერესო მრავალფეროვნების მიჩნევა;
- მთავარი დაკვეთა - იყოს ბედნიერი აწმყოში;
- სამუშაო ადგილის ხშირი ცვალეზადობა;
- მუშაობის თავისუფალი გრაფიკი.

დასაქმებული x და y თაობა საკუთარ თავს აღიქვამს არა როგორც დაქირა-ვებული მუშაკი, არამედ, როგორც შემოქმედებითი პოტენციალის მქონე უნივერსალური სპეციალისტი, კრეატიული კლასის ღირსეული წარმომადგენელი. დასაქმებას ისინი ცდილობენ ციფრული ეკონომიკის წამყვან სეგმენტებში, ესწრაფვიან თავი-სუფალი დროის გადიდებას, საინტერესო სამუშაოს და მაღალ ანაზღაურებას, ქმნიან დროითი სივრცის კონტინუუმს და მათთვის გასაგებ ენაზე ქსელში ურთიერთობენ ერთმა-ნეთთან, ენდობიან სოციალურ ქსელებს და ტექნოლოგიურ მსოფლიო გიგანტებს, ციფრულ ტექნოლოგიებისა და მომსახურებისადმი ამჟღავნებენ გადი-დებულ მოთხოვნებს და ა. შ.

მაშასადამე, თანამედროვე განვითარებულ სამყაროში მიმდინარე ინდუსტ-რიული რევოლუცია, რომელიც მეცნიერების და ტექნოლოგიების ინტენსიურ გან-ვითარებას ეფუძნება, შრომის ბაზარზე მოთხოვნებში ცვლილებებს იწვევს. იცვლება ადამიანთა ფასეულობებიც და მათი ქცევაც შრომის ბაზარზე. შედეგად მთელი შრომისუნარიანი საზოგადოების სრული დასაქმების რისკები საგრძნობლად იზრდება, რადგანაც ციფრულ ეკონომიკას განსხვავებული ცოდნის და განსხვავებული ფასეუ-ლობების მქონე სპეციალისტები სჭირდება. მათ წინაშე ისეთი ამოცანები დგება, რომელიც ხელოვნურ ინტელექტთან ურთიერთობას მოითხოვს, რაც არ იცის „ვეტერანთა“ თაობამ და ან ცუდად იცის ან არ იცის დემოგრაფიული აფეთქების თაობამაც.

ასე რომ, ციფრულ ეკონომიკას მოემსახურება დღეს არსებული მხოლოდ x და y თაობა. მათ შორის x თაობა მოემსახურება მის უფრო დაბალ საფეხურს, ანუ იმ კომპანიებს, რომლებიც ციფრული ტექნოლოგიების საწყის ფაზაში არიან, y თაობა კი მათ, ვინც მაღალი დონის ციფრულ ტექნოლოგიებს მოიხმარენ.

პასუხგაუცემელი რჩება კითხვა - რა ქნას დემოგრაფიული აფეთქების თაობამ, რომელთა ასაკი 40-დან 65 წლამდეა, რადგან მათ ან არ იციან ციფრული ტექნო-

ლოგიების მოხმარება, ან ცუდად იციან. ამ ეპოქაში მათ დასაქმების პერსპექტივა არ აქვთ. მათი ფასეულობებია: წარმატებულობა, ემოციურობა, ხელისუფლების მოძულეობა, კარიერისადმი სწრაფვა და მისი ერთგულება.

დასკვნა: მაშასადამე, ციფრულმა ტექნოლოგიებმა მოსახლეობის არნახული „პოლარიზაცია“ მოახდინა. თაობათა შორის გაუცხოება და „ბრძოლა“ ყოველთვის იყო, მაგრამ არა ამ სიღრმის. თუ დასაქმებულ x ან y თაობის წარმომადგენლებს სამსახურში უფროსად წინა თაობის წარმომადგენელი ჰყავთ, ისინი მუდმივ კონფლიქტში არიან მასთან, რადგან ეს უკანასკნელი, დაკავებული თანამდებობის პოზიციიდან (კარიერული ერთგულებიდან) გამომდინარე, ითხოვს მათგან დაქვემდებარებას, რასაც x და y თაობის წარმომადგენლები ვერ ეგუებიან, რადგან ისინი თავის თავს არ თვლიან დაქირავებულებად ისინი შემოქმედებითი შრომის ადამიანები არიან და ითხოვენ თავისუფლებას. მეცნიერები ამის შესახებ ბევრს წერენ, მაგრამ კითხვა - კარგია ეს, თუ ცუდი? - პასუხგაუცემელია. მას ვერც ფსიქოლოგები სცემენ პასუხს და ვერც ეკონომისტები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯოლია გ. განათლება და დასაქმება ციფრულ სამყაროში. თბ., 2021.
2. GIV-2025. Видение глобальной индустрии. 2018. <http://bit.samog.ru/uart/more/67>
3. <https://www.pwc.ru/ru/iot/digital-champions.pdf>
4. Благих И. Актуальные вопросы цифровой экономики, Ломоносовские чтения – 2019. Тезисы выступления. М., МГУ.
5. კუტუბიძე კ. გახდა თუ არა ტექნიკა ზედმეტად პროგრესირებადი და ნაკლებად პროგნოზირებადი? ჟ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“. #3-4. 2020.
6. Mokinsky (2017). Jobs Lost. Jobs Gained What the Future of Work Will Mean for Jobs Skills.
7. Вишневский А. Время демократических перемен. М., ВШЭ. 2015.

აბსტრაქტი

სტატიაში - „პიროვნული ფასეულობები, როგორც დასაქმებულთა ქცევის საფუძველი“ - დახასიათებულია ადამიანთა თანამედროვე საზოგადოების ოთხი თაობა: „ვეტერანები“; დემოგრაფიული აფეთქების თაობა, x - თაობა და y - თაობა.

სტატიაში ნათქვამია, რომ მათ შორის განსხვავება არამხოლოდ დაბადების პერიოდია, და, გამომდინარე აქედან ასაკი, არამედ, მათ მიერ აღიარებული ფასეულობებიც.

რადგან დასაქმებულ ადამიანთა ქცევას მათი ფასეულობები განსაზღვრავს, ამიტომ თითოეული თაობისთვის ცალ-ცალკე შეფასებულია ისინი, და, გამოტანილია დასკვნა მათი ურთიერთდაპირისპირებულობის შესახებ.

ხაზგასმულია ის მდგომარეობა, რომ თაობათა შორის დაპირისპირება ყოველთვის იყო, მაგრამ ასეთი სიღრმის - არასდროს. თანამედროვე ციფრულ სამყაროს თავისი ფასეულობებით შეესაბამება მხოლოდ x და y თაობა, მაგრამ თუ მათ წარმომადგენლებს მუშაობა მოუწიათ წინა თაობის წარმომადგენლებთან, მათ შორის აუცილებლად კონფლიქტი წარმოიქმნება.

PERSONAL VALUES AS A BASIS FOR EMPLOYEE BEHAVIOR

ANI KIMADZE

PHD degree in Business Administration

Abstract

In the article - «Personal values as a basis for employee behavior» – it is characterized the four generations of modern human society: «Veterans»; Demographic explosion generation, x generation and y generation.

In the article it is said that the difference between them is not only the period of birth, and therefore the age, but also the values recognized by them.

Because the behavior of employed people is determined by their values, they are evaluated separately for each generation and the conclusion is drawn about their rivalry.

In the article it is emphasised the fact that there has always been confrontation between generations, but never of such depth. Only the x and y generations correspond to the modern digital world in their values, but if their representatives had to work with the representatives of the previous generation, a conflict will inevitably arise between them.

Key words: Generations; Values of generations; Employee behavior; Intergenerational controversy.

ხვედრითი დანახარჯების ცვლილების ტენდენცია საქართველოს ბიზნესში

გურამ სამხარაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: ხვედრითი დანახარჯები; მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესი; ძირითადი და დამხმარე ოპერაციები; აუტსორსინგი; დანახარჯების შემცირების სტრატეგია.

შესავალი

მსოფლიოში გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესი მიმდინარეობს. ამან „კარი გაუხსნა“ საერთაშორისო კომუნიკაციასაც და მასში, ნებით, თუ უნებლიედ, ყველა ქვეყნის კომპანიები ჩააბა. ეს ეხება განვითარებულ ქვეყნებსაც და განვითარებად ქვეყნებსაც. ასეთ დროს, განვითარებადი და განვითარების გზაზე მდგარი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების კომპანიები სუსტები არიან. მათ, არათუ საერთაშორისო, არამედ, ქვეყნისშიგა კონკურენციაში მუშაობის გამოცდილებაც ნაკლები აქვთ, და, ამიტომ, მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების კონკურენტ-კომპანიებთან მათი ბრძოლა წინასწარვე განწირულია დასამარცხებლად. ასეთ კომპანიათა რიცხვშია საქართველოს კომპანიები. მათ არათუ საერთაშორისო ბაზარზე უჭირთ სასურველი პოზიციების დაკავება, არამედ, ადგილობრივ ბაზარზეც სჯაბნიან უცხოელი კონკურენტები. ისინი მათ ამარცხებენ არა პროდუქციის ხარისხით, არამედ, პროდუქციის დაბალი ფასით. უცხოელები მათთან „ფასისმიერ“ კონკურენციას ეწევიან და ქართველი მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობის გამო, იმარჯვებენ კიდევ.

საქონლის ფასის საფუძველი დანახარჯებია. საქონელზე რომ ფასი შემცირდეს, მასზე გაწეული დანახარჯები უნდა შემცირდეს. წინამდებარე სტატია ეძღვნება ამ პრობლემის მდგომარეობას საქართველოს ბიზნესში.

1. საქართველოს ბიზნესსექტორში წარმოებული საქონლის (პროდუქცია, მომსახურება) ხვედრითი ხარჯების ანალიზი.

ცნობილია, რომ ხვედრითი ხარჯი ეს არის საქონლის ერთი ერთეულის დამზადებაზე დახარჯული ხარჯების ჯამი ფულად გამოსახულებაში. რადგან საქართველოს ბიზნესსექტორში ფუნქციონირებს რამოდენიმე ათასი საწარმო, რომლებიც ურთიერთ-განსხვავებულ საქონელს უშვებენ და ამიტომ, მათი ნატურალური ერთეულების (კილოგრამი, მეტრი, კვ. მეტრი და ა. შ.) გაერთმნისშენილიანება შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ, გარკვეული პირობითი დაშვებით, ხვედრითი ხარჯი ვიანგარიშეთ საქონლის ბრუნვის ერთ ერთეულზე - ერთ ლარზე (ცხრილი 1).

ცხრილი 1-ის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საანალიზოდ აღებული 7 წლის (2007-2019 წ.წ.) განმავლობაში, საქონლის წარმოება-რეალიზაციის ხარჯები ერთ ლარ პროდუქციაზე ანგარიშით გაიზარდა 5,6%-ით. კერძოდ, თუ, 2007 წელს, ერთი ლარი საქონლის წარმოება-რეალიზაციაზე იხარჯებოდა 0,89 ლარი, 2019 წელს, იგი ამაღლდა 0,94 ლარამდე. ხვედრითი დანახარჯების ზრდა დაწყებულა 2009 წლიდან, როცა ნაცვლად 2007 წლის 0,89 ლარისა, ის გახდა 0,92 ლარი და შემდეგ იყო სტაბილურობის წლები, როცა ხვედრით ხარჯს ცვლილება არ განუცდია და დარჩა 0,93 ლარის დონეზე.

საქონლის წარმოების და რეალიზაციის ხვედრითი დანახარჯების დინამიკა საქართველოს ბიზნესსექტორში [1, 2, 3]

წლები	საქონლის წარმოების და რეალიზაციის ხარჯები სულ (მლნ ლარი)	საქონლის ბრუნვა სულ (მლნ ლარი)	საქონლის ხვედრითი დანახარჯები (ლარებში) 2: 3	ხვედრითი დანახარჯების დინამიკა	
				პროცენტულად 2007 წელთან	პროცენტულად წინა წლის მიმართ
1	2	3	4	5	6
2007	15700,5	17544,4	0,89	-	-
2009	18809,1	20302,2	0,92	103,3	103,3
2015	52861,2	56984,8	0,93	104,5	101,1
2016	59121,8	64081,8	0,92	103,3	98,9
2017	66258,5	71740,1	0,92	103,3	100,0
2018	80740,9	86625,1	0,93	104,5	101,1
2019	102090,5	109024,3	0,94	105,6	101,1

წყარო: მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, „საქსტატი“, თბ., 2008, გვ. 40; 90; მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, „საქსტატი“, 2010, გვ. 26; 70; ბიზნეს სექტორი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, „საქსტატი“, თბ., 2020, გვ. 26; 70.

მაგრამ, 2018-2019 წლებში, იგი მაინც გაიზარდა. ასე რომ, საქართველოს ბიზნეს სექტორში დანახარჯების შემცირების ნაცვლად, მათ ზრდას ჰქონდა ადგილი. ასეთ პირობებში საქართველოს ბიზნეს-კომპანიების პროდუქციის ფასები როგორც შიგა, ისე გარე ბაზარზე იქნებოდა შესაბამისად მაღალი, ანუ არაკონკურენტუნარიანი.

ცხადია, ეს ვითარება არ იქნებოდა ყველა ტიპის კომპანიებში და საქართველოს ყველა რეგიონებში. ამის გასარკვევად, ჩვენ, საქონლის წარმოება-რეალიზაციის ხვედრითი ხარჯის მაჩვენებლები შევისწავლეთ ამ ჭრილითაც (ცხრილი 2).

საქონლის წარმოება-რეალიზაციის ხვედრითი ხარჯები საქართველოს ბიზნეს სექტორში მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის ჭრილში (1, 2, 3)

წლები	მსხვილი ბიზნესი				საშუალო ბიზნესი				მცირე ბიზნესი			
	მთლიანი ხარჯი (მლნ ლარი)	მთლიანი ბრუნვა (მლნ ლარი)	ხვედრითი ხარჯი (2:3)	დინამიკა %-ად 2007 წელთან	მთლიანი ხარჯი (მლნ ლარი)	მთლიანი ბრუნვა (მლნ ლარი)	ხვედრითი ხარჯი (2:3)	დინამიკა %-ად 2007 წელთან	მთლიანი ხარჯი (მლნ ლარი)	მთლიანი ბრუნვა (მლნ ლარი)	ხვედრითი ხარჯი (2:3)	დინამიკა %-ად 2007 წელთან
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
2007	13769	15524,5	0,88	100	1392	1444,5	0,96	100	539,1	576,1	0,93	100

2009	15734,9	17136,9	0,91	103,2	1662,7	1701,2	0,98	102,1	1411,5	1464,1	0,96	103,2
2015	43623,2	47019,5	0,93	105,2	4434,3	4792,4	0,92	96,0	4803,6	5173	0,93	100,0
2016	26683,1	28256,3	0,94	107	13100,2	14039	0,93	96,8	19338	21786,4	0,89	95,7
2017	31019,8	32201,1	0,96	109	14770,2	16568	0,89	92,7	20468	22971	0,89	95,7
2018	41449,1	42902,7	0,97	110,2	16731,5	18543,2	0,90	93,7	22560,3	25179,1	0,89	95,7
2019	58819,6	60504,6	0,97	110,2	19196,6	21065,5	0,91	94,7	24074,0	27454,2	0,87	93,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის - „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაანგარიშებულია ავტორების მიერ.

ცხრილი 2-ის მონაცემებით ირკვევა, რომ საქონლის წარმოება-რეალიზაციის ხვედრითი ხარჯები 2007-2019 წლებში გაზრდილია მხოლოდ მსხვილ ბიზნესში 10,2%-ით, საშუალო და მცირე ბიზნესში კი, იგი, შესაბამისად, შემცირებულია 5,3 და 6,5 პროცენტით. მსხვილ ბიზნესში ერთი ლარის ღირებულების საქონლის ხვედრი ხარჯი 0,88 ლარიდან - 0,91 ლარამდეა გაზრდილი, ხოლო, მცირე ბიზნესში 0,93 ლარიდან - 0,87 ლარამდეა შემცირებული.

საშუალო და მცირე ბიზნესის მდგომარეობას ამ საკითხში, რა თქმა უნდა, დადებითად ვაფასებთ. იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალშიც ეს ტენდენცია გაგრძელდება. რაც შეეხება მსხვილ ბიზნესს, მის მენეჯმენტს ამ მიმართულებით კარდინალური ცვლილებები აქვს განსახორციელებლი.

საქართველოს ბიზნეს სექტორის მთლიან ბრუნვაში მსხვილ ბიზნესს 55,6% უკავია. საერთაშორისო ვაჭრობაშიც საქართველოს მხრიდან ძირითადად მსხვილი კომპანიები იღებენ მონაწილეობას. ასეთ დროს, მათი საქონლის წარმოება-რეალიზაციის ხვედრითი ხარჯების ცვლილების ტენდენცია ზრდადია. ეს მათ კონკურენციაში გამარჯვების არავითარ შანსს არ აძლევს.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური არ აქვეყნებს ინფორმაციას ბიზნეს-კომპანიების ჭრილში დანახარჯების დეტალური სტრუქტურის შესახებ. ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ 2007 და 2019 წლებში მთლიანი დანახარჯების სტრუქტურა შემდეგნაირი იყო (ცხრილი 3).

ცხრილი 3

საქართველოს ბიზნეს სექტორის დანახარჯების სტრუქტურა 2007 და 2019 წლებში (%-ში) (1, 2, 3)

	2007	2019	გადახრა (-, +)
მატერიალური დანახარჯები	80	62	-18
შრომის ანაზღაურების ხარჯები	9,9	9,5	-0,4
ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია	3,7	2,3	-1,4
გადასახადები და მოსაკრებლები	0,5	0,4	-0,4
სხვა ხარჯები	5,9	25,8	19,9
სულ	100,0	100,0	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის - „საქსტატის“ ინფორმაცია [3]

როგორც ცხრილი 3 გვიჩვენებს, 2007-2019 წლების პერიოდში, საქართველოს ბიზნესსექტორში შემცირებულია მატერიალური (მასალა-ნედლეული) ხარჯიც, შრომის ანაზღაურების ხარჯიც, ამორტიზაციის ხარჯიც და გადასახდები და მოსაკრებლებიც. გაზრდილია მხოლოდ დანარჩენი ხარჯები. მისი ერთ-ერთი შემადგენელი არის ტრანს-პორტირება-ლოგისტიკის ხარჯები, აუდიტორული და ბუღალტრული მომსახურების ხარჯები, ინფორმაციის მოწოდების და კომპიუტერული მომსახურების ხარჯები და სხვა.

როგორც ყველა ზომის საწარმოში, მსხვილ საწარმოებშიც ოპერაციები იყოფა ძირითად და არაძირითად ოპერაციებად. ძირითადი ის ოპერაციებია, რომელთა განსა-ხორციელებლადაც შეიქმნა კომპანია. ამ ოპერაციების შესასრულებლად კომ-პანიამ თავდაპირველადვე ჩამოაყალიბა გუნდი და ამ საქმის ცოდნის უნიკალურობაც თავის მისიაში გააჟღერა. ამდენად, ეს ოპერაციები მან თვითონ, თავისი ძალებით უნდა შეასრულოს. მაგრამ, კომპანიას აქვს დამხმარე ოპერაციებიც, რომელთა შესრულებაში ის, მაინცდამაინც კომპეტენტური არ არის, მაგრამ, რადგან სჭირდება, ასრულებს კიდევაც. საქართველოს მსხვილი სამრეწველო საწარმოებისთვის ასეთ არაძირითად ოპერაციებს მიეკუთვნებიან ლოგისტიკური მომსახურება, კომპიუტერული მომსახურება, სატრანს-პორტო მომსახურება და სხვა. ამ ოპერაციების შესასრულებლად საქართველოს სამრეწ-ველო საწარმოებს ადგილზე შექმნილი აქვთ ცალკეული მომსახურები, რომელთა შენახვა ძვირი უჯდებათ. ასეთებია ბუღალტრული აღრიცხვის ქვედანაყოფები, კომპიუტერული მომსახურების განყოფილებები, სატრანსპორტო უბნები და სხვა. ასეთ დროს, ქვეყანაში არსებობენ ამ ოპერაციების შემსრულებელი სპეციალიზებული კომპანიები, რომლებიც გარედან შემოსულ დაკვეთებზე მუშაობენ. ისინი საქართველოს ყველა ქალაქში არსებობენ და პროდუქციის მწარმოებელი საწარმოებიდან არაძირითადი ოპერაციების შესასრულებლად მათთვის გადაცემა, მეტად მომგებიანი იქნება ორივე მხარისთვის. ეს პროცესი, რომელსაც აუთსორსინგი ეწოდება, მეტად გავრცელებულია საზღვარგარეთ (4). აუთსორსინგი, ანუ საწარმო, რომელიც აუთსორსინგზე მიიღებს ამა თუ იმ ოპერაციას შესასრულებლად, მას უკეთესი ხარისხითაც შეასრულებს და უფრო ნაკლებ ფასადაც (5).

დასკვნა. ჩვენ, ვურჩევთ პროდუქციის მწარმოებელ საქართველოს მსხვილ კომპა-ნიებს, რათა არაძირითადი ოპერაციები შესასრულებლად გაიტანონ აუთსორსინგზე, რათა შეუმცირდეთ პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის ხვედრითი ხარჯები. თუ ეს პროცესი პერმანენტულად განხორცილდება, მაშინ, საქართველოს მსხვილ კომპანიებს, როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე კონკურენციაში გამარჯვების შანსი გაუჩნდებათ.

ჩვენი ეს დასკვნა ეფუძნება მსოფლიო რანგის მეცნიერის - მ. პორტერის მიგნებებს ამ სფეროში. მის მიერ ჩამოყალიბებულ ხუთ სტრატეგიაში სამი სტრატეგია აქცენტს დანახარჯების სიმცირეზე აკეთებს [6].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეწარმეობა საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ., „საქსტატი“. 2008.
2. მეწარმეობა საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. „საქსტატი“. თბ., 2010.
3. ბიზნეს სექტორი საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. „საქსტატი“. 2020.
4. როხვაძე მ. აუთსორსინგი და აუთსტაფინგი. თბ., 2019.
5. ბოცვაძე ლ., ერაძე კ., ბოცვაძე ვლ. ლოგისტიკური მენეჯმენტი და მოდელირება. თბ., 2010.

6. Michael E. Porter. Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitors (New-York: Free Press. 1980). Chapter 2. especially pp. 35-39 and 44-46.

რეზიუმე

სტატიაში - „ხვედრითი დანახარჯების ცვლილების ტენდენცია საქართველოს ბიზნესში“ - განალიზებულია პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის ხვედრითი დანახარჯები საქართველოში 2007-2019 წლებში. ანალიზი ჩატარებულია მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის კრილში. დადგენილია, რომ მთლიანად ბიზნეს-სექტორში საანალიზო პერიოდში ხვედრითი დანახარჯები მნიშვნელოვნად გაზრდილია (5,6%); ეს გამოუწვევია მხოლოდ მსხვილ ბიზნესს, სადაც ხვედრითი ხარჯები 10,2%-ით არის გაზრდილი; რაც შეეხება საშუალო და მცირე ბიზნესს, იქ დანახარჯები შემცირებულია.

ავტორის აზრით, საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორში, ანუ იქ, სადაც, პროდუქცია იწარმოება, მსხვილ საწარმოთა დანახარჯებს ზრდის მათ მიერ არამდირითადი ოპერაციების, მაგალითად, ლოგისტიკური მომსახურება, კომპიუტერული მომსახურება და სხვა, ადგილზე შესრულება, რაც მათ ძვირი უჯდებათ. ავტორი ურჩევს ასეთ კომპანიებს, რომ ეს ოპერაციები გაიტანონ აუტსორსინგზე და ისინი ასეთ მომსახურებაზე სპეციალიზებულ კომპანიებს შეასრულებინონ.

ГЕОИСТОРИЯ И СТРАТЕГИЧЕСКИЕ ЦЕЛИ АРМЯНСКИХ ГЕОПОЛИТИКОВ В ГРУЗИИ

Гурам Мархулия

Доктор исторических наук, профессор Сухумского государственного университета
(Грузия)

Марина Изория

Доктор социальных наук, профессор Тбилисского открытого университета

Ключевые слова: Армения, Дашнакцутюн, Советская Россия, Шагали, Караклис, «Нейтральная зона», Севрский договор.

Введение

«Раб Иисуса Христа... Иаков католикос всех армян, шлет благословение всем... Да будет известно, что с давних пор стремились мы приобрести в Грузии какое-либо селение и доходы с него присвоить святому Эчмиадзину. Но этого не удалось нам сделать при жизни святых отцов моих, святейших католикосов Мойсея (1629-1633 гг.) и Филиппа (1633-1655 гг.)»...

Так писал в 1667 году, не скрывая свою мечту, католикос Армении Яков (1655-1680 гг.), который в 1658 году выпросил у царя Восточной Грузии Ростом (1634-1658 гг.) деревню Нахидури в Квемо (Нижней) Картли. Такая мечта была у армянства и до Якова так и после него до сегодняшних дней. Поселение представителей армянского народа в пределах грузинского государства было нормой, так как у них не было своей государственности после 1045 года, поэтому Грузия для них была второй родиной.

С приходом на Южный Кавказ России, армяне статус армян был изменен, т.е. если до этого они считались беженцами и временными жителями, то теперь они утверждали, что живут здесь веками и эта земля должна называться не Грузией, а Арменией.

В статье на основе исторических документов, а также при поддержке существующих исследований освещаются вопросы армянского притязания на исторические области Грузии.

«Шедевры» армянской пропаганды

«Ложь несет душе и телу бесконечные мученья», - писал великий Шота Руставели, которого армяне, обозвав «Ашот Рустави», тоже включили в клику «хайских мыслителей». На счет лжи у Иисуса тоже были свои соображения. Он называл Сатану «лжецом и человекоубийцей». Спустя много лет апостол Павел призывал людей во имя Христа «не говорить лжи друг другу». Выходит, если, вопреки христианскому учению, у человека нет души, то телу гораздо спокойнее, и он без угрызения совести может свободно посещать бал, который организовал сам Сатана. Итак, каждый раз, знакомясь с очередным «шедевром» армянской пропаганды, все больше и больше убеждаемся, что блаженные тела некоторых научных грамотеев и политических деятелей из солнечного Еревана давно находятся в «нирване», куда, к сожалению, не доходят ни набалдашник посоха апостола Павла, ни громкие проповеди Григория Просветителя. Аномальные, а точнее аморальные амбиции, прикрываемые ложью и клеветой, являются сегодня архиважнейшим, а также материально выгодным направлением их умственно-хозяйственной деятельности. «Об армянах издревле сложилось нелестное мнение, и это - разумеется, не лишено основания, так как иначе оно не могло бы возникнуть у целых народов и притом в разные времена», - пишет русский исследователь этнокультуры народов Кавказа В.Величко, и добавляет, - «именно армяне склонны кричать по всякому поводу. Не пустят их в чужой дом, или раскроют какие-либо их козни, или отдадут под суд их воришек, они не только сами поднимают крик, но и

заставляют кричать глупых или продажных людей из иноплеменников». Следуя идеям средневековых конкистадоров и иезуитов, которые позже были скопированы армянскими идеологами, Бог един и значит, созданный им «по образу своему» армянский народ, в своих деяниях тоже «не грешен, незаменим и естественно, неповторим». Он - «вечный победитель», хотя, все войны логически завершались их глубоким поражением. Там где существуют армяне, национальная окраска образа «народа мученика» должна быть еще гуще, предельно сочнее и эмоциональнее. Пропаганда учения «непогрешимых» иезуитов, которая была доведена до армянской кондиции, нашла свое отражение в принятой в 1907 году программе партии «Дашнакцутюн». Дух ненависти, шовинизма проявляется с первых же предложений этой программы: высшей целью для них является исключительно служение интересам армян. В 9-ом пункте документа эта мысль проявляется наиболее ярко. Для приобщения общественного мнения к поставленной цели, дашнакам необходимо распространить свое влияние на органы печати. По свидетельству очевидца, уже в начале века «вся теперь, без исключения, кавказская печать во власти или под влиянием армян» «Дашнакцутюн» создал прессу, рассчитанную практически на любого читателя: по национальному признаку, социальному положению, политическим и т.п. Для каждого читателя проармянские идеи и материалы подавались в соответствующей упаковке. В десятках печатных изданий в прямой и завуалированной форме утверждался непоколебимый авторитет армян, превозносились их неоцененные «заслуги» перед «неблагодарными» народами, высказывались пренебрежительные замечания о «дикости», «нецивилизованности» представителей других национальностей, населяющих Закавказье. Националистические выпады проармянской прессы во многом способствовала искусственному разжиганию межнациональной вражды в регионе, сеяли зерна национализма, которые позднее обернулись кровавыми всходами. Ради достижения своих целей дашнаки не прочь были пойти на соглашение со своими противниками. В Армении немногим известно, что в 1909 году, по инициативе армян, между «младотурками» и «Дашнакцутюном» было заключено соглашение о сотрудничестве, первые четыре пункта которых гласили: «1. Для осуществления Конституции и незыблемого упрочения общественного развития необходимо бороться совместно, не жалея для этого никаких сил. 2. По отношению к реакционным движениям действовать совместно, применяя методы, обусловленные законом. 3. Считая конечной целью совместной деятельности двух партий сохранение целостности османской Родины, они должны на деле развеять унаследованные от деспотического режима слухи о том, что армяне стремятся к независимости. 4. Обе партии заявляют о том, что они единоклюны в «расширении прав вилайетов» и поддерживают развитие и прогресс общей османской Родины». Выше приведенный документ еще раз доказывает, как далеко зашли дашнаки в двойной игре. Они готовы были на словах, даже с оружием в руках, защищать «целостность османской Родины», опровергали слухи о том, что «армяне стремятся к независимости». О «расширении же прав вилайетов» и «широкой местной автономии» в этих документах упоминается как бы между прочим. Сотрудничая с господствующей и мощной османской партией, «Дашнакцутюн» снова развернул свою деятельность во всех заселенных армянами областях империи. Прав оказался Корнелий Тацит: «Этот народ испокон веков был ненадежен и вследствие своего душевного склада, и вследствие занимаемого им положения, находясь между могущественнейшими державами, армяне по этой причине часто вступают с ними в раздоры, ненавидя римлян и завидуя парфянам. Кроме того тактический маневр армян достиг цели и в другом вопросе. Так, дашнакские лидеры Варамьян, Папазян и небезызвестный О. Качазнуни в 1909 году были приглашены в Стамбул в качестве армянских депутатов и заняли места в турецком парламенте. Многие армянские историки впоследствии осудили столь недалекую линию дашнаков, которые, в конце концов «перехитрили сами себя». К примеру, «Партия «Дашнакцутюн»... совершили грубую ошибку... Она стала

